

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2008, # 11

ს ა ს ა რ ჩ ე ლ ო

წ ა რ მ ო ე ბ ა

1. **სარჩელის უზრუნველყოფა**
 - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება (გაუქმება)
 - შეგებებული სარჩელის აღძვრა
2. **სასამართლო სხდომაზე გამცხადების შეუძლებლობა**
3. **სასამართლო გადაწყვეტილება**
 - დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილება
 - სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება
 - სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი
4. **სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა**
5. **სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება**
 - სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა
 - სააღსრულებო ფურცლის გაცემა
 - სასამართლო გადაწყვეტილების (გ ა და დ ბ ი ს) ა ღ ს რ უ ლ ე ბ ა

1. სარჩელის უზრუნველყოფა

შეგებებული სარჩელის აღმგრა

განჩინება

#ას-1003-1304-07

13 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა: სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ო-იამ სარჩელით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების - თ. და მ. ბ-იების წინააღმდეგ და მოითხოვა მათთვის მის მიერ გადახდილი ბინის საფასურის 60 000 აშშ დოლარისა და ძირითად თანხაზე ყოველთვიურად 2,5%-ის დაკისრება გადაწყვეტილების გამოტანამდე.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით დ. ო-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს თ. და მ. ბ-იებს დ. ო-იას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 37 200 აშშ დოლარის გადახდა ეროვნული ვალუტით გადახდის დროისათვის არსებული კურსის მიხედვით, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

თ. და მ. ბ-იებმა სააპელაციო სასამართლოში შეგებებული სარჩელით მოითხოვეს 1997 წლის ოქტომბრიდან ერთი წლის განმავლობაში სადავო სახლის სასტუმროდ გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლის - 69000 აშშ დოლარის დაკისრება, ასევე, სახლის არასწორი ექსპლუატაციის გამო მიყენებული ზარალის - 1000 აშშ დოლარის, ბინის უსაფუძვლო დაყადაღებისათვის - 40 000 აშშ დოლარის, მკურნალობის ხარჯებისათვის - 2000 აშშ დოლარისა და ბანკის კრედიტით სარგებლობის გამო მიყენებული ზიანისათვის - 18400 აშშ დოლარის, ხოლო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დ. ო-იასთვის 50 000 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დ. ო-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - თ. და მ. ბ-იებს დ. ო-იას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 53 866 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. დანარჩენ ნაწილში დ. ო-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა თ. და მ. ბ-იების შეგებებული სარჩელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. და მ. ბ-იებმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით თ. და მ. ბ-იების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. და მ. ბ-იების შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

2007 წლის 5 სექტემბერს დ. ო-იამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ბ-იებს მის სასარგებლოდ დაეკისრათ 53 866 აშშ დოლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით დ. ო-იას განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. ო-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ დ. ო-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოპასუხეს უფლება აქვს, მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად.

ამავე კოდექსის 189-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება.

აღნიშნული ნორმების თანახმად, მოპასუხეს უფლება აქვს, აღძრას შეგებებული სარჩელი კანონით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც ემთხვევა საქმის მომზადების დამთავრების ვადას.

შეგებებული სარჩელის აღძვრის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მათი ერთად განხილვა და ერთობლივად გადაწყვეტა, მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ყველაფერი გარკვეულია ერთის მიმართ, მაგრამ არაა გარკვეული მეორის მიმართ. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს არა ერთობლივი, არამედ - გადაწყვეტილება ერთ-ერთის მიმართ, რომელიც მზადაა გადაწყვეტილების გამოსატანად.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მანონ და თ. ბ-იებმა კანონით დადგენილ ვადაში აღძრეს შეგებებული სარჩელი მოსარჩელე დ. ო-იას მიმართ.

ასევე დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ო-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. და მ. ბ-იებს დ. ო-იას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 53 866 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო თ. და მ. ბ-იების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. ო-იას სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში შევიდა კანონიერ ძალაში.

თ. და მ. ბ-იების შეგებებული სარჩელი ამჟამად იხილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომლითაც ისინი ითხოვენ დ. ო-იასთვის მათ სასარგებლოდ 41 400 აშშ დოლარის დაკისრებას და ვალდებულების გაქვითვის დადგენას. შესაბამისად, ვინაიდან შეგებებული სარჩელი მიმართულია ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეგებულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სწორად უთხრა უარი დ. ო-იას სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძვლო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

- დ. ო-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინება;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

განჩინება

#ას-1026-281-08

4 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
მ. ცისკაძე

დავის საგანი: უძრავი ქონებიდან წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა 1996 წლის გაყრილობის აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, სოფიო მ-შვილის საცხოვრებელი სახლიდან სავალდებულო წილის გამოყოფა და ნოდარ მ-შვილის მემკვიდრეობიდან ტრანსმისიის საფუძველზე შესაბამისი წილის მიკუთვნება.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელეს სადავო საცხოვრებელი ბინიდან ნამდვილად ეკუთვნის 20 კვ.მ, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელს არ დაეთანხმა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით თ. მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ბ. მ-შვილს თ. მ-შვილის სახელზე რიცხული საცხოვრებელი ბინიდან გამოეყო 20 კვ.მ, რაც აღირიცხა მის სახელზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ბ. მ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ბ. მ-შვილის წარმომადგენელმა ე. ო-ნმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, თელავის რაიონის სოფ. ... მდებარე სახლზე ყადაღის დადება იმ საფუძველით, რომ სადავო ქონებას ფლობს და განკარგავს თ. მ-შვილი, რომელმაც შესაძლოა აღნიშნული ქონება გაასხვისოს ან უფლებრივად სხვაგვარად დატვირთოს, რაც შემდგომ ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას გაართულებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის განჩინებით ბ. მ-შვილის წარმომადგენელ ე. ო-ნის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა და თელავის რაიონის სოფ. ... მდებარე, თ. მ-შვილის კუთვნილ საცხოვრებელ სახლს დაედო ყადაღა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, 198-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ თელავის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლი თ. მ-შვილის საკუთრებაა. პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გაართულებს და შეუძლებელს გახდის მომავალში სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში სადავო სახლიდან სავალდებულო წილის გამოყოფა და მემკვიდრეობითი ტრანსმისიის საფუძველზე შესაბამისი წილის მიკუთვნება. მოსარჩელე კი სარჩელის უზრუნველსაყოფად ითხოვს მოპასუხის კუთვნილ, სადავო საცხოვრებელ სახლზე ყადაღის დადებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება - სადავო სახლზე ყადაღის დადება, ემსახურება მომავალში გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე თ. მ-შვილმა შეიტანა საჩივარი და მოითხოვა როგორც მითითებული განჩინების, ისე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მის კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე დადებული ყადაღის გაუქმება შემდეგი საფუძველებით: დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს ვარაუდი, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გარეშე მომავალში გამწვანდება ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება. განჩინების მიღებისას პალატა დაეყრდნო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილს და უგულებელყო 192-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილები, ასევე, 285-ე მუხლის «დ» და «ე» ქვეპუნქტები. სასამართლომ არ გამოიყენა ამავე კოდექსის 199-ე მუხლი და მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება არ უზრუნველყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინებით თ. მ-შვილის საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გაეგზავნა საკასაციო სასამართლოს. მითითებული განჩინებით სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ თ. მ-შვილის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წესსა და პირობებს, კერძოდ, სარჩელის უზრუნველსაყოფად მხარემ უნდა მიუთითოს, სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტულად რომელი ღონისძიების გამოყენებას ითხოვს, დაასაბუთოს მისი გამოყენების აუცილებლობა.

მოცემულ შემთხვევაში ბ. მ-შვილის განცხადება ზემოხსენებული მუხლების მოთხოვნებს შეესაბამება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მხარემ სასამართლოს წარუდგინა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 21 ივნისის #142 ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ თელავის რაიონის სოფ. ... მდებარე სახლი აღრიცხულია თ. მ-შვილის სახელზე.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად დააკმაყოფილა ბ. მ-შვილის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველსაყოფად სადავო უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ბ. მ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას თ. მ-შვილის მიმართ წარმოადგენს 1966 წლის გაყრილობის აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა, საცხოვრებელი სახლიდან სავალდებულო წილისა და მემკვიდრეობითი ტრანსმისიის შესაბამისად წილის მიკუთვნება. რაიონულმა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოსარჩელეს 20 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გამოუყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძვლიანია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ბ. მ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში თ. მ-შვილის მთელი კუთვნილი სადავო ქონების გასხვისებამ ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვამ შესაძლოა გადაწყვეტილების აღსრულება გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის სადავო ღონისძიების გამოყენება გამართლებულია.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულვლყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის წესს. მოცემულ შემთხვევაში კი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ იქნა იმის შემდეგ, რაც მხარემ სარჩელი აღძრა სასამართლოში, კერძოდ, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას, რის გამოც ზემოხსენებული მუხლი გამოყენებული ვერ იქნება.

ასევე დაუსაბუთებელია თ. მ-შვილის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლით და მოპასუხის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება არ უზრუნველყო. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. დასახელებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა სარჩელის უზრუნველყოფისას ავტომატურად არ გამოიყენება, არამედ აღნიშნულის საჭიროებას განსაზღვრავს სასამართლო სათანადო გარემოებების არსებობისას, შესაძლოა მხარის შუამდგომლობის საფუძველზეც, რომლითაც იგი მითითებული ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას სათანადოდ დაასაბუთებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

თ. მ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისისა და 12 დეკემბრის განჩინებები დარჩეს უცვლელი.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება (გაუქმება)

განჩინება

#ას-106-386-08 25 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ გოგიშვილი (თავმჯდომარე),
მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: სისხლის სამართალწარმოების ორგანოების და თანამდებობის პირთა მიერ უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 11 აპრილს ვ. გ-შვილმა სარჩელით მიმართა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს სისხლის სამართალწარმოების ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე მოპასუხეების ვ. გ-შვილის და ნ. მ-ძის მიმართ, და ასევე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა მოპასუხეების საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის დადება.

გარდაბნის რაიონულ სასამართლოს 2005 წლის 10 ივნისის განჩინებით საქმის წარმოება შეწყდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. გ-შვილმა და მოითხოვა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 10 ივნისის განჩინების გაუქმება.

ამავე სასამართლოს 2005 წლის 25 ივნისის განჩინებით ვ. გ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 5 სექტემბრის განჩინებით ვ. გ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 10 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 ნოემბრის საოქმო განჩინებით ვ. გ-შვილის მოთხოვნა მოპასუხეების ქონების ყადაღის დადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. გ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 6 მარტის განჩინებით ვ. გ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 ნოემბრის საოქმო განჩინება და ვ. გ-შვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ყადაღა დაედო გარდაბნის რაიონის ტაბახმელის საკრებულოს სოფ. ... მდებარე, ვ. გ-შვილის საკუთრებაში არსებულ 0,10 ჰა მიწის ნაკვეთი #348-ზე.

2007 წლის 11 ოქტომბერს ვ. გ-შვილმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის განჩინებით ვ. გ-შვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდა - ყადაღა მოეხსან გარდაბნის რაიონის ტაბახმელის საკრებულოს სოფ. ... მდებარე, ვ. გ-შვილის საკუთრებაში არსებულ 0,10 ჰა მიწის ნაკვეთი #348-ს.

აღნიშნული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა ვ. გ-შვილმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის განჩინების გაუქმება, ყადაღის დადება ვ. გ-შვილის ქონებაზე მდებარე გარდაბნის რაიონის ტაბახმელის საკრებულოს სოფ. ... 0,10 ჰა მიწის ნაკვეთი #348-ზე.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო პალატას არ უნდა გაეუქმებინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 6 მარტის განჩინებით განხორციელებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რადგან მხარეებს შორის დავა ჯერ არ დამთავრებულა და მას

ამყამად გარდაბნის რაიონულ სასამართლოში შეტანილი აქვს ახალი საჩივარი, რომლითაც თავიდან ითხოვს რეაბილიტაციას და მორალური, მატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინებით ვ. გ-შვილის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის განჩინებაზე დაუსაბუთებლობის გამო საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საჩივრის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 6 მარტის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მიმართული იყო ვ. გ-შვილის მიერ, მოპასუხეების - ვ. გ-შვილის და ნ. მ-ძის მიმართ სისხლის სამართალწარმოების ორგანოების და თანამდებობის პირთა მიერ უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე გარდაბნის რაიონულ სასამართლოში 2005 წლის 11 აპრილს აღძრული სარჩელის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დავა დამთავრდა სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განჩინებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ვ. გ-შვილის მოთხოვნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებულ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ არ არსებობს ზემოთ მითითებული სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების დატოვების არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი საფუძველი. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება, რომ მას აღძრული აქვს ახალი საჩივარი, შესაძლებელია გახდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ ახალი განცხადების შეტანის და არა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. გ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

განჩინება

#ას-382-631-08

22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. შ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: გ. ნ-შვილისა და ნ. კ-ძის მიმართ და მოითხოვა ქ. თელავში, ... ქ. #10-ში მდებარე მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლიდან მოპასუხეების გამოსახლება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2005 წლის 20 ოქტომბერს უძრავი ქონების (გამოსყიდვის უფლებით) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხე გ. ნ-შვილისგან 28022 აშშ დოლარად შეიძინა ქ. თელავში, ... ქ. #10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის, ხოლო 2005 წლის 9 დეკემბრის უძრავი ქონების (გამოსყიდვის უფლებით) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გ. ნ-შვილისგან შეიძინა მითითებული სახლის მეორე ნახევარიც 5000 ლარად. პირველი ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხეს უფლება ჰქონდა, ნასყიდობის საგანი გამოესყიდა ერთი წლის ვადაში, კერძოდ, 2006 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით, ხოლო მეორე ხელშეკრულების თანახმად - 2006 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით. მოსარჩელის განმარტებით, ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვადაში მოპასუხეს საცხოვრებელი სახლი არ გამოუსყიდა. ამასთან, მოპასუხეები დღესაც აგრძელებენ ცხოვრებას ამ სახლში და უარს ამბობენ მის გამოთავისუფლებაზე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ქ. თელავში, ... ქ. #10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მის სახელზე და მას, როგორც მითითებული უძრავი ქონების მესაკუთრეს, უფლება აქვს, მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან გამოითხოვოს სადავო საცხოვრებელი სახლი.

2007 წლის 7 თებერვალს თელავის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს გ. ნ-შვილმა და ნ. კ-ძემ მოპასუხე ვ. შ-შვილის მიმართ და მოითხოვეს 2005 წლის 20 ოქტომბრისა და 9 დეკემბრის უძრავი ქონების (გამოსყიდვის უფლებით) ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და სადავო უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენა.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ მათ საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის დასჭირდათ ფული, ახლობლების მეშვეობით ისინი დაუკავშირდნენ მოპასუხე ვ. შ-შვილს, რომელთანაც მოილაპარაკეს, რომ ეს უკანასკნელი მათ ასესხებდა 14000 აშშ დოლარს თვეში 10%-ის სარგებლით. მოსარჩელებს ეს თანხა მოპასუხისათვის უნდა დაბრუნებინათ ეტაპობრივად საზღვარგარეთ გამგზავრებისა და სამუშაოდ მოწყობის შემდეგ. მოსარჩელეთა განმარტებით, მოპასუხემ სესხის გაცემაზე თანხმობა განაცხადა მხოლოდ იმ პირობით, რომ გ. ნ-შვილს თავის საკუთრებაში არსებული ბინა უნდა გადაეფორმებინა მოპასუხის სახელზე და როცა ისინი ვალს სრულად დაუბრუნებდნენ, ბინა ისევ გ. ნ-შვილის სახელზე აღირიცხებოდა. მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ მათ აღნიშნული პირობა არ მოეწონათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოუცდელიობისა და მიმიე მატერიალური მდგომარეობის გამო, აღნიშნულ პირობაზე დასთანხმდნენ და გ. ნ-შვილმა თავის საკუთრებაში არსებული ქ.თელავში, ... ქ. #10-ში მდებარე ბინა, 2005 წლის 20 ოქტომბრისა და 9 დეკემბრის (გამოსყიდვის უფლებით) ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე მიყიდა მოპასუხე ვ. შ-შვილს 28000 აშშ დოლარად და 5000 ლარად. მოსარჩელის განმარტებით, მას მოპასუხისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ მიუღია. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ფაქტობრივად მას და ვ. შ-შვილს შორის დაიდო მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით დაიფარა სესხის ხელშეკრულება. მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მოპასუხემ მას გადასცა სესხის სახით დაპირებული თანხის, 14000 აშშ დოლარის ნაწილი, კერძოდ, 10500 აშშ დოლარი, რომელიც დანიშნულების მიხედვით ვერ გამოიყენა, ვინაიდან ის და მისი მეუღლე საზღვარგარეთ ვერ გაემგზავრნენ და ვალის დროულად დაბრუნება ვერ შეძლეს. მოსარჩელემ განმარტა, რომ იგი მზადაა, დაუბრუნოს ვ. შ-შვილს ნასესხები 10500 აშშ დოლარი, მაგრამ აღნიშნულზე თანახმა არაა და სურს აშკარად შეუსაბამო ფასად ხელში ჩაიგდოს მისი ბინა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. შ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დაკმაყოფილდა გ. შ-შვილისა და ნ. კ-ძის სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი თელავის ნოტარიუსის - გ. ბ-შვილის მიერ 2005 წლის 29 ოქტომბერსა და 2005 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ვ. შ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. შ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. შ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; გ. ნ-შვილისა და ნ. კ-ძის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ვ. შ-შვილის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, ... ქ. #10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და აღნიშნული უძრავი ქონება გამონთავისუფლებული გადაეცა ვ. შ-შვილს; გ. ნ-შვილისა და ნ. კ-ძის სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ნ. კ-ძემ, გ. ნ-შვილმა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განჩინებით ნ. კ-ძისა და გ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 7-დღიანი ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

კასატორის მოწინააღმდეგე მხარე ვ. შ-შვილმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე საკასაციო სასამართლოში წარადგინა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განჩინებით ნ. კ-ძისა და გ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

2008 წლის 16 ივლისს ნ. კ-ძემ და გ. ნ-შვილმა განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას და მოითხოვეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სადავო ბინაზე ყადაღის დადება. განმცხადებლის განმარტებით, ვინაიდან სადავო ბინას არ ადევს ყადაღა, დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება, გაასხვისოს ბინა მაშინ, როდესაც სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მხარეებს შორის ჯერ არ დასრულებულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა განცხადების მოტივების შემოწმების, საქმის მასალების განხილვის შედეგად თვლის, რომ ნ. კ-ძისა და გ. ნ-შვილის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განჩინებით ნ. კ-ძისა და გ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

2008 წლის 16 ივლისს ნ. კ-ძემ და გ. ნ-შვილმა განცხადებით მიმართეს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას და მოითხოვეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სადავო ბინაზე ყადაღის დადება. განმცხადებლის განმარტებით, ვინაიდან სადავო ბინას არ ადევს ყადაღა, დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება, გაასხვისოს ბინა მაშინ, როდესაც სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მხარეებს შორის ჯერ არ დასრულებულა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

სარჩელის უზრუნველყოფა ესაა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებლისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, მოპასუხის მიერ თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის უფლების შეზღუდვის გზით. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში უნდა იყოს მითითებული იმ ფაქტორებზე, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ, კერძოდ, განცხადებაში აღნიშნულია, რომ, ვინაიდან სადავო ბინას არ ადევს ყადაღა, დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება, გაასხვისოს ბინა.

მოცემულ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განჩინებით ნ. კ-ძისა და გ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ, ვინაიდან ნ. კ-ძისა და გ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად, არ არსებობს განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. კ-ძისა და გ. ნ-შვილის განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით, სადავო ბინაზე ყადაღის დადების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

განჩინება

#ას-674-895-08

30 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ვ. ლ-ურის საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 მაისისა და 2008 წლის 30 ივნისის განჩინებებზე

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 21 იანვარს ვ. ლ-ურმა სარჩელით მიმართა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების: შპს «ბარისტერის» «საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის», მოსამართლე რ. გ-შვილის, ზ. ჩ-ძის და ს. მ-შვილის წინააღმდეგ შპს «ბარისტერის» «საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის» 2004 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ლ-ურმა

სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართა ვ. ლ-ურმა და მოითხოვა #2\3188 სამოქალაქო საქმეზე (ავთანდილ მღვდელაძის სარჩელის გამო ე. პ-ავას მიმართ უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე) 2005 წლის 26 აგვისტოს მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება და სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისათვის - ა. მ-ძისათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აპრილის განჩინებით განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

ამავდროულად პალატის 2008 30 მაისის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება ხარვეზის შეუფასებლობის გამო დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატას 2008 წლის 30 ივნისს კვლავ მიმართა ვ. ლ-ურმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით და მოითხოვა #2\3188 სამოქალაქო საქმეზე (ა. მ-ძის სარჩელის გამო ე. პ-ავას მიმართ უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე) 2005 წლის 26 აგვისტოს მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება და სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისათვის - ა. მ-ძისათვის დაბრუნება.

სააპელაციო პალატის 30 ივნისის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება დარჩა განუხილველი.

2008 წლის 30 მაისის განჩინება გასაჩივრებულ იქნა ვ. ლ-ურის მიერ 2008 წლის 1 ივლისს კერძო საჩივრით (შინაარსობრივად საჩივარი).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ივლისის განჩინებით საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 30 მაისის განჩინება ვ. ლ-ურს გადაეცა 2008 წლის 5 ივნისის სასამართლო სხდომაზე. აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი წარდგენილია 2008 წლის 4 ივლისს - გასაჩივრების 5-დღიანი ვადის დარღვევით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა ვ. ლ-ურმა, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სააპელაციო პალატის 17 ივლისის განჩინებით ვ. ლ-ურს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ლ-ურის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით 2008 წლის 30 ივნისს წარდგენილი განცხადება იგივე შინაარსისაა, როგორც მის მიერ 2008 წლის 21 აპრილს წარდგენილი განცხადება, რომელიც განუხილველად იქნა დატოვებული პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინებით. აღნიშნული გარემოება, პალატის მოსაზრებით, წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194.5-ე მუხლის შესაბამისად. განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს შემოაღნიშნული საჩივრები გადაგზავნილ იქნა უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საჩივრების განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ვ. ლ-ურის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინებაზე,

ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საჩივარი ამავე პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ვ. ღ-ურის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინებაზე, ამავე პალატის 2008 წლის 7 ივლისის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ და განმცხადებელს აძლევს ვადას მის შესავსებად. დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სასამართლო თავისი განჩინებით განცხადებას განუხილველად დატოვებს, რაც საჩივრდება საჩივრით.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ვ. ღ-ურის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინებით ხარვეზი შეუვსებლობის გამო დარჩა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება განმცხადებელს გადაეცა 2008 წლის 5 ივნისის სასამართლო სხდომაზე, ხოლო განჩინებაზე საჩივარი წარადგინა 2008 წლის 01 ივლისს - გასაჩივრების 5-დღიანი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის მიხედვით სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოტანილი განჩინება საჩივრდება 5 დღის ვადაში საჩივრით და ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ ვ. ღ-ურმა დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო ვადები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლებული კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. საჩივარი და საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ განუხილველად დარჩება.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ვ. ღ-ურმა კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა საჩივარი, შესაბამისად მან დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, რაც საჩივრის დაუშვებლად ცნობის სამართლებრივი საფუძველია.

რაც შეეხება ვ. ღ-ურის საჩივარს სააპელაციო პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებაზე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის 5 ნაწილის, თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით ხელმოკრედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც საჩივრდება საჩივრით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კანონის აღნიშნული ნორმა სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა. მართალია, ვ. ღ-ურის მიერ 2008 წლის 21 აპრილს და 2008 წლის 30 ივნისის წარდგენილი განცხადებები სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე ერთი და იგივე შინაარსისაა, მაგრამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის განცხადების საფუძველიანობაზე არსებითად არ უმსჯელია, ანუ განცხადების დაუკმაყოფილებლობას, რაც გამორიცხავდა შემდგომში სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით მიმართვის შესაძლებლობას, არ მომხდარა. მითითებული განცხადების განუხილველად დატოვება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად განპირობებული იყო ხარვეზის შეუვსებლობით, რაც არ ართმევდა უფლებას მხარეს, კვლავ მიემართა სასამართლოსათვის სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლი, შესაბამისად არ არსებობდა 2008 წლის 30 ივნისის განცხადების განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ 2008 წლის 30 ივნისის განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, იგი უნდა გაუქმდეს და ვ. ღ-ურის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 194-ე, 195-ე, 197-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. ღ-ურის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდეს.

ვ. ღ-ურის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებაზე დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინება და ვ. ლ-ურის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

განჩინება

#ას-414-738-05

17 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობით: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

განიხილა ც. და თ. წ-ძეების შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

2008 წლის 11 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს ც. და თ. წ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს თ. წ-ძის საკასაციო საჩივრით განხილულ სამოქალაქო საქმეზე (საქმე #ას-414-738-05 ც. წ-ძის სარჩელისა გამო მოპასუხე თ. წ-ძის მიმართ ქორწინების პერიოდში შექმნილ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 18 მაისის განჩინებით მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, კერძოდ, თბილისში, ... მე-4 მ/რ-ის მე-12 კორპუსში მდებარე, 88კვ.მ სხვენ-სართულზე საკასაციო სასამართლოს მიერ დადებული ყადაღის მოხსნა.

შუამდგომლობის ავტორთა განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 23 სექტემბრის განჩინება, რომლითაც თ. წ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 25 ნოემბრის განჩინება დარჩა უცვლელად, წარედგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, რომელმაც თავის მხრივ უკვე განახორციელა სადავო ქონების 1/2 ნაწილზე ც. წ-ძის თანამესაკუთრედ რეგისტრაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, შუამდგომლობის ავტორები მიიჩნევენ, რომ აღარ არსებობს ზემომითითებულ ქონებაზე ყადაღის საჭიროება და მის მოხსნას მოითხოვენ.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 18 მაისის განჩინება, მოეხსნას ყადაღა თბილისში, ... მე-4 მ/რ, მე-12 კორპუსში მდებარე 88კვ.მ სხვენ-სართულს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო 191-ე-199¹ მუხლებიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ხანგრძლივობა უკავშირდება საქმეზე წარმოების დასრულებას და მის შედეგს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 23 სექტემბრის განჩინებით თ. წ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 25 ნოემბრის განჩინება. ამდენად, საკასაციო საჩივარზე და საქმეზე წარმოება დასრულებულია, რაც განაპირობებს მოცემულ საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ც. და თ. წ-ძეების შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. მოეხსნას საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2005 წლის 18 მაისის განჩინებით დადებული ყადაღა თბილისში, ... მე-4 მ/რ მე-12 კორპუსში მდებარე 88კვ.მ სხვენ-სართულს;
3. განჩინების ასლი გაეგზავნოთ განმცხადებლებს და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა არ საჩივრდება.

2. სასამართლო სხდომაზე გამცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-123-401-08

2 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს „ბიზნესცენტრმონტაჟსპეცმშენის» გენერალურმა დირექტორმა ი. თ-იამ მოპასუხის ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მიმართ დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ სარჩელში აღნიშნა, რომ სს «ბიზნესცენტრმონტაჟსპეცმშენს» და ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტს შორის, 2003 წლის 24 მარტს დადებული ქირავნობის ხელშეკრულებით აღნიშნული დეპარტამენტი განთავსებულ იქნა სს «ბიზნესცენტრმონტაჟსპეცმშენის» კუთვნილ შენობაში. მოპასუხის მიერ 2003-2004 წლებში ქირავნობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით წარმოშობილი დავალიანება დაფარული იქნა ნაწილობრივ. მოსარჩელის განმარტებით, დარჩენილი დავალიანება შეადგენს 21248 ლარს, რაც დღემდე არ გადაუხდია მოპასუხეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 თებერვლის განჩინებით არასათანადო მოპასუხე - ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი, შეიცვალა სათანადო მოპასუხით - ენერგეტიკის სამინისტროთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით სს «ბიზნესცენტრმონტაჟსპეცმშენის» სარჩელი დაკმაყოფილდა და ენერგეტიკის სამინისტროს მის სასარგებლოდ დააკისრა 21 248 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ენერგეტიკის სამინისტრომ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სს „ბიზნესცენტრმონტაჟსპეცმშენის» სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განჩინებით ენერგეტიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში და საქმის ზეპირი განხილვა დაინიშნა 2007 წლის 18 დეკემბერს 11 საათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბერს 11 საათზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე - სს «ბიზნესცენტრმონტაჟსპეცმშენის» გენერალური დირექტორი ი. თ-ი და სს «ბიზნესცენტრმონტაჟსპეცმშენის» წარმომადგენელი ბ. ზ-შვილი. არ გამოცხადდა აპელანტი ენერგეტიკის სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ენერგეტიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

პალატამ მიიჩნია, რომ ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელს ი. ხ-მეს ეცნობა სასამართლო სხდომის დროის და ადგილის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის დაცვით.

ზემოთმითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელმა კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით სააპელაციო პალატაში 2007 წლის 18 დეკემბერს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ვერ შეძლო ჯამრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო,

დასჭირდა გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია. აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოადგინა შპს «მენი-დენტის» სტომატოლოგიურ კლინიკის ექიმის ცნობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებელი განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლის ი. ხ-ძის მიერ წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვებისა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოში 2007 წლის 18 დეკემბერს დანიშნული სხდომის შესახებ ცნობილი იყო ენერგეტიკის სამინისტროსა და მისი წარმომადგენლი-სათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ენერგეტიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უფლებამოსილი იყო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი დაეტოვებინა განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ, შპს «მენი-დენტის» სტომატოლოგიური კლინიკის მიერ გაცემულ ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ ი. ხ-ძეს ჩატარდა გართულებული ექსტრაქცია და დრენირება, საკასაციო პალატა ვერ მიიჩნევს მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან მასში პირდაპირ არ არის მითითებული ი. ხ-ძის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ. ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ი. ხ-ძე მოცემულ დავაში მონაწილეობს არ როგორც ფიზიკური პირი, არამედ როგორც ადმინისტრაციული ორგანოს - ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელი, შესაბამისად სამინისტრო ვალდებული იყო, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიენიჭებინა სხვა პირისთვის და უზრუნველყო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ან პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზებზე დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებელი განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლის ი. ხ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-303-560-08

19 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ფ-ურმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ფ. კ-შვილის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ბინიდან გამოსახლების შესახებ იმ საფუძველით, რომ მოპასუხე უკანონოდ ფლობს და არ ათავისუფლებს მოსარჩელის კუთვნილ, ქ.თბილისში, ... ქ.#29-ში მდებარე #44 ბინას.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო ბინა მას სარგებლობაში გადასცა ვ. ფ-ურმა მოპასუხისაგან ნასესხები თანხის დაბრუნებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. ფ-ურის სარჩელი დაკმაყოფილდა სადავო ბინა გამოთხოვილ იქნა ფ. კ-შვილის უკანონო მფლობელობიდან და დაუბრუნდა მოსარჩელეს, რაც ფ. კ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით.

სააპელაციო სასამართლოში ფ. კ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2007 წლის 23 ოქტომბერს, რის შესახებ მხარეებს კანონით დადგენილი წესით ეცნობათ, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ დროს მხარეები საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 22 ოქტომბერს განცხადებით მიმართა ადვოკატმა ლ. თ-შვილმა და განმარტა, რომ იგი მოცემულ საქმეში იცავს ფ. კ-შვილის ინტერესებს, თუმცა საქმის განხილვაზე ვერ გამოცხადდება ავადმყოფობის გამო და მოითხოვა საქმის განხილვის გადადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით ფ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ხოლო ლ. თ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2007 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომის შესახებ მხარეებს ეცნობათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით, თუმცა ისინი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 275-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და ჩათვალა, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი. რაც შეეხება ლ. თ-შვილის განცხადებას, სასამართლომ მიუთითა, რომ იგი არ უნდა იქნეს გაზიარებული, ვინაიდან საქმის მასალებში ფ. კ-შვილის მიერ ლ. თ-შვილის სახელზე გაცემული მინდობილობა წარმოდგენილი არ არის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ფ. კ-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა ლ. თ-შვილმა შეიტანეს კერძო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ 2007 წლის 23 ოქტომბერს ფ. კ-შვილი იყო ავად, რაც სასამართლოში მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში ფ. კ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2007 წლის 23 ოქტომბერს, რის შესახებ სასამართლო უწყებები მხარეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით ჩაბარდათ. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლოს მიერ დადგენილ დროს მხარეები საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ფ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად, მართებულად გამოიყენა ამავე კოდექსის 275-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუკი დაადგენს, რომ სასამართლოს მიერ მხარეთათვის სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად, მხარეები სასამართლო

სხდომაზე არ გამოცხადდნენ. მოცემულ შემთხვევაში სადავო სხდომის დღის შესახებ სასამართლო უწყების მხარეთათვის ჩაბარების ფაქტი მათ კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდიათ და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი სასამართლოსათვის არ შეუტყობინებიათ.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ ფ. კ-შვილი 2007 წლის 23 ოქტომბრის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მხარის ავადმყოფობა საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დადასტურდება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობაზე. განსახილველ შემთხვევაში ფ. კ-შვილს საქმის განხილვის დღეს თავისი ავადმყოფობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ფ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე გამცხადების შეუძლებლობა

განჩინება

ას-369-619-08 21 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს 2005 წლის 10 იანვარს სარჩელით მიმართა ა. დ-შვილმა.

მოსარჩელის განმარტებით, მამა - ა. დ-შვილი რეპრესირებული იყო საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის დადგენილებით 1938 წელს და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, რაც სისრულეში იყო მოყვანილი იმავე წელს. იგი რეაბირტირებულია 1966 წელს, ხოლო ვაკის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით აღიარებული იყო პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. მოსარჩელის განმარტებით, მამამისს ა. დ-შვილს უკანონოდ კონფისკაციით ჩამოერთვა ქ. თბილისში, ... გამზ. #2-ში, ბ. #13 (წილობრივი მონაცემები - 27/879), ხოლო კონფისკაციაქმნილი ოთახები დაიკავა მოპასუხე ქ. გ-შვილმა, რომელზეც რეგისტრირებულია აღნიშნული ფართი.

რაიონული სასამართლოების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მოცემული საქმე მისი შემდგომი განხილვის მიზნით დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

2006 წლის 2 იანვარს გარდაიცვალა მოპასუხე ქ. გ-შვილი. 2006 წლის 18 აპრილის საოქმო განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა მოპასუხის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

2006 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით საქმეზე საქმის წარმოება განახლდა, ხოლო 2007 წლის 4 აპრილის საოქმო განჩინებით ქ. გ-შვილის უფლებამონაცვლედ დაშვებული იყო მ. გ-შვილი, სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა მოპასუხეთა წრე და მ. გ-შვილთან ერთად მოითხოვა მისი ოჯახის წევრების ნ. გ-შვილის, გ. გ-შვილის და არასრულწლოვანი შვილების: მ. და ი. გ-შვილების გამოსახლება სადავო ბინიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ა. დ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. დ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის საოქმო განჩინებით აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ა. დ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინება უკანონოა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი შუამდგომლობის მიუხედავად საქმის სხვა დროისათვის გადადების შესახებ არ დაკმაყოფილდა, მან წარადგინა 28-ე პოლიკნინიკის მიერ გაცემული ცნობა, სადაც მითითებულია, რომ იგი არის 1 ჯგუფის ინვალიდი, აქვს პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი, ქალა-ტვინის და ზურგის ტვინის მრავლობითი ტრავმების ნარჩენი მოვლენები, გაუარესებული აქვს მდგომარეობა ჰემორაგიული ვასკულენის და ნეკნთაშუა ნევრალგიის გამო და ესაჭიროებოდა წოლითი რეჟიმი. მიუხედავად აღნიშნულისა სააპელაციო პალატამ მაინც დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაცნო ა. დ-შვილის მიერ საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის საოქმო განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, რასაც საფუძველად დაედო აპელანტის პროცესზე გამოუცხადებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის განსაზღვრავს თუ რას შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხარის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. ასეთად კი შეიძლება ჩაითვალოს, თუ პირის პროცესზე გამოუცხადებლობა გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით. ამასთან, აღნიშნული ნორმა უთითებს იმ აუცილებელ რეკვიზიტებზე, რომელიც უნდა იყოს მითითებული ავადმყოფობის დამადასტურებელ მტკიცებულებაზე, კერძოდ, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ა. დ-შვილმა სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა სამედიცინო ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ იგი არის 1 ჯგუფის ინვალიდი, აქვს პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი, ქალა-ტვინის და ზურგის ტვინის მრავლობითი ტრავმების ნარჩენი მოვლენები, გაუარესებული აქვს მდგომარეობა ჰემორაგიული ვასკულენის და ნეკნთაშუა ნევრალგიის გამო და ესაჭიროებოდა წოლითი რეჟიმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, რომ, რადგან წარმოდგენილ ცნობაში პირდაპირ არ არის მითითებული მხარის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის თაობაზე, ამიტომ აღნიშნული ცნობა არ შეიძლება გამხდარიყო ა. დ-შვილის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და ამასთან განმარტავს, რომ, მართალია, ცნობაში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ მხარეს არ შეეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, მაგრამ ცნობაში მითითებული გარემოება, რომ ა. დ-შვილს ესაჭიროება წოლითი რეჟიმი თავისთავად გულისხმობს, რომ მას შეზღუდული აქვს გადაადგილების შესაძლებლობა, რის გამოც ის ვერ შეძლებდა 2008 წლის 17 მარტს დანიშნულ პროცესზე გამოცხადებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის საოქმო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე, 284-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. დ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის საოქმო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

ას-434-676-08

23 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, ბინიდან გამოსახლება, უფლებამონაცვლედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ს-მის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების, ბინიდან გამოსახლებისა და ს. გ-მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის მეუღლე ს. გ-მესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა ქ. გორში, ... ქ.#32/17-ში მდებარე ბინის 3500 აშშ დოლარად ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით. ნ. ს-მემ თანხის ნაწილი გადაიხადა, თუმცა დარჩენილი თანხის გადახდაზე უარი განაცხადა. 2006 წლის 19 ივნისს ს. გ-მე გარდაიცვალა და მის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს მოსარჩელე. მოპასუხის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ზემოხსენებული გარიგება უნდა გაუქმდეს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ნასყიდობის ნივთი იყო უფლებრივად ნაკლის მქონე, ამდენად, გადაუხდელ თანხას დაფარავს მხოლოდ მითითებული ნაკლის აღმოფხვრის შემდეგ.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. გ-მის სარჩელი ნ. ს-მესთან გადახდის განვადებით დადებულ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაში ს. გ-მის უფლებამონაცვლედ ცნობის ნაწილში დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში კი უარი ეთქვა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ვ. გ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინებით ვ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. გ-მის სააპელაციო საჩივრის განხილვა 2008 წლის 19 მარტის სასამართლო სხდომაზე გადაიდო ამავე წლის 16 აპრილის 10 საათისათვის, რის შესახებ აპელანტის წარმომადგენელ გ. მ-შვილს და მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელ ნ. ჩ-იას ეცნობათ სხდომაზევე და ჩამოერთვათ ხელწერილი, ხოლო ვ. გ-მესა და ნ. ს-მეს გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ სასამართლო უწყებები. აღნიშნულის მიუხედავად, მხარეები 2008 წლის 16 აპრილის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ და არც აღნიშნულის საპატიო მიზეზი სააპელაციო პალატას არ აცნობეს. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ვ. გ-მემ და მისმა წარმომადგენელმა გ. მ-შვილმა შეიტანეს კერძო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით: ვ. გ-მე და მისი წარმომადგენელი 2008 წლის 16 აპრილის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ საპატიო მიზეზით - ავადმყოფობის გამო, რაც დასტურდება კერძო საჩივარზე დართული სამედიცინო ცნობებით. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორთა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის შესახებ გ. მ-შვილმა დეკლარაცია აცნობა სასამართლოს და მოითხოვა საქმის განხილვის გადადება.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ სააპელაციო სასამართლოში 2008 წლის 16 აპრილს ვ. გ-მის სააპელაციო საჩივრის განხილვის თაობაზე მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით ეცნობათ, თუმცა დანიშნულ დროს ისინი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ. სასამართლო სხდომის ოქმის შესაბამისად, სასამართლო სხდომა მიმდინარეობდა დილის 10 საათიდან 10³⁰ საათამდე და თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ არც ერთ მხარეს სააპელაციო პალატისათვის არ უცნობებია. ამდენად, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო სასამართლომ განჩინებით, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

2008 წლის 16 აპრილს, 16 საათზე სააპელაციო სასამართლოში შეტანილ იქნა დეკლარაცია, რომლითაც აპელანტ ვ. გ-მის წარმომადგენელი გ. მ-შვილი ატყობინებდა სასამართლოს თავისი და მარწმუნებლის ავადმყოფობის შესახებ, რის გამოც მოითხოვდა საქმის განხილვის გადადებას.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 აპრილის კერძო საჩივრით გასაჩივრებისას მხარემ წარმოადგინა შპს «ესკულაპის» დირექტორის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობები, რომელთა თანახმად ირკვევა, რომ 2008 წლის 16 აპრილს ვ. გ-მე იმყოფებოდა ნევროპათოლოგთან ამბულატორიულად

მიღებაზე, ხოლო ამავე წლის 15 აპრილიდან გ. მ-შვილიც ამბულატორიულად მკურნალობდა შპს «ესკულაპში».

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. გ-ძისა და მის წარმომადგენელ გ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად, მართებულად გამოიყენა ამავე კოდექსის 275-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადდება. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუკი დაადგენს, რომ სასამართლოს მიერ მხარეთათვის სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად მხარეები სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ.

მოცემულ შემთხვევაში სადავო სხდომის დღის შესახებ სასამართლო უწყების მხარეთათვის ჩაბარების ფაქტი მათ კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდიათ. აღსანიშნავია, რომ აპელანტმა თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი სასამართლოს დაგვიანებით, თუმცა მაინც აცნობა, მაგრამ ვერც ვ. გ-ძემ და ვერც გ. მ-შვილმა თავისი ავადმყოფობის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულების წარმოდგენა ვერ შეძლეს, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მხარის ავადმყოფობა საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დადასტურდება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობაზე. განსახილველ შემთხვევაში აპელანტისა და მისი რწმუნებულის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობებიდან ირკვევა, რომ, ვ. გ-ძე და გ. მ-შვილი მკურნალობდნენ ამბულატორიულად. მითითებულ ცნობებში მათი სასამართლოში გამოცხადების შეუძლებლობაზე არაფერია აღნიშნული.

ამდენად, დასახელებული დოკუმენტები აპელანტი მხარის 2008 წლის 16 აპრილის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. გ-ძისა და მის წარმომადგენელ გ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე გამცხადების შეუძლებლობა საპატიო მიზეზით

განჩინება

#ას-574-803-08

17 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: სამიდლემჩიო რჩენის ხელშეკრულების გაუქმება და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ც. ა-ოვამ მოპასუხე ლ. კ-ძის მიმართ და მოითხოვა სამისდლემჩიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვა.

სარჩელიდან ირკვევა, რომ 2002 წლის 9 დეკემბერს გაფორმდა სამისდლემჩიო რჩენის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხე ლ. კ-ძემ იკისრა მოსარჩელე ც. ა-ოვას რჩენის ვალდებულება, რის სანაცვლოდ ა-ოვამ იკისრა ვალდებულება და თავის საკუთრებაში არსებული ბინა

მდებარე ქ. თბილისში, ... III მ\რ, კორპუსი #..., დაარეგისტრირა მოპასუხის საკუთრებად. მოპასუხე ლ. კ-მე ნაკისრ ვალდებულებას ასრულებდა სამი თვის განმავლობაში შემდეგ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, რის გამოც ა-ოვამ უარი თქვა ხელშეკრულებაზე, რაც წერილობით აცნობა ლ. კ-მეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით ც. ა-ოვას სარჩელი ლ. კ-მის მიმართ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდა - შეწყდა 2002 წლის 9 დეკემბერს ც. ა-ოვასა და ლ. კ-მეს შორის დადებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება. ც. ა-ოვას საკუთრებაში დაუბრუნდა ქ. თბილისში, ... მე-3 მ\რის კორპუს #...-ში, ბინა #37. აღნიშნული ბინა გამოთხოვილ იქნა ლ. კ-მის უკანონო მფლობელობიდან და გამონთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა ც. ა-ოვას.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. კ-მემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2008 წლის 15 მაისს სააპელაციო საჩივრის ზეპირი განხილვისათვის გამართულ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი ლ. კ-მე და მისი წარმომადგენელი ე. მ-შვილი. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის განჩინებით ლ. კ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ ლ. კ-მე და მისი წარმომადგენელი ე. მ-შვილი, რომლებიც გაფრთხილებული იყვნენ სასამართლო სხდომის დღის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 15 მაისის საოქმო განჩინებით აპელანტის განცხადება საქმის განხილვის გადადების თაობაზე არ დააკმაყოფილა, ვინაიდან აპელანტის მიერ გამოუცხადებლობის მიზეზად მითითებული გარემოება - ავადმყოფობა არ ჩათვალა სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის საპატიო მიზეზად, იმდენად, რამდენადაც სხდომის დღეს აპელანტის ავადმყოფობის შესახებ წარმოდგენილი სამედიცინო დაწესებულების ცნობა სსსკ-ის 215-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად არ შეიცავდა საექიმო დაწესებულების ხელმძღვანელის პირდაპირ მითითებას სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. კ-მის წარმომადგენელმა ე. მ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, განჩინებაში მითითებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვის აუცილებლობა იქნებოდა მაშინ, თუ ლ. კ-მე სამედიცინო დაწესებულებას მიმართავდა იმის დასადგენად, რომ შეეძლო თუ არა მას სასამართლო პროცესზე გამოცხადება. ლ. კ-მეს ზემოაღნიშნული მიზეზით კი არ მიუმართავს სამედიცინო დაწესებულებისათვის, არამედ მან მიმართა ექიმს თავის არეში ძლიერი ტკივილის გამო და პროცესზე გამოცხადება თუ ვერ შეეძლო, ეს გამოწვეული იყო თავის არეში ძლიერი ტკივილებისა და იმ ფიზიკური ნაკლის გამო, რომელიც გააჩნია ლ. კ-მეს (იგი არის II ჯგუფის ინვალიდი, ყრუ-მუნჯი), რითაც ისარგებლა მოწინააღმდეგე მხარემ და იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ ლ. კ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის განჩინებით ლ. კ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

ლ. კ-მის წარმომადგენელმა ე. მ-შვილმა სასამართლო სხდომაზე გამუცხადებლობის საპატიო საფუძველად წარმოადგინა სამედიცინო დაწესებულების - სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრის «დიაგნოზის» ექიმის მიერ გაცემული ცნობა, რომლის შესაბამისად პროცესზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ლ. კ-მე 15 მაისს იმყოფებოდა ექიმთან, ზემოხსენებულ სამედიცინო დაწესებულებაში, - ჰემიკრანის დიაგნოზით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება. ასეთს წარმოადგენს ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა ობიექტურ გარემოებები, რამაც შეიძლება დააბრკოლოს მხარის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

ამასთან ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით და პირდაპირ მიუთითებდეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

კასატორის მიერ სასამართლოსათვის მტკიცებულების სახით წარმოდგენილ სამედიცინო ცნობას, საკასაციო პალატა ვერ განიხილავს მისი პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან

ზემოთ მითითებული ნორმის შესაბამისად, მართალია, ცნობას ხელს აწერს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი, მაგრამ აღნიშნული ცნობით არ დასტურდება ლ. კ-ძის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობა. დასახელებული ცნობა არ შეიცავს მითითებას მხარისათვის გადაადგილების შემზღვეველ გარემოებებზე. ხოლო სხვა რაიმე მტკიცებულება, რაც მიუთითებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობაზე, მისი მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა.

შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი ლ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ლ. კ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი

განჩინება

#ას-644-866-08

26 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შუამდგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი**

დავის საგანი: ~~უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა~~

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ბ-ურმა სარჩელი აღძრა ნ. ბ-ურის მიმართ მიწის ნაკვეთის უკანონო მფლობელობის აღკვეთის, მოპასუხის მხრიდან მიწის ნაკვეთის გამიჯვნისა და სასაზღვრო მიჯნის აღმართვის შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2003 წლის 8 აპრილს დედის - ა. ბ-ურის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო მისი საცხოვრებელი სახლი და 1762 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე ბორჯომის რ-ნის დ. ბაკურიანში, რაც დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში 2003 წლის 11 აპრილს. მოპასუხე ცხოვრობს მის მეზობლად მისი მეუღლის მიერ 1981 წელს შეძენილ საცხოვრებელ სახლში, რომელიც მდებარეობს 500 კვ.მ მიწაზე. აღნიშნულ სახლზე 1990 წელს გაცემული ტექპასპორტით საცხოვრებელი სახლი აშენებულია 617 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ხოლო საკადასტრო მონაცემებით მის საკუთრებაში აღრიცხული საკარმიდამო მიწა შეადგენს 630 კვ.მ-ს. მოსარჩელე ბ. ბ-ურის საკუთრებაში არსებული 1762 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან იგი სარგებლობს მხოლოდ 1663,3 კვ.მ-ით. დარჩენილი 98,5 კვ.მ-ით კი სარგებლობს მოპასუხე.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბ. ბ-ურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ბ. ბ-ურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 17 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბ. ბ-ურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ბ. ბ-ურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 მაისის განჩინებით ბ. ბ-ურის საჩივარი არ დაკმაყოფილდა - უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლო 17 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ბ. ბ-ურმა. მან მიუთითა, რომ სასამართლო პროცესის თაობაზე მისთვის და მისი წარმომადგენლისათვის ცნობილი იყო, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. სასამართლო პროცესზე იგი ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო, ხოლო მის წარმომადგენელს ახლო ნათესავი გარდაეცვალა. მიუხე-

დავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არ ჩათვალა აღნიშნული გარემოებები საპატიოდ და არასწორად გამოიტანა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ ბ. ბ-ურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დადგენილია, რომ მოცემული საქმის განხილვა დაინიშნა 2008 წლის 17 მარტს. მხარეები გაფრთხილებულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა აპელანტი ბ. ბ-ური, ასევე არ გამოცხადდა მისი წარმომადგენელი კ. ნ-შვილი, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ბ. ბ-ურმა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, კერძოდ, აპელანტის - ბ. ბ-ურის გამოუცხადებლობა განპირობებული იყო მისი ავადმყოფობით, ხოლო წარმომადგენლის - კ. ნ-შვილის გამოუცხადებლობა ახლო ნათესავის გარდაცვალებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება საპატიოდ, თუ მისი ავადმყოფობა დადასტურებული იქნება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ უნდა უთითებდეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი აუცილებელ პირობად მიიჩნევს ავადმყოფობის დამადასტურებელ დოკუმენტზე სამედიცინო ხელმძღვანელის ხელმოწერას და ამ დოკუმენტში იმაზე მითითებას, რომ მხარეს სასამართლო პროცესზე გამოცხადება არ შეეძლო.

მოცემულ შემთხვევაში, შპს ბაკურიანის საავადმყოფოს დირექტორის მიერ 2008 წლის 19 მარტს გაცემული ცნობით, ვერ დასტურდება, რომ აპელანტი ბ. ბ-ურს, სწორედ სხდომის დღეს, 2008 წლის 17 მარტს, არ შეეძლო გადაადგილება და სასამართლო პროცესზე გამოცხადება.

ბ. ბ-ურის წარმომადგენელ კ. ნ-შვილს არ წარმოუდგენია პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის მტკიცებულება.

პალატა განმარტავს, რომ, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული ის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აპელანტის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. ბ-ური სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ბ. ბ-ურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-706-926-08

16 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ხ-შვილის, ვ. ფ-ძის, დ. გ-შვილის, ი. ფ-შვილის, ნ. გ-ძის, ლ. ს-იას, ტ. ს-ელის, ა. დ-ელის, ტ. ს-შვილის, დ. ჩ-ანის, მ. ყ-შვილის, ჯ. გ-ძის, ე. ჩ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ნ. ხ-შვილის, ვ. ფ-ძის, დ. გ-შვილის, ი. ფ-შვილის, ნ. გ-ძის, ლ. ს-იას, ტ. ს-ელის, ა. დ-ელის, ტ. ს-შვილის, დ. ჩ-ანის, მ. ყ-შვილის, ჯ. გ-ძის, ე. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი რამდენიმეჯერ იქნა განხილული სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში. საბოლოოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. აპელანტების მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ნ. ხ-შვილის, ვ. ფ-ძის და სხვათა საკასაციო საჩივრის საფუძველზე გაუქმდა იმ ნაწილში რომლითაც «ცეკავშირის» აპარატის მუშაკებს უარი ეთქვათ სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის საოქმო განჩინებით აპელანტების ე. ჩ-ძის, ჯ. გ-ძის, მ. ყ-შვილის, ტ. ს-შვილის, ნ. გ-ძის, დ. ჩ-ანის, ლ. ს-ლიას და ტ. ს-ელის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი მხარეთა გამოუცხადებლობის გამო. ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის დაუწრებელი გადაწყვეტილებით ნ. ხ-შვილის, ვ. ფ-ძის, დ. გ-შვილის, ი. ფ-შვილის, ა. დ-ელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ჩ-ძის, ნ. გ-ძის, ჯ. გ-ძის, მ. ყ-შვილის, დ. ჩ-ანის, ტ. ს-ელის წარმომადგენელმა ნ. გ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, უწყება, მართალია, ჩაჰბარდა ერთერთ აპელანტს, კერძოდ, ნ. ხ-შვილს, რომელსაც ყველა დანარჩენმა აპელანტმა კანონით დადგენილი წესით გაუფორმეს რწმუნებულება და იგი წარმომადგენდა ამ პირებს პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ რადგანაც იგი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ, არა აქვს ჩაბარებული ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა და არ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, იგი ვერ ჩაითვლებოდა კასატორის მარწმუნებლების წარმომადგენლად მეორე ინსტანციის სასამართლოს დონეზე. ხოლო დანარჩენ მარწმუნებლებს უწყება არ ჩაბარებიათ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გამოუცხადებელ პირებს ჰქონდათ გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რომელიც არ აცნობებს სასამართლოს, ვინაიდან არ იცოდნენ, რომ სხდომა და-ნიშნული იყო. თუმცა კერძო საჩივრის ავტორებს კიდევაც რომ სცოდნოდათ სასამართლო სხდომის დრო და ადგილი, ისინი ვერ შეძლებდნენ პროცესზე დასწრებას შემდეგ გარემოებათა გამო:

ე. ჩ-ძემ 2008 წლის 8 ივლისს, ანუ სასამართლო სხდომის დღეს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო იმყოფებოდა #4 პროფილაქტიკურ ცენტრში ამბულატორულ მიღებაზე, სადაც დაუდგინეს ჰიპერტენზია II კრიზი, გ.ი.დ. (გულის იშემიური დაავადება) სტენოკარდია შეტევით, რაზეც დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა. აღნიშნულის დასამტკიცებლად წარმომადგენელია #4 პროფილაქტიკურ ცენტრის მიერ გაცემული ცნობა.

დ. ჩ-ანი, რომელიც მუშაობს შპს «ქართლიგაზში», 2008 წლის 7 ივლისიდან 10 ივლისამდე იმყოფებოდა შპს #7 მ/პოლიკლინიკის მიერ გაცემულ სამედიცინო ფურცელზე დიაგნოზით მწვავე რესპირატორული დაავადება, რომელიც ხასიათდება კონტაგიოზურობის (დავადების გადადების რისკი) მაღალი ხარისხით.

ნ. გ-მე 2008 წლის 8 ივლისს დილის 9⁰⁰ საათზე შევიდა #5 სამშობიარო სახლში დიაგნოზით დისფუნქციური სისხლდენა, სადაც ჩაუტარდა სათანადო მკურნელობა, სისხლდენა შეწყდა და იმავე დღეს საღამოს 8⁰⁰ საათზე გაეწერა ბინაზე. აღნიშნულის დასამტკიცებლად წარმოგიდგინეთ #5 სამშობიარო სახლის მიერ 2008 წლის 9 ივლისს გაცემულ #35 ცნობას.

მ. ყ-შვილი 2008 წლის 8 ივლისს იმყოფებოდა სამედიცინო კონცერნ „კურაციოში“, რაზეც მეტყველებს ამ სამედიცინო დაწესებულების მიერ 2008 წლის 14 ივლისს გაცემული ცნობა და დანიშნულება. ამ დღით დათარიღებული კონსულტაციის/გამოკვლევის ბარათის თანახმად, ავადმყოფს დაესვა შემდეგი დიაგნოზი: მეტაბოლური სინდრომი, არტერიული ჰიპერტენზია ტრანზიტორული, ჰიპერკოაგულაცია, აუტოიმუნური თირეოიდიტი ჰიპოთირეოზის ფაზა და აბდომინალური სიმსივნე და დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა. აღსანიშნავია, რომ მ. ყ-შვილს აღნიშნულ კლინიკაში ჩაუტარდა სხვადასხვა ტიპის გამოკვლევა 3 ივლისიდან 14 ივლისის ჩათვლით. დაესვა საბოლოო დიაგნოზი, რაც აისახა ამონაწერში ისტორიიდან.

რაც შეეხება ჯ. გ-მეს 2008 წლის 8 ივლისს ჯანმრთელობის გაუარესების გამო გამოიძახა სასწრაფო დახმარება, რომელმაც დაადგინა გულის იშემიური დაავადება სტენოგარდია, რაც აისახა თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრის მიერ გაცემულ #562 სამედიცინო ბარათში.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ტ. ს-ელს 2008 წლის 8 ივლისს ჰქონდა მეუღლის ორმოცი, რის დამადასტურებლადაც წარმოგიდგინეთ გარდაცვალების და ქორწინების მოწმობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თანდართულ მტკიცებულებებს და თვლის, რომ ე. ჩ-მის, ნ. გ-მის, ჯ. გ-მის, მ. ყ-შვილის, დ. ჩ-ანის, ტ. ს-ელის წარმომადგენლის ნ. გ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის შეაბამისად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამავე კოდექსის 231-ე მუხლის შესაბამისად თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომელსაც გაეგზავნათ შეტყობიება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები არეგულირებს მხარისათვის უწყების გაგზავნის წესებს, ხოლო მხარის კანონით დადგენილი წესით გაუფრთხილებლობა ისეთ გარემოებას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების საფუძველი გახდეს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის საოქმო განჩინებით აპელანტების: ე. ჩ-მის, ჯ. გ-მის, მ. ყ-შვილის, ტ. ს-შვილის, ნ. გ-მის, დ. ჩ-ანის, ლ. ს-იას და ტ. ს-ელის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ე. ჩ-მეს, ნ. გ-მეს, ჯ. გ-მეს, მ. ყ-შვილს, დ. ჩ-ანს სასამართლო სხდომის დღის შესახებ ეცნობათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ვინაიდან საქმის მასალებში არ მოიპოვება აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, ეს იქნება უწყების ჩაბარების შეტყობინების ბარათი თუ მხარის ხელწერილი სხდომის დღის და დროის თაობაზე გაფრთხილების შესახებ. საქმის მასალებიდან ირკვევა მხოლოდ ის გარემოება, რომ 2008 წლის 8 ივლისს სასამართლო სხდომის თაობაზე ხელწერილით გაფრთხილებულ იქნა მხოლოდ ტ. ს-ელი.

რაც შეეხება ტ. ს-ელს, მას გამოუცხადებლობის საპატიო საფუძველად კერძო საჩივარში მითითებული აქვს მეუღლის გარდაცვალება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება. ასეთს წარმოადგენს ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა ობიექტურ გარემოებები, რამაც შეიძლება დააბრკოლოს მხარის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა თვლის, რომ ტ. ს-ელის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ისეთი საფუძველით, რაც სასამართლოს მიერ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო გარემოებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი საფუძველიანია, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის საოქმო განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ე. ჩ-ძის, ნ. გ-ძის, ჯ. გ-ძის, მ. ყ-შვილის, დ. ჩ-ანის, ტ. ს-ელის წარმომადგენლის ნ. გ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის საოქმო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

3. სასამართლო გადაწყვეტილება

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

განჩინება

#ას-932-1238-07

11 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
მ. ცისკაძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «თბილმეტრომშენის» მიმართ ზიანის - 27146 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1991 წელს ქ. ცხინვალში მცხოვრებმა მოსარჩელემ და ქ. თბილისში, ... დასახლების ... კორპუსის #46 ბინის მფლობელმა ს. ბ-ევმა საცხოვრებელი ბინები გაცვალეს, რის შემდეგ გაირკვა, რომ ქ. თბილისის ბინაზე პრეტენზიას აცხადებდა მოპასუხე. სადავო ბინაში უკანონოდ შესახლდა მ-ძეების ოჯახი. წლების განმავლობაში მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად მოსარჩელეს გამოეყო ქ. თბილისში, ... გამზირზე მდებარე ... კორპუსის #1ა არასაცხოვრებელი 47,5 კვ.მ. მოპასუხემ ვალდებულება იკისრა, თავისი ხარჯით საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოეყვანა, თუმცა ნაკისრის ვალდებულება არ შეასრულა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ქ. თბილისში, ... დასახლების ... კორპუსის #46 ბინა მდებარეობდა საუწყებო სახლში და მასზე მოსარჩელეს რაიმე უფლება არ გააჩნდა, თუმცა ორგანიზაციის ინიციატივით აღნიშნული ბინის სანაცვლოდ, მ. გ-ძის ოჯახს გამოეყო ქ. თბილისში, ... გამზირზე მდებარე ... კორპუსის #1ა არასაცხოვრებელი 47,5 კვ.მ, საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოეყვანა უნდა მომხდარიყო უწყების ხარჯებით, მაგრამ თბილმეტრომშენში მოხდა ცვლილება, ძველი გენერალური დირექტორი გათავისუფლდა და დაინიშნა ახალი. მოპასუხეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის ლტოლვილ გ-ძის ოჯახისათვის ბინის გამოყოფის შესახებ არ უცნობებია აღნიშნული ბინის საცხოვრებელ მდგომარეობაში მოყვანამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა მოსარჩელემ. ამავე სასამართლოს 2007 წლის 20 მარტის განჩინებით მ. გ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

საქალაქო სასამართლოს განჩინება მ. გ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება გაუქმდა, საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შპს «თბილმეტრომშენის» ჩაჰბარდა 2007 წლის 25 ოქტომბერს, საჩივარი კი მხარემ შეიტანა ამავე წლის 6 ნოემბერს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინებით შპს «თბილმეტრომშენის» საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივარი შეტანილ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის დარღვევით, ვინაიდან გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარემ ჩაიბარა 2007 წლის 25 ოქტომბერს და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, მისი გასაჩივრების ვადა ამოიწურა ამავე წლის 5 ნოემბერს, თუმცა მხარემ საჩივარი შეიტანა 2007 წლის 6 ნოემბერს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს «თბილმეტრომშენის» შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველზე, რომ მხარეს საჩივრის შეტანის 10-დღიანი ვადა არ დაურღვევია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ შპს «თბილმეტრომშენის» კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 3 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება შპს «თბილმეტრომშენის» ჩაჰბარდა 2007 წლის 25 ოქტომბერს. ამავე წლის 6 ნოემბერს მხარემ საჩივრით მიმართა სასამართლოს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის იმ დროისათვის მოქმედი რედაქციით, რომლის მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის გამოთვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაჰბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. დასახელებული ნორმა ადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადას, რომლის დარღვევით შეტანილი საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული. მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 3 ოქტომბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილი ვადის დაცვით, რადგან სადავო საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა ამოიწურა 2007 წლის 5 ნოემბერს, საჩივარი კი შეტანილ იქნა მომდევნო დღეს - 2007 წლის 6 ნოემბერს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს «თბილმეტრომშენის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

განჩინება

ას-273-531-08 14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ბინიდან გამოსახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს 2004 წლის 4 მაისს სარჩელით მიმართა თ. ვ-მემ მოპასუხე მ. გ-ორის მიმართ, ბინიდან გამოსახლების შესახებ.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. ვ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა. მ. გ-ორი თანხლებ პირებთან ერთად გამოსახლებული იქნა ბინიდან მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #19ა, ბინა 23-დან. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2006 წლის 10 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა ა. თ-შვილმა და მოითხოვა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 აპრილის განჩინებით ა. თ-შვილის განცხადება თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. თ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. თ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 აპრილის განჩინება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა ა. თ-შვილმა საჩივრით, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით ა. თ-შვილის საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატის 2007 წლის 13 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ა. თ-შვილს ჩაბარდა 2008 წლის 11 თებერვალს, ხოლო მის მიერ სასამართლოში შეტანილი საჩივარი თარიღდება 2008 წლის 25 თებერვლით. პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ა. თ-შვილის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მოკლებულია განხილვის სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან იგი შეტანილია სასამართლოში კანონით დადგენილი ვადის გადაცილებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. თ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სადავო განჩინების გამოტანისას სასამართლომ ჩათვალა, რომ 2008 წლის 25 თებერვლისათვის გასული იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ათდღიანი ვადა. კერძოდ, განჩინების სამოტივაციო ნაწილში მითითებულია, რომ ა. თ-შვილს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაბარდა 2008 წლის 11 თებერვალს. სინამდვილეში მას დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაბარდა 2008 წლის 13 თებერვალს, ხოლო 13 თებერვლიდან საჩივარი შეტანილია შესაბამისი ვადის დაცვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით ა. თ-შვილის საჩივარი დარჩა განუხილველი. უცვლელად იქნა დატოვებული ამავე პალატის 2007 წლის 13 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის გამოთვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ათდღიანი ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელია. მოცემულ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ა. თ-შვილს ჩაბარდა 2008 წლის 11 თებერვალს, ამდენად, მითითებული ნორმის შესაბამისად, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 12 თებერვალს და ამოიწურა 21 თებერვალს. ა. თ-შვილმა კი საჩივარი შეიტანა 2008 წლის 25 თებერვალს, კანონით გათვალისწინებული ათდღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაბარდა 2008 წლის 13 თებერვალს, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მხარეს არ წარმოუდგენია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ა. თ-შვილის საჩივრის დაუსაბუთებლობის შესახებ და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ა. თ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

განჩინება

#ას-174-441-08

22 მაისი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 13 სექტემბერს ქ. შ-მემ სარჩელი ადმრა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების - ქ. და ჯ. ა-ძეების მიმართ და მოითხოვა სესხის სახით გადაცემული 2000 აშშ დოლარის დაბრუნება ან ამ თანხის გადახდის მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი რეალიზაცია.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 მარტის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ქ. შ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხეებს - ქ. და ჯ. ა-ძეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სესხად გადაცემული 2000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა ან ამ თანხის გადახდის მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონების - ხელვაჩაურის რ-ის სოფ. ... 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის იძულებითი რეალიზაცია.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. და ჯ. ა-ძეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინებით სასამართლოს მთავარ სხდომაზე სააპელაციო საჩივრის ავტორების - ქ. და ჯ. ა-ძეების გამოუცხადებლობის გამო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ქ. და ჯ. ა-ძეებმა განჩინების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ სასამართლო სხდომის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით არ იყვნენ გაფრთხილებულნი, საქმეში არ არსებობდა უწყების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. მოსამართლის თანაშემწის მიერ ტელეფონის მეშვეობით მიწოდებული ინფორმაცია სხდომის დროის შესახებ, ხანდაზმულობის გამო, სწორად ვერ გაიგეს, რის გამოც ვერ მოახერხეს სხდომაზე დასწრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ქ. და ჯ. ა-ძეების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამავე კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამავ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

აღნიშნული ნორმების თანახმად, როდესაც მოპასუხე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინააღმდეგაა, მაშინ სასამართლომ უნდა გაარკვიოს, თანახმა იქნება თუ არა მოპასუხე, სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვოს. თანხმობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (სსკ-ის 275-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ტექნიკური საშუალებებით გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება ტელეფონოგრაფიის

შემთხვევაში ტელეფონოგრამის გადაცემის შესახებ შედგენილი აქტით, რომელშიც მიეთითება ტელეფონოგრამის გადაცემის დაწყებისა და დასრულების დრო.

მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის თანაშემწე თ. ქ-მის მიერ შედგენილი აქტით ირკვევა, რომ ქ. და ჯ. ა-ძეები სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ გაფრთხილებულები იყვნენ კანონით დადგენილი წესით. იმის გამო, რომ სასამართლო სხდომაზე სააპელაციო საჩივრის ავტორები არ გამოცხადებულან და არც რაიმე საპატიო მიზეზი გამოუცხადებლობის შესახებ ან საქმის განხილვის გადადების თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებიათ, სააპელაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დარჩა განუხილველად.

კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებას იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით არ იყვნენ გაფრთხილებულნი სხდომის თაობაზე, საქმეში არ არსებობდა უწყების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო მოსამართლის თანაშემწის მიერ ტელეფონის მეშვეობით მიწოდებული ინფორმაცია სხდომის დროის შესახებ ხანდაზმულობის გამო არასწორად გაიგეს, რის გამოც ვერ მოახერხეს სხდომაზე დასწრება, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, დადგენილია, რომ სასამართლო უწყება 2007 წლის 27 დეკემბერს დანიშნულ სასამართლო სხდომის ადგილისა და დროის შესახებ მათ გაეზავნათ კანონით დადგენილი წესით, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მეშვეობით ჩაჰბარდათ 2007 წლის 27 დეკემბერს 11:00 საათზე. იმავე დღეს 16:00 საათზე ისინი მოსამართლის თანაშემწეს დაუკავშირდნენ ტელეფონის მეშვეობით და აუწყეს, რომ ფიზიკურად ვერ შეძლებდნენ სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას, რომელმაც განუმარტა, რომ საქმის განხილვა 2008 წლის 24 იანვარს 12:00 საათზე იყო გადადებული. აღნიშნულს არ უარყოფენ თავად ქ. და ჯ. ა-ძეები, ხოლო მათი განმარტება, რომ ხანდაზმულობის გამო სწორად ვერ გაიგეს სხდომის დრო, აღნიშნული სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სააპელაციო საჩივრის ავტორთა გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად, რის გამოც არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. და ჯ. ა-ძეების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

განჩინება

#ას-225-486-08

28 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2007 წლის 5 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა - უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 მარტის განჩინება

დასახელებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლები მხარეებს გაეგზავნათ ფოსტის მეშვეობით.

2007 წლის 28 ნოემბერს, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, ფოსტის მეშვეობით შემოვიდა ნ. ბ-მის საჩივარი ამავე სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე.

საქმის მასალებით არ ირკვეოდა, თუ როდის ჩაჰბარდა ნ. ბ-მეს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი და საჩივარი კანონით გათვალისწინებულ 10-დღიან ვადაში იყო თუ არა შემოტანილი

სასამართლოში. კანონმდებლობის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ყოველგვარი ექვი უნდა გადაწყდეს დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნ. ბ-ძის საჩივარი სააპელაციო სასამართლოში შეტანილი იყო კანონით გათვალისწინებული 10-დღიანი ვადის დაცვით და 2007 წლის 30 ნოემბრის განჩინებით მიიღო წარმოებაში განსახილველად.

2007 წლის 18 დეკემბერს, სააპელაციო სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე, სახალხო ფოსტიდან, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემოვიდა მომართვა, რომლითაც ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 05 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი, შეკვეთილი #1704/11 წერილით გაგზავნილი მოქალაქე ნ. ბ-ძის სახელზე, ადრესატს ჩაჰბარდა პირადად 2007 წლის 11 ნოემბერს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ნ. ბ-ძის საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ 2006 წლის 18 დეკემბერს შემოსული საფოსტოს სამსახურის უფროსის მიმართვის საფუძველზე დადგინებულად მიიჩნია, რომ ნ. ბ-ძეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით, პირადად, 2007 წლის 11 ნოემბერს, მას საჩივრის შეტანის კანონით გათვალისწინებული 10-დღიანი ვადა ჰქონდა 2007 წლის 21 ნოემბრამდე, თუმცა საჩივარი ფოსტას ჩააბარა 24 ნოემბერს, ანუ სამი დღის ვადის დარღვევით, შესაბამისად, საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდა ამ საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ, რაც გახდა საფუძველი ნ. ბ-ძის საჩივრის განუხილველად დატოვებისა გასაჩივრების ვადის გასვლის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ნ. ბ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით სააპელაციო პალატის მიერ არასწორად იქნა დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მას 2007 წლის 5 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა პირადად 2007 წლის 11 ნოემბერს აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს. სააპელაციო პალატა შეცდომაშია შეყვანილი სახალხო ფოსტიდან მიღებული არასწორი ინფორმაციის გამო.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით მან კერძო საჩივარს დაურთო შეკვეთილი წერილის კონვერტის ასლი, რომლის დედანსაც წარმოადგენს დამატებით. მისი აზრით აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სახალხო ფოსტის ბათუმის განყოფილებიდან შტამპის შესაბამისად გზავნილი ვერ გამოვიდოდა 2007 წლის 15 ნოემბერზე ადრე. შესაბამისად, დაუსაბუთებელია მსჯელობა და შეუძლებელი იქნებოდა, რომ მას გზავნილი ჩაჰბარებოდა 2007 წლის 11 ნოემბერს. დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ კანონის შესაბამისად გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო ვადა იყო 2007 წლის 25 ნოემბერი. საჩივარი კი ფოსტის განყოფილება ჩატარდა 24 ნოემბერს, შესაბამისად საჩივარი შეტანილია კანონით დადგენილ ვადაში და არ არსებობს მისი განუხილველად დატოვების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ნ. ბ-ძის საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი - უცვლელად იქნა დატოვებული ამავე პალატის 2007 წლის 13 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის გამოთვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაჰბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა 2007 წლის 5 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს კანცელარიას ნ. ბ-ძეზე გასაგზავნად ჩაბარდა 2007 წლის 12 ნოემბერს, შესაბამისად საკასაციო პალატა თვლის, რომ ყოველგვარ რეალობას მოკლებულია და შეუძლებელია, გაიზიარო სახალხო ფოსტის ქუთაისის ფილიალის საფოსტო სამსახურის უფროსის მიმართვა, რომ სასამართლოს მიერ 2007 წლის 12 ნოემბერს გაგზავნილი შეკვეთილი წერილი #17041/11 ნ. ბ-ძეს პირადად ჩაჰბარდა 2007 წლის 11 ნოემბერს.

საკასაციო სასამართლოს ზემოთმითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად მიაჩნია, რომ გაურკვეველია მხარისათვის გზავნილის ჩაბარების თარიღი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას უფლება არ ჰქონდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით განსაზღვრული წესის მიხედვით დადგენილად ჩათვალია მხარისათვის განჩინების ასლის ჩაბარების ფაქტი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ნ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი არასწორად იქნა განუხილველად დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე, 284-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ბ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-482-721-08 29 ივლისი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 16 მაისს ნ. ს-მემ მცხეთის რაიონულ სასამართლოს სახელფასო დავალიანების გადახდევინების შესახებ სასარჩელო განცხადებით მიმართა. მოსარჩელის განმარტებით, იგი სს «დუშეთი გაზი» მუშაობდა და 1995 წლიდან არ უსარგებლია კუთვნილი შვებულებით. აღნიშნულ ორგანიზაციას მის მიმართ გააჩნდა სახელფასო დავალიანება - 6500 ლარი.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნ. ს-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - სს «დუშეთი გაზს» მოსარჩელის სასარგებლოდ 651,20 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის სახით 100 ლარის გადახდა დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნ. ს-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

2008 წლის 7 აპრილს სს «დუშეთი გაზის» უფლებამონაცვლე სს «ქართლი გაზმა» თბილისის სააპელაციო სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა. აპელანტმა მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ნ. ს-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინებით ნ. ს-ძის საპელაციო საჩივარი და სს «ქართლი გაზის» შეგებებული სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. ვინაიდან სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი ნ. ს-მე, ხოლო სს «ქართლი გაზის» წარმომადგენელს არ დაუყენებია შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლით და ნ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა. რაც შეეხება შეგებებულ სააპელაციო საჩივარს, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, რადგანაც მისი ღირებულება არ აღემატებოდა 1000 ლარს და, შესაბამისად, განუხილველი უნდა დარჩენილიყო.

2008 წლის 14 მაისს ნ. ს-მემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას კერძო საჩივრით მიმართა და მიუთითა, რომ 5 აპრილს დ. ჟინვალის საავადმყოფოში თიაქრის ოპერაცია გაიკეთა. ამდენად, 10 აპრილის სხდომაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვის გაგრძელება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ ნ. ს-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-

78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი ნ. ს-ძე, რომელსაც სხდომის დრო და ადგილი ეცნობა კანონით დადგენილი წესით. ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარე არ ითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის განჩინებით ნ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის, მართალია, მოცემული მუხლი ეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, მაგრამ, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება განპირობებული იყო მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობით, საკასაციო პალატამ ზემოაღნიშნული მუხლით უნდა იხელმძღვანელოს.

კერძო საჩივრის ავტორმა საკასაციო პალატას წარუდგინა ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, საიდანც ირკვევა, რომ ნ. ს-ძე 3 აპრილიდან 10 აპრილამდე ჟინვალის საავადმყოფოში გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას, მარცხენამხრივი ხაზის ჩაჭედილი თიაქრის დიაგნოზით და მას ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია. ცნობა დადასტურებულია საავადმყოფოს ხელმძღვანელის ხელმოწერით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთ «სხვა საპატიო მიზეზს» წარმოადგენს მხარის ავადმყოფობა, რომელიც გამოირიცხავს სასამართლოს სხდომაზე მის დასწრებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ცნობა უტყუარად ადასტურებს 2008 წლის 10 აპრილის სასამართლო სხდომაზე ნ. ს-ძის დასწრების შეუძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. ს-ძის სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული და გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე, 341-ე, მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ს-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინება და საქმე, ნ. ს-ძის სააპელაციო საჩივრის განსახილველად, დაუბრუნდეს იმავე პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

განჩინება

#ას-461-702-08

30 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ.გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობისა და ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 20 ივნისს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ს. გ-იანმა და გ. გ-იანმა მოპასუხეების: რ. ა-იანის, ს. ა-იანის, ნოტარიუს რ. გ-იას, მესამე პირების - რ. გ-იანისა და ს. ა-იანის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს მინდობილობით რ. ა-იანის წარმომადგენელ რ. გ-იანის სახელზე 2005 წლის 2 აპრილს გაცემული სამკვიდრო მოწმობის, აგრეთვე - რ. ა-იანსა (მინდობილობით წარმომადგენელ რ. გ-იანისა) და ს. ა-იანს შორის 2005 წლის 20 აპრილს დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელები და მოპასუხეები (რ. და ს. ა-იანები) არიან და-მმანი. მათი მამა მ. ა-იანი გარდაიცვალა 1984 წლის 1 სექტემბერს. გარდაცვლილის საკუთ-

რებაში იმყოფებოდა ქ. რუსთავში, ... ქ. #4-ში მდებარე ბინა. მ. ა-იანის გარდაცვალებამდე და მის შემდეგაც რ. და ს. ა-იანები ცხოვრობენ რუსეთში, მამის კუთვნილ ბინაში მათ არასდროს უცხოვრიათ. ამის მიუხედავად, საჯარო რეესტრში მოხდა სადავო ბინის ს. ა-იანის სახელზე რეგისტრაცია. 2005 წლის 2 აპრილს ნოტარიუსმა რ. გ-იამ მინდობილობით რ. ა-იანის წარმომადგენელ რ. გ-იანის სახელზე გასცა სამკვიდრო მოწმობა, ხოლო 2005 წლის 20 აპრილს ამავე ნოტარიუსმა დაამოწმა რ. ა-იანსა (მინდობილობით წარმომადგენელ რ. გ-იანს) და ს. ა-იანს შორის 2005 წლის 20 აპრილს თბილისში, ... ქ. #4-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე დადებული ჩუქების ხელშეკრულება.

მოსარჩელები სამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 21 წლის გასვლის შემდეგ რუსეთში მცხოვრებ მემკვიდრეებზე სამკვიდროს გახსნას კანონშეუსაბამოდ მიიჩნევდნენ და მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებდნენ სამოქალაქო კოდექსის 1422-ე, 1424-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს 6 თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას.

მოსარჩელეთა მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეებს კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში არც განცხადება შეუტანიათ სანოტარო ბიუროში და არც ფაქტობრივად დაუფლებიან სამკვიდროს. აღნიშნული ქონების მოსარჩელეთა მიერ ფლობის ფაქტი კი დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხეების, მათი წარმომადგენლებისა და მესამე პირების, (რომლებსაც სასამართლო უწყება ჩაჰპარდათ კანონით დადგენილი წესით), გამოუცხადებლობა.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ს. ა-იანმა (წარმომადგენლებმა დ. ბ-მემ და ვ. კ-მემ) საჩივარი შეიტანეს, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა მოითხოვეს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 მარტის განჩინებით ს. ა-იანის (წარმომადგენლების - დ. ბ-მისა და ვ. კ-მის) საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ა-იანმა (წარმომადგენლებმა დ. ბ-მემ და ვ. კ-მემ), რომელთაც მოითხოვეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება, ამავე სასამართლოს 2007 წლის 6 მარტის განჩინების გაუქმება, აგრეთვე, საქმის არსებითად განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ს. ა-იანის (წარმომადგენლების - დ. ბ-მისა და ვ. კ-მის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2007 წლის 6 მარტის განჩინება.

აღნიშნული დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინეს ს. ა-იანმა (წარმომადგენლებმა დ. ბ-მემ და ვ. კ-მემ), რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განახლება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის განჩინებით ს. ა-იანის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ს. ა-იანს ჩაჰპარდა 2008 წლის 14 თებერვალს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2008 წლის 25 თებერვალს. დროის აღნიშნულ პერიოდში დაუსწრებელი გადაწყვეტილება ს. ა-იანს არ გაუსაჩივრებია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება, სასამართლო გზავნილში არსებული შეუსაბამობის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ს. ა-იანისათვის 2008 წლის 14 თებერვალს ჩაუბარებლობასთან დაკავშირებით, რამდენადაც საქმეში არსებული მასალებით დგინდებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მხარისათვის გაგზავნის დრო - 2008 წლის 8 თებერვალი, აგრეთვე, სახალხო ფოსტის მიერ გადაწყვეტილების გაგზავნის თარიღი - 2008 წლის 11 თებერვალი, რაც გამორიცხავდა 2008 წლის 14 თებერვალს სასამართლო გზავნილის ჩაბარების საეჭვობას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ს. ა-იანს ჩაჰპარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მის მიერ გაშვებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადა, რაც საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ს. ა-იანმა (წარმომადგენლებმა - დ. ბ-ძემ და ვ. კ-ძემ), რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საჩივრის არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს საჩივრის განუხილველად დატოვებას იმ პირობებში, როდესაც ს. ა-იანისათვის განკუთვნილი საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტური დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაგზავნის თარიღად მიუთითებს 2008 წლის 18 თებერვალს, ხოლო ადრესატისათვის მისი ჩაბარების დროდ კი 20078 წლის 14 თებერვალს. დასახელებულ დოკუმენტში არსებული აღნიშნული შეუსაბამობა პირდაპირ მიუთითებს ს. ა-იანისათვის სასამართლო გზავნილის ჩაუბარებლობაზე.

გარდა ამისა, კერძო საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს ს. ა-იანის რუსეთში ცხოვრების ფაქტს, რასაც საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულება ადასტურებს, შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტურზე არსებული ხელმოწერა ს. ა-იანს არ ეკუთვნის.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლები საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადის გაშვებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მათთვის ჩაუბარებლობას უკავშირებენ, რასაც სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების თანახმად, რომელსაც სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის გასაჩივრებული განჩინება ეყრდნობა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა პირადად ს. ა-იანს 2008 წლის 14 თებერვალს, რასაც ადასტურებს აღნიშნულ შეტყობინებაზე არსებული ხელმოწერა. საფოსტო გზავნილის ჩაბარების აღნიშნული დასტურის ნამდვილობას ვერ გააქარწყლებს კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ოპერატიული მართვისა და სასაზღვრო ტექნოლოგიების ცენტრის საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების ცნობა, რომლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 23 ივლისამდე ს. ა-იანის საქართველოში შემოსვლისა და გასვლის ფაქტები დაფიქსირდა მხოლოდ 2005 წლის 27 მარტს და 2005 წლის 25 აპრილს აეროპორტ „თბილისისა“ და სსკვ «ყაზბეგის» გავლით. საქმის მასალების თანახმად, ს. ა-იანი საქართველოში იმყოფებოდა სხვა დროსაც, კერძოდ, საქმეში არსებული რწმუნებულების თანახმად, 2006 წლის 30 ოქტომბერს საქართველოში მყოფმა ს. ა-იანმა თავისი ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების დაცვა მიანდო დ. ბ-ძეს და ვ. კ-ძეს. ამდენად, ზემოთ დასახელებულ ცნობას საკასაციო სასამართლო ვერ განიხილავს როგორც სხვა პერიოდში ს. ა-იანის საქართველოში ყოფნის შეუძლებლობის დამადასტურებლად.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის მარტოოდენ მითითება საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტურზე არსებული ხელმოწერის სიყალბის შესახებ, რამდენადაც აღნიშნულის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე კერძო საჩივრის ავტორი ვერ უთითებს და არც წარმოუდგენია. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული ხელმოწერის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი ამ შემთხვევაში არ აქვს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტურზე ასახულ დროს - 2008 წლის 14 თებერვალს ჩაჰბარდა პირადად ს. ა-იანს, ხოლო საჩივარი ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ს. ა-იანმა წარმომადგენლების მეშვეობით 2008 წლის 17 აპრილს შეიტანა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე, ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაჰბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სამართლის მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი რჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, ვინაიდან ს. ა-იანმა გაუშვა დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის წარდგენის კანონმდებლობით დადგენილი ვადა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის განჩინებით საჩივარი სწორად იქნა დატოვებული განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელთა არგუმენტს სასამართლო გადაწყვეტილების მათთვის ჩაუბარებლობის მიზეზით საჩივრის წარდგენის ვადის გაშვების თაობაზე, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2007 წლის 28 დეკემბრის კანონით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის, მხოლოდ უშუალოდ მხარისათვის გზავნილის ჩაბარება უკვე ითვლება საპროცესო კანონმდებლობით გათვა-

ლისწინებულ ჩაბარებად და მას შესაბამისი საპროცესო შედეგები უკავშირდება. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას ს. ა-იანისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების 2008 წლის 18 თებერვალს გაგზავნის შესახებ. საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება როგორც სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მხარისათვის გაგზავნის დრო - 2008 წლის 8 თებერვალი, ისე, სახალხო ფოსტის მიერ გადაწყვეტილების გაგზავნის თარიღი - 2008 წლის 11 თებერვალი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ა-იანის (წარმომადგენლების: ვ. კ-ძისა და დ. ბ-ძის) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

განჩინება

#ას-853-1067-08 11 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

ადიგენის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით ე. წ-შვილის სარჩელი მოპასუხე კ. ხ-ევის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ე. წ-შვილს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნაზე მოპასუხისათვის მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და ღობის გადაწვევის დავალდებულების თაობაზე უსაფუძვლობის გამო, კ. ხ-ევს დაევალა საზღვარზე მის მიერ აშენებული სათავსოს მოშლა. კ. ხ-ევის შეგებებული სარჩელი სამეზობლო საზღვრის აღდგენის, უკანონო მშენებლობის მოშლისა და უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. წ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ე. წ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარმოდგენლობის გამო, გაუქმდა ადიგენის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში დაკმაყოფილდა ე. წ-შვილის მოთხოვნა, კ. ხ-ევის მფლობელობიდან გათავისუფლდა ე. წ-შვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთი და მასვე დაევალა ღობის 3,8 მ-ით გადაწვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 მაისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა კ. ხ-ევმა და მისმა წარმომადგენელმა გ. მ-მემ, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აგვისტოს განჩინებით კ. ხ-ევის საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა კ. ხ-ევმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აგვისტოს განჩინების გაუქმება და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გადაცილების საპატიოდ ჩათვლა იმ საფუძველით, რომ არის ინვალიდი, ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზით დაავადებული, აწუხებს გულის იშემიური დაავადება, არ ახსოვს, როდის ჩაპბარდა გადაწყვეტილების ასლი, ხოლო მის ყოფილ რწმუნებულს მასთან არანაირი კავშირი არ აქვს და არ შეუტყობინებია სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შესახებ;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ კ. ხ-ევის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაჰბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი კ. ხ-ევსა და მის წარმომადგენელ ნ. გ-ძეს ფოსტის მეშვეობით ჩაჰბარდათ 2007 წლის 7 ივნისს, ხოლო მან საჩივარი აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიტანა 2008 წლის 22 ივლისს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 10-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რადგანაც საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იყო 2008 წლის 17 ივნისი.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ არის ინვალიდი, ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზით დაავადებული, აწუხებს გულის იშემიური დაავადება და არ ახსოვს, როდის ჩაჰბარდა გადაწყვეტილების ასლი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან მითითებულ საქმეში არსებული საფოსტო შეტყობინებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მას კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2008 წლის 7 ივნისს. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვადის აღდგენის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, კანონი თავად კრძალავს კანონისმიერი ვადის აღდგენას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ იგი შედის კანონიერ ძალაში, ხოლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით.

ამდენად, კ. ხ-ევის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გასაჩივრებულია გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევით და, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი სწორად ცნო დაუშვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

- კ. ხ-ევის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 14 აგვისტოს განჩინება;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი

განჩინება

#ას-872-1182-07 14 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
მ. ცისკამე

დავის საგანი: პარტნიორთა კრების ოქმების, წესდების ახალი რედაქციის, სანოტარო აქტებისა და სასამართლოს დადგენილების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

«ინტერნეიშენალ ტელსელ სპს ინქმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «მთაწმინდის ტელერადიო კომპანიის», შპს «აიეტისა» და ნოტარიუს ე. ფ-ავას მიმართ პარტნიორთა კრების ოქმების, შპს «აიეტის» წესდებაში შეტანილი ცვლილებების, შესაბამისი სანოტარო აქტებისა და სასამართლოს დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ იმ საფუძველით, რომ შპს «აიეტის» წესდებასა და სამეწარმეო რეესტრში ცვლილებები შევიდა მოსარჩელის, როგორც საზოგადოების 85% წილის მქონე პარტნიორის, მოწვევისა და მონაწილეობის გარეშე, რითაც მხარეს თავისი კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა მოესპო.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით «ინტერნეიშენალ ტელსელ სპს ინქს» სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას პალატას შუამდგომლობით მიმართა «ინტერნეიშენალ ტელსელ ლლის» წარმომადგენელმა გ. ყ-შვილმა და მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება შემდეგი საფუძველებით: შპს «აიეტის» 2003 წლის 14 თებერვლისა და 26 მარტის პარტნიორთა ის კრებები, სადაც საზოგადოების წესდებაში ცვლილებები შევიდა, მოწვეულ იქნა კანონის მოთხოვნათა დარღვევით. აღნიშნული კრებები, ფაქტობრივად არც ჩატარებულა. მოპასუხემ აპელანტისათვის განკუთვნილი მოსაწვევი განზრახ არასწორ მისამართზე გააგზავნა, რაც «ინტერნეიშენალ ტელსელ სპს ინქს» არ ჩაჰბარდა. მოწინააღმდეგე მხარემ ბოროტად ისარგებლა აღნიშნულით, ხელმეორედ მოწვეულ პარტნიორთა კრებაზე წესდებაში შეიტანა ცვლილებები, რომლის საფუძველზეც საზოგადოების 85% წილის მფლობელს წაერთვა უფლება, 15% წილის მფლობელი პარტნიორის თანხმობის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება. მოპასუხეთა მითითებული ქმედება შეიცავს რა დანაშაულის ნიშნებს, 2007 წლის 25 სექტემბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნტის თანახმად, მოცემული სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს გამოძიების დასრულებამდე. შუამდგომლობას დაერთო ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს გამომძიებელ დ. ბ-შვილის 2007 წლის 25 სექტემბრის #16-03/5/2/6-2502 ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ «ინტერნეიშენალ ტელსელ სპს ინქს» საჩივრის საფუძველზე 2007 წლის 25 სექტემბრიდან მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება შპს «მთაწმინდა ტელერადიოკომპანიისა» და შპს «აიეტის» წარმომადგენლებისა და ხელმძღვანელობის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის განჩინებით «ინტერნეიშენალ ტელსელ ლლსს» წარმომადგენელ გ.ყაველაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მოცემული სამოქალაქო საქმის წარმოება «ინტერნეიშენალ ტელსელ ლლსს-ის» საჩივრის საფუძველზე შპს «მთაწმინდის ტელერადიოკომპანიისა» და შპს «აიეტის» წარმომადგენლებისა და ხელმძღვანელების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის დამთავრებამდე შეჩერდა შემდეგ გარემოებათა გამო: ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოდან წარმოდგენილი 2007 წლის 25 სექტემბრის ინფორმაციის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს «მთაწმინდა ტელერადიოკომპანიისა» და შპს «აიეტის» ხელმძღვანელობის მიმართ დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნიშნების მიხედვით. პალატის მოსაზრებით, მოცემული სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებამდე, ვინაიდან იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომლებსაც ეფუძნება განსახილველი სამოქალაქო დავა მიმდინარეობს სისხლის სამართალწარმოების წესით, ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს მთაწმინდის ტელერადიოკომპანიამ» შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით: გასაჩივრებული განჩინებით არ ირკვევა, თუ რა კავშირშია სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული მითვისებისა და გაფლანგვის საქმის გამოძიებისას დასადგენი ფაქტები პარტნიორთა კრების მოწვევის კანონიერების საკითხზე მიმდინარე დავის დროს დასადგენ ფაქტობრივ გარემოებებთან. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოდან წარმოდგენილი 2007 წლის 25 სექტემბრის ინფორმაციით საერთოდ არ ირკვევა, თუ რა უნდა გამოიკვლიოს გამოძიებამ, ამდენად, დაუსაბუთებელია სასამართლოს დაკვნა, რომ გამოძიებამ უნდა დაადგინოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც მოცემული სამოქალაქო დავა ეფუძნება. სასამართლომ განჩინების გამოტანით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე და 376-ე მუხლები, ვინაიდან სადავო შუამდგომლობა უნდა შეეფასებინა როგორც საქმის განხილვის გაჭიანურების მცდელობად. ფაქტობრივად, აპელანტი არ იყო დაინტერესებული საქმის განხილვით, რადგან მიზნად ისახავს, აიძულოს პარტნიორები, გაასხვიონ კუთვნილი 15%-იანი წილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ შპს «მთაწმინდის ტელერადიოკომპანიის» კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ «ინტერნეიშენალ ტელსელ ლლსს-ის» შუამდგომლობის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობის შესახებ და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო ვალდებულია, გადაწყვეტილებისა თუ განჩინების სამოტივაციო ნაწილში იმსჯელოს საქმისათვის მნიშვნელოვან სადავო საკითხებზე და აღნიშნულთან დაკავშირებით თავისი დასკვნები იურიდიულად დაასაბუთოს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე დააკმაყოფილა «ინტერნეიშენალ ტელსელ ლლსს-ის» შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, რომ მხარის მოთხოვნის საფუძველები სათანადოდ არ გამოუკვლევიან და არ შეუფასებია, კერძოდ:

გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად დაედო «ინტერნეიშენალ ტელსელ ლლსს-ის» მიერ წარმოდგენილი, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს გამომძიებელ დ. ბ-შვილის 2007 წლის 25 სექტემბრის #16-03/5/2/ბ-2502 ცნობა, რომლის თანახმად, «ინტერნეიშენალ ტელსელ სპს ინქის» საჩივრის საფუძველზე 2007 წლის 25 სექტემბრიდან მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება შპს «მთაწმინდა ტელერადიოკომპანიისა» და შპს «აიეტის» წარმომადგენლებისა და ხელმძღვანელობის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას, თუ გამოარკვევს, რომ მისი განხილვა სხვა საქმის წარმოების დასრულებამდე ობიექტურად შეუძლებელია.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა დასახელებული ნორმითა და საქვინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს გამომძიებელ დ. ბ-შვილის 2007 წლის 25 სექტემბრის #16-03/5/2/ბ-2502 ცნობით, არ დაასაბუთა, თუ რაში მდგომარეობს ცნობაში დასახელებული სისხლის სამართლის საქმის განხილვამდე მოცემული სამოქალაქო საქმის განხილვის შეუძლებლობა, რა კავშირშია სამოქალაქო წესით განხილული საქმე სისხლის სამართლის საქმესთან, გამომდინარეობენ თუ არა ისინი ერთი და იგივე ფაქტობრივი საფუძველებიდან და სამართლებრივი ურთიერთობიდან.

ამდენად, შუამდგომლობის ხელახლა განხილველმა სასამართლომ სადავო საკითხის დამადასტურებელ მტკიცებულებათა საფუძველზე უნდა იმსჯელოს წარმოდგენილი საქმის წარმოების შეჩერების საფუძველიანობაზე და თავისი დასკვნები დაასაბუთოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

ამასთან, შპს «მთაწმინდის ტელერადიოკომპანიას» სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა კერძო საჩივარზე შეადგენს 50 ლარს, ხოლო მხარემ კერძო საჩივარს დაურთო 100 ლარის გადახდის ქვითარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს «მთაწმინდის ტელერადიოკომპანიის» კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ «ინტერნეიშენალ ტელსელ ლლსს-ის» შუამდგომლობის ხელახლა განსახილველად.

შპს «მთაწმინდის ტელერადიოკომპანიას» სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა

განჩინება

#ას-874-1184-07

14 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 31 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა ბ. ბ-შვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა იმის შესახებ, რომ იგი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან უწყვეტად ფლობს ქ. თბილისში, ... ქ. #77^ა და #77 კორპუსებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთს, აღნიშნული მიწა შეცვალა თვისობრივად და აქვს საკუთრების უფლება ამ მიწის ნაკვეთზე.

განმცხადებლის მითითებით, ზემოაღნიშნული ფაქტის დადგენის შემთხვევაში, იგი შეძლებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 მარტის #156 და თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 25 სექტემბრის #19.18.1130 დადგენილების საფუძველზე, საჯარო რეესტრში ამ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაციას. იგი მიწის ნაკვეთს ფლობს 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რითაც, «საკუთრების უფლების შესახებ» კანონის მე-6 მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 167-ე და 1507-ე მუხლების თანახმად, მასზე შეძენილი აქვს საკუთრების უფლება.

განმცხადებლის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში ზემოაღნიშნული ფაქტის დადგენა შეიძლებოდა მხოლოდ სასამართლო წესით, რამდენადაც ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის პასუხიდან ირკვეოდა, რომ საკითხის გადაწყვეტა გამგეობის კომპეტენციას არ წარმოადგენდა. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის პასუხით კი მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 თებერვლის განჩინებით ბ. ბ-შვილის უარი ეთქვა განცხადების მიღებაზე.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ბ. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 თებერვლის განჩინებით ბ. ბ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 თებერვლის განჩინება განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ბ. ბ-შვილის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას ბ. ბ-შვილმა მოთხოვნა დააზუსტა და ითხოვა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა მხოლოდ იმის შესახებ, რომ იგი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან უწყვეტად ფლობს ქ. თბილისში, ... ქ. #77^ა და #77 კორპუსებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთს და აღნიშნული მიწა შეცვალა თვისობრივად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 ივლისის განჩინებით ბ. ბ-შვილის განცხადება ქ. თბილისში, ... ქ. #77^ა და #77 კორპუსებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტის დადგენის თაობაზე განუხილველად იქნა დატოვებული, განმცხადებელს განემარტა, რომ მას უფლება ჰქონდა აღემრა სარჩელი საერთო საფუძველზე, იქვე მიეთითა, რომ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლებოდა.

მითითებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ბ. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით ბ. ბ-შვილის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველი იმ საფუძველით, რომ ზემოაღნიშნულ განჩინებაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილი კერძო საჩივრის შეტანას არ ითვალისწინებდა.

2006 წლის 13 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა ბ. ბ-შვილმა. აღნიშნულ განცხადებას თან ერთვის ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის პასუხი განმცხადებლის შეკითხვაზე, კერძოდ, მასში აღნიშნული იყო, რომ ბ. ბ-შვილის მიერ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი

ფლობის საკითხის გადაწყვეტა ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა.

ბ. ბ-შვილი მიიჩნევდა, რომ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის პასუხი წარმოადგენდა ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რომელიც ცნობილი რომ ყოფილიყო სასამართლო საათვის, იგი არ მიიღებდა განჩინებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ და მის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვდა განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 ივლისის განჩინების გაუქმებას და საქმეზე წარმოების განახლებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინებით ბ. ბ-შვილს უარი ეთქვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

2007 წლის 5 იანვარს ბ. ბ-შვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ განცხადება წარადგინა იმ მოტივით, რომ სასამართლომ არ განიხილა და არ ასახა განჩინების სამოტივაციო ნაწილში მის მიერ ნივთის ხანდაზმულობისა და თვისობრივად შეცვლის ფაქტის დადგენის მოთხოვნა. ამასთან, სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანისას გათვალისწინებული არ იქნა მისი წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტებები, რომლებიც ეხებოდა დავის საგანსა და სადავო საკითხის გადაჭრის წესს.

გარდა აღნიშნულისა, 2007 წლის 8 იანვარს ბ. ბ-შვილმა იმავე სასამართლოში განცხადება წარადგინა, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინებაში შესწორებების შეტანა და განმარტება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 იანვრის განჩინებით ბ. ბ-შვილს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინებით სასამართლომ სრული მოცულობით იმსჯელა ბ. ბ-შვილის მიერ განცხადებაში მითითებულ მოთხოვნაზე. შესაბამისად, არ არსებობდა განცხადების დაკმაყოფილებისა და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 იანვრის განჩინებით ბ. ბ-შვილის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 ნოემბრის განჩინების განმარტებისა და მასში შესწორების შეტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს განჩინებებზე, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნები დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის, ასევე განჩინებაში შესწორების შეტანისა და განმარტების თაობაზე, კერძო საჩივარი შეიტანა ბ. ბ-შვილმა და ითხოვა მათი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის განჩინებებით ბ. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 იანვრის განჩინებები.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა მითითებული გადაწყვეტილებისა და მისი თავდაპირველი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 31 ივლისის განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განჩინებით ბ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ მითითებული ახლად აღმოჩენილი გარემოება გასაჩივრებული განჩინების გამოტანის დროსაც რომ ყოფილიყო მითითებული, სასამართლო ვერ მიიღებდა მხარისთვის სასურველ გადაწყვეტილებას. სასამართლო უდავო წარმოების წესით ადგენს არა უძრავი ნივთის ფაქტობრივი ფლობის ფაქტს, არამედ იმ გარემოებას, რომ პირს ამ ნივთზე ჰქონდა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც დაიკარგა, ხოლო ჩანაწერები მარეგისტრირებელ ორგანოში არ ინახება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში ასახულია სამართლებრივი საფუძვლები, რომლის არსებობის შემთხვევაში, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, შეიძლება განახლდეს საქმის წარმოება. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მიუთითებდა ამავე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აღნიშნული საფუძვლით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მტკიცებულება, რომელზედაც მიუთითებდა განმცხადებელი, არსებობდა გასაჩივრებული განჩინების გამოტანამდე და მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა იგი სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

მხარის მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნეული მტკიცებულება მოპოვებული იქნა 2006 წლის 10 ნოემბერს, გასაჩივრებული განჩინების გამოტანის შემდეგ და იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ვერ ჩაითვლებოდა ახლად აღმოჩენილ გარემოებად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ბ. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა მითითებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 14.12.06წ. და ამავე სასამართლოს 31.07.06წ. განჩინებების გაუქმება.

2007 წლის 3 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ბ. ბ-შვილმა, რომლითაც მოითხოვა ამავე სასამართლოს 2007 წლის 9 ივლისის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა.

განმცხადებლის მითითებით, ზემოაღნიშნული განჩინებით სააპელაციო სასამართლოს არ გადაუწყვეტია მისი სააპელაციო საჩივრის მეორე მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 ივლისის განჩინების გაუქმების, საქმეზე წარმოების განახლებისა და განმცხადებლის დაზუსტებულ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ. მითითებულ საკითხებზე მსჯელობა სააპელაციო სასამართლოს ევალუბოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან და მისი სააპელაციო საჩივრიდან გამომდინარე, რაც არ განუხორციელებია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ბ. ბ-შვილის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 ივლისის განჩინებით ბ. ბ-შვილის განცხადება მიწის ნაკვეთის ხანდაზმულობით ფლობისა და მისი თვისობრივად შეცვლის ფაქტის დადგენის შესახებ დარჩა განუხილველი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განიხილა ზემოაღნიშნულ განჩინებაზე ბ. ბ-შვილის მიერ წარდგენილი განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების თაობაზე და 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინებით მას უარს უთხრა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განცხადების უსაფუძვლოების გამო მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება საჩივრდება ზემდგომ სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ მითითებული ნორმის შესაბამისად განიხილა ბ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინებაზე, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შეამოწმა მისი საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ იგი საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი იყო სამოქალაქო საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინება გამოტანილი იყო სამოქალაქო საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დარღვევით, სასამართლო იმსჯელებდა მხოლოდ გასაჩივრებულ განჩინებაზე, გააუქმებდა მას და განცხადებას მისი საფუძვლიანობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნებდა იმავე სასამართლოს, რადგან საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზემდგომ სასამართლოში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის განჩინებასთან ერთად თვით ახლად აღმოჩენილი გარემოებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებასაც. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა ბ. ბ-შვილის განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 ივლისის განჩინების სისწორეზე, რომლის გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნითაც იქნა შეტანილი მხარის მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უნდა ემსჯელა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 ივლისის განჩინებაზე ბ. ბ-შვილის განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რამდენადაც კანონის აღნიშნული ნორმით გათვალისწინებულია ისეთი განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და შეუძლია ზეგავლენა მოახდინონ მის ფაქტობრივ თუ იურიდიულ დასაბუთებაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 31 ივლისის განჩინება წარმოადგენს მისი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოო განჩინებას, რომლის გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებასაც იგი ითხოვდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი არ მიეკუთვნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულ განჩინებათა კატეგორიას და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მასზე არ უნდა ემსჯელა განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებულ განჩინებასთან ერთად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ბ. ბ-შვილმა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღნიშნოს კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. სააპელაციო სასამართლო არ მიუთითებს კანონზე, რომლის შესაბამისადაც მიიჩნია, რომ მისი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება არ განეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ განჩინებათა კატეგორიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს, კერძოდ, დამატებითი გადაწყვეტილება გამოიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეზე გამოტანილი ძირითადი გადაწყვეტილება არ შეიცავს პასუხს მხარის ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც, მართალია, იყო განხილვის საგანი, მაგრამ გადაწყვეტილება არ გამოტანილა. კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი გადაწყვეტილებით არ განხილულა ყველა ის მოთხოვნა, რაც ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული დავის საგანს შეადგენდა.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი მოითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღებას იმ საფუძველზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გამოუტანია გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის მეორე მოთხოვნაზე, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 ივლისის განჩინების გაუქმების, საქმეზე წარმოების განახლებისა და მის დაზუსტებულ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღებასთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს განმცხადებლის მოსაზრებას განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესოსამართლებრივი საფუძვლის არსებობის შესახებ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 31 ივლისის განჩინებით ბ. ბ-შვილის განცხადება ქ. თბილისში, ... ქ. #77^ა და #77 კორპუსებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტის დადგენის თაობაზე დარჩა განუხილველი, რის შემდეგაც ბ. ბ-შვილმა იმავე სასამართლოში აღნიშნული განჩინების გაუქმებისა და საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადება წარადგინა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინებით ბ. ბ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა. დასახელებულ განჩინებაზე ბ. ბ-შვილმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 9 ივლისის განჩინების მსჯელობის საგანს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინების მართლზომიერება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა განცხადება საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 31 ივლისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 31 ივლისის განჩინება ვერ იქნებოდა 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივრის საგანი ვერც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინმსწრები, შუალედური განჩინებების გასაჩივრების შესაძლებლობას. მითითებული 2006 წლის 31 ივლისის განჩინება კი წარმოადგენს არა შუალედურ განჩინებას, არამედ - უდავო წარმოების წესით აღძრულ საქმეზე მიღებულ საბოლოო განჩინებას. აღნიშნული განჩინება ბ. ბ-შვილმა გასაჩივრა განცხადებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, რაზეც იმსჯელა თბილისის საქალაქო სასამართლომ 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინებით. თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების საგანს კი წარმოადგენდა სწორედ აღნიშნული 2006 წლის 14 დეკემბრის განჩინება, ხოლო 2006 წლის 31 ივლისის განჩინება, რომელიც არ წარმოადგენდა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, განცხადების აღძვრის შემდეგ გამოტანილ შუალედურ განჩინებას, ვერ იქნებოდა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ბ. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა

განჩინება

#ას-222-483

25 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ინდივიდუალურმა მეწარმე „ი. ბ-ოვმა“ სს „აჭარკამშენის“, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და აჭარის ა/რ მთავრობის მიმართ და მოითხოვა მათთვის ძირითადი თანხის - 63983 ლარის, სახელმწიფო ბაჟის - 1859 ლარის, საბანკო პროცენტის - 5765 ლარისა და საადვოკატო მომსახურების - 10%-ის სოლიდარულად დაკისრება.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ მას და სს „აჭარკამშენს“ შორის 2004 წლის 4 მარტს აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის #135/20 წერილის საფუძველზე გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება აჭარის ა/რ პარლამენტის შენობის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად. მოსარჩელის განმარტებით, მან შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო დამკვეთი, მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად, უარს აცხადებდა თანხის გადახდაზე. სს „აჭარკამშენი“ ხელშეკრულებაში ასრულებდა შუამავლის როლს და დამკვეთს ფაქტობრივად წარმოადგენდა აჭარის ა/რ მთავრობის უფლებრივი წინამორბედი. აღნიშნულის გამო მოსარჩელე ითხოვდა მისთვის გადასახდელი თანხების მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრებას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ამორიცხულ იქნა მოპასუხეთა სიიდან და საქმეში დატოვებულ იქნა მესამე პირად, ხოლო აჭარის ა/რ მთავრობის შუამდგომლობით კი თანამოპასუხედ საქმეში ჩართულ იქნა აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. ბ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხეებს - სს „აჭარკამშენს“, აჭარის ა/რ მთავრობასა და აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოს სოლიდარულად მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ შესრულებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების - 63 983 ლარისა და საადვოკატო მომსახურების ღირებულების 4%-ის - 2 559,32 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სს „აჭარკამშენმა“, აჭარის ა/რ მთავრობამ და აჭარის ა/რ უმაღლესმა საბჭომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით სს „აჭარკამშენის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოსა და აჭარის ა/რ მთავრობის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა მთლიანად; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა ნაწილობრივ და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხე „აჭარკამშენს“ მოსარჩელე ი. ბ-ოვის სასარგებლოდ დაეკისრა შესრულებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების - 63 983 ლარსა და საადვოკატო ხარჯების - 2 559 ლარისა და 32 თეთრის გადახდა. ი. ბ-ოვის სარჩელი აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოსა და აჭარის ა/რ მთავრობისათვის აღნიშნული თანხების სოლიდარულად დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „აჭარკამშენმა“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატის 2007 წლის 12 თებერვლის განჩინებით სს „აჭარკამპშენის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს აჭარის ა/რ მთავრობის წარმომადგენელმა და აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება სახელმწიფო ბაჟის ნაწილში. აღნიშნული განცხადების საფუძველზე დაწყებული სამოქალაქო საქმეები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით გაერთიანდა ერთ წარმოებად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინებით აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოსა და აჭარის ა/რ მთავრობის განცხადებები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა გ. გ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის განჩინება უკანონოა, აჭარის ა/რ მთავრობას სრული უფლება ჰქონდა მიემართა სააპელაციო სასამართლოსათვის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, რომელსაც უნდა ემსჯელა აღნიშნულზე და, შესაბამისად, განემარტა. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება არის ბუნდოვანი და საჭიროებს განმარტებას. ამდენად, მან მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის განჩინების გაუქმება და განჩინების განმარტება.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

კონკრეტულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი მოითხოვეს სასამართლო ხარჯების, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის საკითხის გადაწყვეტას. თუ ძირითად მოთხოვნასთან ერთად მხარე მოითხოვეს სახელმწიფო ბაჟის დაკისრებას მეორე მხარისათვის ან სახელმწიფო ბაჟის საკითხის გადაწყვეტას და იგი არ არის სასამართლოს მიერ განხილული და, შესაბამისად, გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) ასახული, მხარეს შეუძლია მიმართოს არა გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტების მოთხოვნით, არამედ – გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან 7 დღის ვადაში დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილებიდან ირკვევა, თუ რა ნაწილში გააუქმა სააპელაციო პალატამ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რა ნაწილში დატოვა იგი უცვლელი და რა გადაწყვიტა თავად, აგრეთვე, სააპელაციო სასამართლომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება გააუქმა მხოლოდ სს «აჭარკამპშენის», აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოსა და აჭარის ა/რ მთავრობისათვის სოლიდარულად, მოსარჩელე ი. ბ-ოვის სასარგებლოდ შესრულებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების – 63 983 ლარისა და საადვოკატო ხარჯების – 2559 ლარის და 32 თეთრის დაკისრების ნაწილში. დანარჩენ ნაწილში კი გადაწყვეტილება არ გაუქმებულა და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს არ გაუთავისუფლებია აპელანტები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და არ დაუკისრებია მისი გადახდა მოწინააღმდეგე მხარისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

აჭარის ა/რ უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელ გ. გ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ას-96-376-08

10 აპრილი 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით თ. ტ-შვილის სარჩელი სააქციო საზოგადოება «ავტოფირმა» #6-ის მიმართ სამუშაოზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ტ-შვილმა და მოითხოვა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით თ. ტ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ქ. თბილისის სააქციო საზოგადოება «ავტოფირმა» #6-ის #3 ბრძანება თ. ტ-შვილის მძლოლობიდან გადაყენების შესახებ გაუქმდა და აღდგენილ იქნა თავდაპირველი მდგომარეობა.

2002 წლის 11 სექტემბერს თბილისის საოლქო სასამართლოს განცხადებით მიმართა თ. ტ-შვილმა და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების განმარტება. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 20 ნოემბრის განჩინებით თ. ტ-შვილს განემარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2000 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული «აღდგენილ იქნეს თავდაპირველი მდგომარეობა» ნიშნავდა თ. ტ-შვილის აღდგენას უწინდელ თანამდებობაზე, რაც მას ეკავა თანამდებობიდან გადაყენებამდე, ანუ აღნიშნული ნიშნავდა მძლოლის თანამდებობაზე აღდგენას. აღნიშნული განჩინება შესულია კანონიერ ძალაში.

2007 წლის 21 აგვისტოს თ. ტ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების განმარტებაში დაკონკრეტებულიყო აღდგენა ყოფილ წართმეულ გაპიროვნებულ ავტომანქანა მასზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინებით თ. ტ-შვილის განცხადება 2000 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 29.03.2000 წ. გადაწყვეტილებით თ. ტ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 03.12.99 წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ქ. თბილისის სააქციო საზოგადოება «ავტოფირმა» #6-ის #3 ბრძანება თ. ტ-შვილის მძლოლობიდან გადაყენების შესახებ გაუქმდა და აღდგენილ იქნა თავდაპირველი მდგომარეობა.

ასევე დადგენილია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 20.11.2002 წ. განჩინებით თ. ტ-შვილს განემარტა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 29.03.2000 წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული - «აღდგენილ იქნეს თავდაპირველი მდგომარეობა» - ნიშნავდა თ. ტ-შვილის აღდგენას უწინდელ თანამდებობაზე, რაც მას ეკავა თანამდებობიდან გადაყენებამდე, ანუ აღნიშნული ნიშნავდა მძლოლის თანამდებობაზე აღდგენას.

პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილებაში მითითებული სიტყვები - «აღდგენილ იქნას თავდაპირველი მდგომარეობა» - ერთხელ უკვე განმარტებულია სასამართლოს მიერ და კვლავ მათი განმარტების საფუძველი არ არსებობს. განჩინება განმარტების თაობაზე თ. ტ-შვილს არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია რომ იგი დაეთანხმა განმარტებას და ამჟამად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შინაარსის შეცვლა დაუშვებელია.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება აღსრულებულია, ხოლო აღსრულებული გადაწყვეტილების განმარტება დაუშვებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ტ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით 2000 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული „აღდგენილ იქნეს თავდაპირველი მდგომარეობა» ნიშნავდა მისი მძღოლობიდან გადაყენებამდე მასზე გაპიროვნებულ მაზ-ის მოდელის ავტომანქანის აღდგენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი, მისივე ინტერესების შესაბამისად არ აღსრულებულა, რის საფუძველადც იგი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია, მოვალე ორგანიზაციის გააჩნდა ამონაწერი, მისი მძღოლად აღდგენის თაობაზე, მაგრამ ტექნიკურად გამართული ავტომანქანა, მისთვის არავის შეუთავაზებია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინების გააუქმება და კიდევ ერთხელ სასამართლოს მიერ. 2000 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მოყვანილი სიტყვების - „აღდგენილ იქნეს თავდაპირველი მდგომარეობა» - განმარტება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 20 ნოემბრის განჩინებით თ. ტ-შვილს განემარტა, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინებით თ. ტ-შვილის განცხადება 2000 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად უთხრა უარი თ. ტ-შვილს განცხადების დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან გადაწყვეტილების იმგვარად განმარტება როგორცაც კერძო საჩივრის ავტორი მოითხოვს მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად ერთხელ უკვე განემარტა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, რომელიც თ. ტ-შვილს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გაუსაჩივრებია, ზემოთმითხებული განჩინება შესულია კანონიერ ძალაში. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილების კვლავ განმარტების საფუძველი არ არსებობს. ამასთან, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შინაარსის შეცვლა დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 284-ე 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

თ. ტ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ას-180-447-08 2 მაისი 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 12 სექტემბერს ო. ხ-შვილმა მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე ო. კ-ძის მიმართ და მოითხოვა ო. კ-ძის მიერ თვითნებურად მითვისებული საერთო სარგებლობის ეზოს კაპიტალური კედლების, ყოველგვარი მიშენებების დანგრევა და ეზოს და ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ო. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ხ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ო. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - ო. კ-ძეს დაევალა დ. წყნეთში, ... ქ. #24-ში მდებარე #36 კოტეჯის სარდაფის და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. კ-ძის წარმომადგენელმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით ო. ხ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ო. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება.

2007 წლის 16 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ო. ხ-შვილმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის განჩინებით ო. ხ-შვილის განცხადება დასახელებული გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი ო. ხ-შვილი ითხოვდა გადაწყვეტილების განმარტების სახით ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რაც კანონსაწინააღმდეგო იყო და დაუშვებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ო. ხ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განჩინება უნდა გაუქმდეს როგორც უსაფუძვლო და უკანონო.

ო. ხ-შვილის განმარტებით სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება უნდა განემარტა მისი სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად. კერძო საჩივრის ავტორის აზრით, 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება განმარტებული უნდა ყოფილიყო შემდეგი სახით:

1. მოიშალოს პირველ სართულზე არსებული ოთახი, რომელიც გადიდებულია და გადაკეთებულია ოთახად აივნიდან, საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ხარჯზე; მოიშალოს ეზოსი გაკეთებული კიბეები აივანზე ასასვლელი, აგრეთვე, ახლად გაკეთებული გადახურული ბინაში შესასვლელი.

2. მოიშალოს საწოლი ოთახის გვერდითი აივანი, რომელიც გადიდებულია საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ხარჯზე და გადაკეთებულია ბავშვების საწოლ ოთახად; მოვიდეს პირვანდელ მდგომარეობაში, დარჩეს აივანად.

3. პირვანდელ მდგომარეობაში მოვიდეს სადარბაზო-გაუქმდეს ახლად გაკეთებული სარდაფის ჩასასვლელი კიბე და აღდგეს სარდაფში ჩასასვლელი ძველი კიბე, სადარბაზოდან ჩასასვლელი ლუკი.

4. გაუქმდეს სადარბაზოში შესასვლელის ქვეშ გათხრილი ახალი სარდაფი უპროექტო და უკანონო, მოწყობილი საკუჭნაოდ და მარნად. აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა და ამოივსოს მიწით.

5. აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში სარდაფი, რაც მთლიანად მიითვისა მოპასუხემ, მასალა ტიხრები, გადააკეთა, თავისი შეხედულებით მოაწყო აბაჯანა, ბარი, ბუხარი. დამიბრუნდეს ჩემი კუთვნილი სარდაფის ფართი 32 მ², მოპასუხეს დარჩეს 14 მ² და გარდა ამისა, აღდგეს თავისუფალი ფართი, რისთვისაც უნდა მოიშალოს ბარი, აბაჯანა, ბუხარი.

6. მოიშალოს 100მ²-ზე საერთო ეზოში მოწყობილი მანქანების სადგომი, რომელიც ამაღლებულია, დაბეტონებულია და მოკირწყლულია

7. მოიშალოს საერთო სარგებლობის ეზოში შესასვლელი ახალი ჭიშკარი და აღადგინოს პირვანდელი ღობე. დარჩეს ძველი შესასვლელი ჭიშკარი საერთო სარგებლობაში.

8. მოიშალოს საერთო სარგებლობის ეზოში აშენებული ეზოს გამყოფი ბეტონის კედელი.

9. მოიშალოს ეზოში გაკეთებული ფაცხა.»

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ო. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ო. კ-მეს დაევალა დ. წყნეთში, ... ქ. #24-ში მდებარე #36 კოტეჯის სარდაფის და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის განჩინებით ო. ხ-შვილის განცხადება დასახელებული გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა

სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ ო. ხ-შვილი განცხადებით ითხოვდა ფაქტიურად ახალი გადაწყვეტილების გამოტანას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მხარის მიერ განცხადებაში ჩამოთვლილი მოთხოვნები ნაწილობრივ მიესადაგებოდა და პასუხობდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, პალატა თვლის, რომ აღნიშნულის გამო სააპელაციო სასამართლოს შეეძლო გადაწყვეტილება განემარტა იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლოს აღმასრულებლის განცხადებით გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება ო. ხ-შვილისათვის უნდა განემარტა სარეზოლუციო ნაწილში მითითებულ ფარგლებში, რაც გულისხმობს სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ განჩინება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, ამასთან, დასაბუთება არ შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობის მითითებულ ნორმებს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. პალატა თვლის, რომ ზემოთ მითითებული გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე. მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ო. ხ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განჩინება. საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ას-383-632-08 25 ივნისი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებაზე დაკმაყოფილდა, გაუქმდა

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე შ. მ-შვილს ნ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 20000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, შ. მ-შვილის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2007 წლის 27 დეკემბერს ნ. მ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტება იმგვარად, რომ შ. მ-შვილს დაკისრებოდა ნ. მ-შვილის სასარგებლოდ გადაწყვეტილებაში აღნიშნული 20000 აშშ დოლარის გადახდა ვალის აღიარების დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად, კერძოდ, 40000 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინებით ნ. მ-შვილის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

პალატის აზრით გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ იყო ბუნდოვანი, ხოლო გადაწყვეტილების იმგვარად განმარტება, როგორც ამას განმცხადებელი ითხოვდა, გამოიწვევდა გადაწყვეტილების შეცვლას, შესაბამისად, განცხადება მიიჩნია უსაფუძვლოდ.

აღნიშნული განჩინება კერძოდ საჩივრით გაასაჩივრა ნ. მ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი განჩინების გამოტანით გადაწყვეტილების იმგვარად განმარტება, რომ გადაწყვეტილებაში ჩაწერილი და შ. მ-შვილისათვის დაკისრებული 20000 აშშ დოლარი გულისხმობდეს შ. მ-შვილის მიერ ნოტარიულად დადასტურებული სესხის ხელწერილში აღნიშნული 20000 აშშ დოლარის შესაბამისი ეროვნული ვალუტის - 40000 ლარის გადახდევინებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ნ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ნ. მ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა შ. მ-შვილისათვის 20000 აშშ დოლარის დაკისრება, რაც დაკმაყოფილდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით და შ. მ-შვილს მის სასარგებლოდ დაეკისრა 20000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გადაწყვეტილების გამომტანისას სასამართლოს არ დაუდგენია, რომ 20000 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა მომხდარიყო გადაწყვეტილების გამომტანის მომენტისათვის არსებული კურსით, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ მითითებული თანხის გადახდა უნდა მოხდეს გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის არსებული კურსით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანი არ არის და განმარტებას არ საჭიროებს, ვინაიდან გადაწყვეტილების იმგვარად განმარტება, როგორცაა განმცხადებელი ითხოვს, გამოიწვევს გადაწყვეტილების შეცვლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ას-351-603-08

9 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. კ-ვა-ამ განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ც. ა-ძის საკუთრებაში არსებულ, ქუთაისში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, მიწის ნაკვეთსა და მოძრავ ქონებაზე და აგრეთვე, თერჯოლის რ-ნის სოფ. ... მდებარე სახლსა და მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. კ-ვა-დ-ის განცხადება და ყადაღა დაედო ქ. ქუთაისში, ... ქ. #61-ში მდებარე ც. ა-ძის საკუთრებად გატარებულ საცხოვრებელ სახლს, მიწის ნაკვეთსა და მოძრავ ქონებას.

განჩინება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ნაწილში, გასაჩივრა ც. ა-ძის წარმომადგენელმა, გ. გ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 იანვრის განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად. გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და ნ. კ-ვა-დ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა იმის განმარტება, გაუქმდა თუ არა 2008 წლის 14 იანვრის განჩინებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის განჩინება მთლიანად და ეთქვა თუ არა ნ. კ-ვა-დ-ის განმარტების უარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე სრულად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 20 მარტის განჩინებით ც. ა-ძის განცხადება ამავე სასამართლოს 2008 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ც. ა-ძემ. მან მიუთითა, რომ განჩინების როგორც სარეზოლუციო, ისე სამოტივაციო ნაწილებიდან ჩანს, რომ სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის განჩინების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომლითაც განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილი არის ბუნდოვანი და ამის გამო მოითხოვეს მისი განმარტება, სააპელაციო სასამართლომ კი განჩინების განმარტების თაობაზე შეტანილი განცხადება არ დააკმაყოფილა, რაც მათი აზრით არის უკანონო.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის I-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დასაშვებია არა ყველა გადაწყვეტილების განმარტება, არამედ მხოლოდ ისეთის, რომლის შინაარსიც გაუგებარია, ე.ი. გადაწყვეტილების განმარტება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეები ან სასამართლო აღმასრულებელი ზუსტად ვერ ადგენენ, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ. ამასთან, განმარტებით არ უნდა შეიცვალოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. დაუშვებელია, განმარტებით მოხდეს მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების რევიზია.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანია და სავსებით გასაგებია.

განჩინების როგორც სარეზოლუციო, ასევე სამოტივაციო ნაწილებიდან ნათლად ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის განჩინების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომლითაც საქალაქო სასამართლომ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დააკმაყოფილა.

განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთქვა უარი, არ გასაჩივრებულა, შევიდა კანონიერ ძალაში და სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის, 420-ე მუხლისა და 377-ე მუხლის I ნაწილის და თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამ ნაწილში საქალაქო სასამართლოს განჩინების კანონიერებას ვერ შეამოწმებდა.

ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 იანვრის განჩინებით ნ. კ-ვა-დ-იას უარი ეთქვა ქ. ქუთაისში, ... ქ. #61-ში მდებარე, ც. ა-ძის საკუთრებად გატარებული საცხოვრებელი სახლის, მიწის ნაკვეთისა და მოძრავი ქონების დაყადაღებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად თქვა უარი განჩინების განმარტების თაობაზე და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ც. ა-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ა-1289-გან-1-08 14 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ლ. ჭ-ძის განცხადების დასაშვებობის საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2001 წლის 15 ივნისის განჩინების განმარტების თაობაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2001 წლის 15 ივნისის განჩინებით ლ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა - უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება.

2008 წლის 3 ივლისს ლ. ჭ-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2001 წლის 15 ივნისის განჩინების განმარტება.

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, განცხადების საფუძველები და თვლის, რომ განცხადება უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეძლება აღსრულდეს.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განმარტება დასაშვებია იმ გადაწყვეტილებების, რომლებიც ექვემდებარება აღსრულებას. გადაწყვეტილების განმარტების უფლება აქვს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი მოითხოვს საკასაციო პალატის 2001 წლის 15 ივნისის განჩინების განმარტებას, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გადაწყვეტილება გამომტანა არა საკასაციო სასამართლომ, არამედ - სააპელაციო სასამართლომ, შესაბამისად, განმარტებას ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ჭ-ძის განცხადება დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ლ. ჭ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 15 ივნისის განჩინების განმარტების თაობაზე, დარჩეს განუხილველად. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ას-445-687-08 21 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: შვილთან ურთიერთობის განსაზღვრა
კერძო საჩივრის დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 21 ივნისს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ნ-შვილმა მოპასუხეების - მ. ბ-ძისა და ნ. მ-შვილის მიმართ. მოსარჩელე ითხოვდა: შვილთან - გ. ნ-შვილთან ურთიერთობაში მოპასუხე ნ. მ-შვილის ჩარევის აკრძალვას, შვილთან ურთიერთობის დღეების განსაზღვრას და საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე შვილის მასთან საცხოვრებლად გადასვლას.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1996 წლიდან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მ. ბ-ძესთან. 1997 წელს მათ შეეძინათ შვილი გ. ნ-შვილი. ამავე წლიდან ნ. მ-შვილის (სიდედრის) ჩარევის გამო მათ შორის დაიწყო უსიამოვნებები, რის შედეგადაც მ. ბ-ძე საცხოვრებლად გადავიდა დეიდებთან, ხოლო შვილი ორ წლამდე ცხოვრობდა მამასთან. შემდეგი ორი წელი ბავშვი იზრდებოდა როგორც დედასთან, ისე, მამასთან. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ნ. მ-შვილის აგრესიული საქციელის გამო მოსარჩელეს შვილი საერთოდ არ ჰყავდა ნანახი. იმის მიუხედავად, რომ ნ. მ-შვილს შვილიშვილისა და სიმის ურთიერთობაში ხელშეშლის აღკვეთის მიზნით ჩამოერთვა ხელწერილი, ნ. ნ-შვილს ბავშვთან ურთიერთობის საშუალება მაინც არ ეძლეოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ილაზებოდა მისი, როგორც მშობლის უფლებები. მოსარჩელე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 1197-ე და 1202-ე მუხლებზე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ნ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხე ნ. მ-შვილს აკრძალა მამა-შვილის - ნ. ნ-შვილისა და გ. ნ-შვილის ურთიერთობაში ჩარევა; მოსარჩელეს მიეცა უფლება, კვირაში ორი დღე (შაბათ-კვირა) და არდადეგების ნახევარი დრო თავისთან ჰყოლოდა შვილი - გ. ნ-შვილი.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლზე, ამავე კოდექსის 1202-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები გააჩნდათ. მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობდა, ჰქონდა შვილთან ურთიერთობის უფლება და ვალდებული იყო, მონაწილეობა მიეღო მის აღზრდაში. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობდა, უფლება არ ჰქონდა ხელი შეეშალა მეორე მშობლისათვის, ურთიერთობა ჰქონოდა შვილთან და მონაწილეობა მიეღო მის აღზრდაში.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ბ-ძემ და ნ. მ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ნ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნ. ნ-შვილს უფლება მიეცა, მოენახულებინა შვილი - გ. ნ-შვილი კვირაში ერთ დღეს - შაბათს და სასკოლო არდადეგების ნახევარ დროს ჰყოლოდა თავისთან, დილის 11.00 საათიდან 19.00 საათამდე; ნ. ნ-შვილის სარჩელი ნ. მ-შვილის მიმართ მამა-შვილის ურთიერთობაში ჩარევის აკრძალვის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

მოპასუხე ნ. მ-შვილის მიმართ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რაც ამ

უკანასკნელის მიერ მამა-შვილის ურთიერთობაში ჩარევას დაადასტურებდა. შესაბამისად, სარჩელი ამ ნაწილში დაუსაბუთებელი იყო.

სარჩელის დანარჩენ ნაწილთან მიმართებაში, სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა რაიონული სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება, თუმცა შვილისა და მშობელთა ინტერესებიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხოლოდ იმგვარად შეცვალა, რომ ნ. ნ-შვილს უფლება მისცა მოენახულებინა შვილი - გ. ნ-შვილი კვირაში ერთ დღეს - შაბათს და სასკოლო არდადეგების ნახევარ დროს ჰყოლოდა თავისთან, დილის 11.00 საათიდან 19.00 საათამდე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ნ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 31 იანვრის განჩინებით ნ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად ხარვეზის შეუფასებლობის გამო.

2007 წლის 20 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ნ. ნ-შვილმა, რომელმაც ითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტება, კერძოდ, დასახელებული გადაწყვეტილებით ჰქონდა თუ არა სასამართლოს მიერ დადგენილ დღეებში შვილის თან წყევანის ან გასეირნების უფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინებით ნ. ნ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების მესამე აბზაცში ჩამოყალიბებული წინადადება: «ნ. ნ-შვილს მიეცეს უფლება, ინახულოს შვილი გ. ნ-შვილი კვირაში ერთ დღეს შაბათს და სასკოლო არდადეგების ნახევარი დილის 11 საათიდან 19 საათამდე», განიმარტა იმგვარად, რომ აღნიშნული დროის მონაკვეთში ნ. ნ-შვილს უფლება მიეცა შვილთან - გ. ნ-შვილთან ჰქონოდა შეუზღუდავი ურთიერთობა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსამარტი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავდა რაიმე სახის მითითებას მშობლისათვის კანონით მინიჭებული შვილთან ურთიერთობის შემზღუდავი - ბავშვის აღზრდის საწინააღმდეგო გარემოებების არსებობის შესახებ. გადაწყვეტილებით გაზიარებული იქნა 2003 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებაში ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება, რომლის თანახმად, მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, უფლება აქვს, ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან და ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, ხელი შეუშალოს მეორე მშობელს, ურთიერთობა იქონიოს შვილთან და მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ნ-შვილისათვის შვილთან ურთიერთობის დადგენილი წესი: «ნ. ნ-შვილს მიეცეს უფლება ინახულოს შვილი გ. ნ-შვილი კვირაში ერთ დღეს შაბათს და სასკოლო არდადეგების ნახევარი დილის 11 საათიდან 19 საათამდე» გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ექვემდებარებოდა განმარტებას იმგვარად, რომ სასამართლოს მიერ მითითებული დროის ამ მონაკვეთში მას ჰქონოდა შვილთან შეუზღუდავი ურთიერთობა.

სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ბ-ძემ (წარმომადგენელი მ. გ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები სრულიად ასაბუთებს არასრულწლოვანი გ. ნ-შვილის დედასთან განშორების (თუნდაც მცირე დროით) არამიზანშეწონილებას, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც ნ. ნ-შვილი ცუდ ზეგავლენას ახდენს შვილზე. მ. ბ-ძის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება განაპირობა ნ. ნ-შვილისათვის შვილის დამოუკიდებლად წყევანის უფლება მინიჭებამ, რაც სააპელაციო სასამართლომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე იმგვარად შეცვალა, რომ მოსარჩელეს მხოლოდ შვილის მონახულების უფლება დაუტოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გადაწყვეტილების განმარტებისას სააპელაციო სასამართლო გასცდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. გაუგებარია მისი განმარტება ნ. ნ-შვილისათვის შვილთან შეუზღუდავი ურთიერთობის მინიჭებაზე იმ ვითარებაში, როდესაც საოლქო სასამართლო 2003 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მითითებულია ტერმინი «მონახულება» და არა «წყევანა». წინააღმდეგ შემთხვევაში მ. ბ-ძე საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას საკასაციო წესით გაასაჩივრებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ბ-მის (წარმომადგენელი მ. გ-მე) კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს გადაწყვეტილების განმარტების პირობებს, კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების აუცილებლობის საჭიროება დგება და შესაბამისად, განმარტების შესახებ სასამართლოს საპროცესო ვალდებულება წარმოიშობა სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსობრივი ბუნდოვანების, უზუსტობის, ურთიერთსაწინააღმდეგობის, ურთიერთგამომრიცხავობის, მისი ნამდვილი აზრის გაურკვევლობის დროს. ყველა ასეთ შემთხვევაში დასაშვებია მისი განმარტება იმის აუცილებელი გათვალისწინებით, რომ განმარტების სახით არ მოხდეს გადაწყვეტილების აზრისა და შინაარსის შეცვლა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, რომლის განმარტებასაც ნ. ნ-შვილი ითხოვს, დადგენილია ნ. ნ-შვილის უფლება, ინახულოს შვილი კვირაში ერთ დღეს - შაბათს და სასკოლო არდადეგების ნახევარი, დილის 11.00 საათიდან 19.00 საათამდე. აღნიშნული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც შვილისაგან განცალკევებით მცხოვრები მშობლის შვილთან ურთიერთობის, მის აღზრდაში მონაწილეობის აქტიურ შესაძლებლობას ითვალისწინებს. სააპელაციო სასამართლოს მითითებულ გადაწყვეტილებაში არ არის საუბარი რაიმე დამაბრკოლებელ გარემოებებზე, რაც მითითებულ პერიოდში ნ. ნ-შვილის მიერ ბავშვთან შეუზღუდავ ურთიერთობას გამორიცხავს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილების განმარტებისას სააპელაციო სასამართლო გასცდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, რამდენადაც სასამართლოს მიერ განსაზღვრულ დროის მონაკვეთში შვილთან შეუზღუდავი ურთიერთობის დადგენა გამომდინარეობდა განსამარტი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთებიდან, აღნიშნული საკითხი მთლიანად წარმოადგენდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების მსჯელობის საგანს, რაც სწორად აისახა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში. ნ. ნ-შვილისათვის შვილის მონახულების უფლების მინიჭება, განსამარტი გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, არ გულისხმობს დროის დადგენილ მონაკვეთში მამის შვილთან ურთიერთობის რაიმე შეზღუდვას, ამგვარი დანაწესი არ შეესაბამება გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულ სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის პირველი ნაწილის ნამდვილ შინაარსს და იმავდროულად შეუძლებელს ხდის მშობელსა და შვილს შორის ნამდვილი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ბ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ას-754-970-08

17 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 12 სექტემბერს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ო. ხ-შვილმა მოპასუხე ო. კ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ო. კ-ძის მიერ თვითნებურად მითვისებული საერთო სარგებლობის ეზოს კაპიტალური კედლების, ყოველგვარი მიშენებების დანგრევა, აგრეთვე, ეზოსა და ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა და მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან კუთვნილი სარდაფის გამოთხოვა.

სასარჩელო განცხადებიდან ირკვევა, რომ დ. წყნეთში, ... ქ. #24-ში მდებარე #36 ორსართულიანი კოტეჯის მეორე სართულის 87,07 კვ.მ-ის მესაკუთრეს წარმოადგენს ო. ხ-შვილი, ხოლო ამავე კოტეჯის პირველ სართულს ფლობს ო. კ-ძე. კოტეჯი განთავსებულია 835 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რაც მხარეთა თანასაკუთრებაშია. მხარეებს მასზე საკუთრების უფლება არ გააჩნიათ და წარმოადგენენ ამ მიწის ნაკვეთის თანამოსარგებლებს. 2000 წელს ო. კ-ძის მიერ სახლთმფლობელობაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამ მოსარჩელის უფლებები მნიშვნელოვნად დაარღვია, რაც ამ დრომდე გრძელდება. კოტეჯში არსებული საერთო სარგებლობის სარდაფი მოპასუხემ თვითნებურად მიიერთა და დაისაკუთრა, საერთო სარგებლობის ეზო კი დაახლოებით 2.50 სმ სიმაღლის ქვის ღობით გაყო. ამასთან, გადაადგილა საყრდენი კედლები, ამოაშენა ბეტონის კაპიტალური კედელი, რომლის სიმაღლე ადის მოსარჩელის აივნამდე, აივანი გადააკეთა ოთახად, უპროექტოდ მიაშენა ეზოში ჩასასვლელი კიბეები, პირველ სართულს მიაშენა ღია აივანი. სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა არამარტო მოპასუხის ბინა, არამედ მხარეთა საერთო სარგებლობაში არსებული სარდაფიც მოიგვა. სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციისა და სათანადო ნებართვის გარეშე ჩატარდა. აღნიშნულ სამუშაოთა წარმოებისას, ჯერ კიდევ 2000 წელს, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს განცხადებებით მიმართავდა ო. ხ-შვილის მეუღლე - ს. ხ-შვილი, რომლის სახელზეც ირიცხებოდა იმ დროისათვის სახლთმფლობელობის შესაბამისი წილი, თუმცა ამ მიმართევებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. მოპასუხის მიერ განხორციელებულმა არამართლობიერმა ქმედებებმა გამოიწვია ეზოში ო. ხ-შვილის წილის შემცირება.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ო. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საერთო სარგებლობის ეზოსა და სარდაფის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ო. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ო. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - ო. კ-ძეს დაევალა დ. წყნეთში, ... ქ. #24-ში მდებარე #36 კოტეჯის სარდაფის და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინილად მიიჩნია, რომ ო. ხ-შვილი წარმოადგენდა დ. წყნეთში, ... ქუჩის #24-ში მდებარე #36 კოტეჯის მე-2 სართულის 87.07 კვ.მ-ის მესაკუთრეს, ხოლო ამავე კოტეჯის პირველ სართულს ფლობდა ო. კ-ძე, რომელსაც ეს ფართი საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული საკუთრების მოწმობით გადაეცა. საჯარო რეესტრის მონაცემებით კოტეჯი განთავსებული იყო დაუზუსტებელი მონაცემებით 800 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. სასამართლომ ასევე დადგინილად ცნო, რომ ო. კ-ძემ ჩაატარა კოტეჯის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, მიაერთა სარდაფი, ქვის ღობით გაყო საერთო ეზო შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციისა და სათანადო ნებართვის გარეშე.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. ხ-შვილი წარმოადგენდა სადავო ქონების თანამესაკუთრეს, რომელსაც გააჩნდა საერთო საკუთრებით სარგებლობის უფლება. ამ უფლების ხელყოფის გამო მას მოესპო საერთო საკუთრებით

სარგებლობის შესაძლებლობა, რის გამოც მისი მოთხოვნა საფუძვლიანი იყო. სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 208-ე, 219-ე, 240-ე, 170-ე და 172-ე მუხლებზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის სადავო საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, სარდაფისა და ეზოს გაყოფის სამუშაოთა წარმოებაზე არსებობდა მხარეთა შეთანხმება, ვინაიდან საქმის მასალებში აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 183-ე-184-ე მუხლებით დადგენილი წესით შედგენილი შეთანხმება.

სასამართლომ ასევე არ მიიჩნია სარჩელი ხანდაზმულად, ვინაიდან ჩათვალა, რომ სადავო ურთიერთობებზე უნდა გავრცელებულიყო სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა, რა ვადაშიც მხარეს სარჩელი აღძრული ჰქონდა. ამასთან, სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელე 2000 წლიდან სისტემატურად მიმართავდა სახელმწიფო ორგანოებს თავისი უფლების დასაცავად.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. კ-მემ (წარმომადგენელი მ. ს-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ო. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება.

2007 წლის 19 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას ამავე სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადებით მიმართა ო. ხ-შვილმა.

განმცხადებლის მითითებით, მის სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენდა ო. კ-მის მიერ დ. წყნეთში, ... ქ. #24-ში მდებარე #36 კოტეჯსა და საერთო სარგებლობის ეზოში პროექტის დარღვევით წარმოებული უკანონო მშენებლობების აღკვეთა, თვითნებურად მითვისებული საერთო სარგებლობის ეზოს კაპიტალური კედლების დანგრევა, ეზოსა და ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა და მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან კუთვნილი სარდაფის გამოთხოვა. აღნიშნული მოთხოვნები მიმართული იყო მოპასუხის მიერ განსაზღვრული მოქმედებების შესასრულებლად და კონკრეტულად გამოხატავდა:

1. პირველ სართულზე მდებარე, საერთო საკუთრების მიწის ხარჯზე გადიდებული და ოთახად გადაკეთებული აივნის, აგრეთვე, ბინაში გადახურული შესასვლელის მოშლას;
2. სამინებელი ოთახის გვერდით მდებარე აივნის მოშლას, რომელიც გადიდებული იყო საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ხარჯზე და გადაკეთებული იყო ბავშვის საწოლ ოთახად;
3. სადარბაზოს პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანას, რაც გულისხმობდა ახლად გაკეთებული სარდაფის ჩასასვლელი კიბის გაუქმებას და სარდაფში ჩასასვლელი ძველი კიბის აღდგენას;
4. სადარბაზოს შესასვლელის ქვეშ ახალი სარდაფის გაუქმებას, რომელიც იყო უპროექტო და უკანონო, მოწყობილი საკუჭნაოდ და მარნად;
5. მოპასუხის მიერ სრულად მითვისებული სარდაფის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას, ამ უკანასკნელის მფლობელობიდან მოსარჩელის კუთვნილი 32 კვ.მ-ის სარდაფის გამოთხოვას, ხოლო მოპასუხის მფლობელობაში 14 კვ.მ-ის სარდაფის დატოვებას. ამავე მიზნით სარდაფში მოპასუხის მიერ მოწყობილი ბარის, აბაჯანისა და ბუხრის მოშლას;
6. საერთო სარგებლობის ეზოში 100 კვ.მ-ზე მოწყობილი მანქანების სადგომის მოშლას;
7. საერთო სარგებლობის ეზოში შესასვლელი ახალი ჭიშკრის მოშლას და პირვანდელი ღობის აღდგენას. ძველი შესასვლელი ჭიშკრის საერთო სარგებლობაში დატოვებას;
8. საერთო სარგებლობის ეზოში აშენებული ეზოს გამყოფი ბეტონის კედლის მოშლას;
9. ეზოში მოწყობილი ფაცხის მოშლას.

განმცხადებლის მოსაზრებით, ზემოთ დასახელებული მოთხოვნები სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მოთხოვნებს წარმოადგენდა, რომლებიც აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შესაბამისად განმარტებას ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განჩინებით ო. ხ-შვილის განცხადება ამავე სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. ხ-შვილი ითხოვდა გადაწყვეტილების განმარტების გზით ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე დაუშვებელი იყო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ო. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 2 მაისის განჩინებით ო. ხ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ო. ხ-შვილი განცხადებით, ფაქტობრივად, ითხოვდა ახალი გადაწყვეტილების გამოტანას, რამდენადაც მხარის მიერ განცხადებაში ჩამოთვლილი მოთხოვნები ნაწილობრივ მიესადაგებოდა და პასუხობდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს შეეძლო გადაწყვეტილება განემარტა იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება ო. ხ-შვილისათვის უნდა განემარტა სარეზოლუციო ნაწილში მითითებულ ფარგლებში, რაც გულისხმობდა სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით ო. ხ-შვილის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი («ო. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს და ო. კ-ძეს დაევალოს დ. წყნეთში, ... ქ. #24-ში მდებარე #36 კოტეჯის სარდაფის და ეზოს აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში») განიმარტა იმგვარად, რომ დადგინდა პირვანდელი მდგომარეობის შემდეგ მოქმედებებში გამოხატვა:

ა) ეზოს გამყოფი ქვის ღობის მონგრევა;

ბ) ტერასის დანგრევა 100 კვ.მ მოზაიკის იატაკითა და კიბით;

გ) ო. კ-ძის მიერ მოწყობილი ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება და საერთო შესასვლელი ჭიშკრის დატოვება;

დ) ეზოს კეთილმოწყობის მოშლა;

ე) სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება.

იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ო. ხ-შვილის საბოლოო მოთხოვნას საერთო სარგებლობის ეზოსა და სარდაფის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა წარმოადგენდა, სასამართლომ სწორედ დასახელებული მოთხოვნების საფუძვლიანობაზე იმსჯელა, ხოლო მათი დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძვლად საქმეში არსებულ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 25 მაისის #693\15 დასკვნაზე მიუთითა. აღნიშნული დასკვნა სადავო ეზოსა და სარდაფის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენისათვის საჭიროდ მიიჩნევდა:

1. ქვის ღობის მონგრევას;

2. ტერასის დანგრევას 100 კვ.მ მოზაიკის იატაკითა და კიბით;

3. ო. კ-ძის მიერ მოწყობილი ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმებას და საერთო შესასვლელი ჭიშკრის დატოვებას;

4. ეზოს კეთილმოწყობის მოშლას;

5. სადარბაზოში აშენებული კედლის, კიბის, სადარბაზოს რკინა-ბეტონის მონოლითური გადახურვის, მონოლითური რკინა-ბეტონის კონსოლური აივნისა და სადარბაზოს გარე კედელზე აგურის წყობის მოშლას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა განმარტებას საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულ ფარგლებში, რაც გულისხმობდა სარდაფისა და ეზოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ო. ხ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ივლისის განჩინების გაუქმების მოტივად მის არასაკმარის იურიდიულ დასაბუთებულობას ასახელებს და სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად გადაწყვეტილების განმარტების მიზანშეწონილობაზე მიუთითებს.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა აგრეთვე ო. კ-ძემ (წარმომადგენელი მ. ს-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვანებაზე მიუთითებს. ამა თუ იმ ტექსტის ბუნდოვანება არის ისეთი ვითარება, როდესაც შეუძლებელია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა ამ ტექსტის ავტორი. მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი არავითარი ბუნდოვანებით არ

ხასიათდება და სრულიად გასაგებია. შესაბამისად, სასამართლოს ამგვარი შინაარსის მქონე გადაწყვეტილების განმარტების საპროცესო უფლებამოსილება არ გააჩნდა.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების დაშვების მორიგ საფუძვლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია განსამარტი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელიობა, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების იმგვარად განმარტებას, რომ აღნიშნულმა არ გამოიწვიოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის შეცვლა. ამის მიუხედავად სასამართლომ განაგრძო მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი და მიუთითა ისეთ გარემოებებზე, რაზეც არც სასამართლოს და არც თავად მხარეებს არ უმსჯელიათ. ო. ხ-შვილი, რომელიც საერთო სარგებლობის ეზოსა და სარდაფის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას ითხოვდა, იმავდროულად არ მიუთითებდა, თუ რას გულისხმობდა აღნიშნული მდგომარეობის აღდგენაში. იმ პირობებში, როდესაც დავის არსებითად განხილვის პერიოდში განმცხადებლის მიერ დასახელებული საკითხები მსჯელობის საგანს არ წარმოადგენდა, სასამართლოს მიერ მათი განმარტება არამართებული იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივრით ო. ხ-შვილი ითხოვდა მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებას ეზოსა და სარდაფის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ო. ხ-შვილის სარჩელი, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით ო. კ-ძეს დაევალა #36 კოტეჯის სარდაფის და ეზოს აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში, რაც ო. ხ-შვილს საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის განჩინებით საქმეზე დანიშნულია საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, სადაც ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად ერთ-ერთ კითხვად დასმულია, თუ როგორ შეიძლება აღდგენილ იქნეს და რამდენად შესაძლებელია პირვანდელ მდგომარეობაში აღდგეს ეზო, სარდაფი და სადარბაზო. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 30 აპრილის დასკვნის თანახმად, აღნიშნულ კითხვაზე შემდეგი პასუხია გაცემული: «სადავო ეზოს, სარდაფისა და სადარბაზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენისათვის საჭიროა: მოინგრეს ქვის ღობე, დაინგრეს ტერასა 100კვ.მ მოზაიკის იატაკითა და კიბით, გაუქმდეს ო. კ-ძის ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელი და დარჩეს საერთო შესასვლელი ჭიშკარი, მოიშალოს ეზოს კეთილმოწყობა, ამოივსოს სარდაფი ადრე არსებულ დონემდე, მოიშალოს სადარბაზოში აშენებული კედელი, კიბე, სადარბაზოს რკინა-ბეტონის მონოლითური გადახურვა, მონოლითური რკინა-ბეტონის კონსოლური აივანი და აგურის წყობა სადარბაზოს გარე კედელზე». აღნიშნული დასკვნის ავტორი ექსპერტი ი. ო-ძე დაიკითხა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზეც და მას მხარეებმა დაუსვეს შეკითხვები. ამავე ექსპერტისა და მხარეთა მონაწილეობით ჩატარდა ადგილზე დათვალიერება პირველი ინსტანციის სასამართლოში. ექსპერტიზის დასკვნის ის ნაწილი, სადაც საუბარია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის კონკრეტულ გზებზე, მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის შესახებ მითითებულია კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილშიც, სადაც ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლო მიუთითებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებლობაზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ეზოს გამყოფი კედლების მოშლის, მეორე შესასვლელის (დამოუკიდებელი შესასვლელის) მოშლის, ეზოს კეთილმოწყობის, სარდაფში ნაწარმოები სამუშაოების მოშლის შესახებ, რაც მოცულია ექსპერტიზის დასკვნით, მოსარჩელე სრულიად კონკრეტულად მიუთითებდა სარჩელსა და საქმეში წარმოდგენილ მის ახსნა-განმარტებებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ექსპერტიზის ზემოაღნიშნული დასკვნის საფუძველზე ეზოსა და სარდაფის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის საკითხი განმარტებულია გამოტანილი გადაწყვეტილების ფაგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორ ო. კ-ძის მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლომ განაგრძო მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი და მიუთითა ისეთ გარემოებებზე, რაც სასამართლოსა და მხარეების მსჯელობის საგანი არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორ ო. ხ-შვილის მსჯელობას, რომ მისი განცხადება საფუძვლიანია ყველა მოთხოვნის ნაწილში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ვერ გასცდებოდა განსამარტი გადაწყვეტილების ფარგლებს, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულ ნაწილში (ეზოსა და სარდაფის ნაწილში) და მითითებული სახით იძლევა სარეზოლუციო ნაწილის განმარტების შესაძლებლობას, როგორც ზემოთ აღინიშნა.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ო. ხ-შვილისა და ო. კ-ძის კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ივლისის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლოს განჩინების განმარტება

განჩინება

#ას-561-902-07 24 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. კვანტალიანი**

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ი. ლ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინების განმარტების შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით დამტკიცდა მორიგება ი. ლ-ძეს, გ., ი., ნ., მ. და ქ. ქ-ებს, ზ. ს-ძის წარმომადგენელ მ. გ-ძესა და ნ. ქ-ელის წარმომადგენელ გ. ქ-ელს შორის შემდეგი პირობებით:

გ. ქ-ელმა იკისრა ვალდებულება ი. ლ-ძისათვის მორიგების დამტკიცების დღიდან, 2008 წლის 4 მარტიდან, სამი თვის ვადაში გადაეხადა 21 000 (ოცდაერთი ათასი) აშშ დოლარი. თანხის გადახდისთანავე ი. ლ-ძეს უნდა უზრუნველყო მის საკუთრებაში არსებული, ქ. გორში ... ქ. #24-ში მდებარე ბინის მოპასუხეების სახელზე აღრიცხვა. თუ გ. ქ-ელი მოსარჩელე ი. ლ-ძეს სამი თვის ვადაში აღნიშნულ თანხას არ გადაუხდოდა, მისი გადახდა უნდა განხორციელებულიყო ზემოაღნიშნული ბინის აუქციონზე რეალიზაციის გზით. თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის გ. ქ-ელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აუნაზღაურებდა ზარალს ი. ლ-ძეს. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე გ. ქ-ელი დადებდა საკრედიტო ხელშეკრულებას ბანკთან, ხოლო ბანკი მოითხოვდა კრედიტის უზრუნველყოფას, მოსარჩელე ი. ლ-ძეს უნდა განეხორციელებინა თავის საკუთრებაში არსებული ქ. გორში ... ქ. #24-ში მდებარე ბინის იპოთეკით დატვირთვა, ზემოხსენებული ვალის დაფარვის მიზნით. რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან ი. ლ-ძის მიერ თანხის მიღების შემდეგ დარჩენილი თანხა გადაეცემოდათ მოპასუხეებს.

მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოება შეწყდა და ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება გაუქმდა.

2008 წლის 8 დეკემბერს ი. ლ-ძემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადებით მიმართა. განმცხადებელმა მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შემდეგი წინადადების განმარტებას მოითხოვდა: «თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის გ. ქ-ელი აუნაზღაურებს ზარალს ი. ლ-ძეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად», რადგანაც პროცესზე აღნიშნული იყო, რომ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გ. ქ-ელს დაეკისრებოდა გადასახდელი თანხის (21 000 აშშ დოლარის) 0,003%, რაც განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ასახული არ არის.

საკასაციო პალატა წარმოდგენილი განცხადების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ

არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძვლად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი მისი აღსრულების უზრუნველყოფას, ამდენად, იმისათვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამძღვრები, განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს, ამასთან, აღნიშნული ნორმის იმპერატიული დანაწესია, რომ განმარტებამ არ უნდა გამოიწვიოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლა.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი ი. ლ-მე განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების საფუძვლად უთითებს, რომ გარკვეული მოსაზრება, რომელიც გამოთქმული იყო სასამართლო სხდომაზე, ასახული არ არის სარეზოლუციო ნაწილში. პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების განმარტება ხდება იმ სახით, რა სახითაც იგი რეალურად ფორმულირებულია და არა იმ მოსაზრებებისა და მტკიცებების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლებოდა გამოთქმული ყოფილიყო სასამართლო სხდომის დროს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებელის მიერ მითითებული გარემოებები განჩინების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას არ უკავშირდება, ამასთან, იგი მნიშვნელოვნად სცილდება გადაწყვეტილების განმარტების კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს, ვინაიდან ი. ლ-მე ითხოვს სარეზოლუციო ნაწილის განმარტებას იმგვარი პირობის გათვალისწინებით, რომელიც არც მორიგების აქტში და, შესაბამისად, არც მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების რომელიმე ნაწილში ასახული არ ყოფილა, ამდენად, განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რეალურად, განჩინების სარეზოლუციო ნაწილისა და მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობების შეცვლას გულისხმობს, რისი უფლებამოსილებაც სასამართლოს არ გააჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ი. ლ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინების განმარტების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ლ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების განმარტება

განჩინება

ას-888-1100-08

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: განჩინების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით დამტკიცდა მორიგება გ. ნ-შვილსა და თ. და ნ. ბ-ძეებს შორის.

2008 წლის 27 აგვისტოს ნ. და თ. ბ-ძეებმა განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს ამავე სასამართლოს 2008 წლის ივლისის განჩინების გაუქმება და 2008 წლის 8 ივლისის განჩინების აღსრულების გადადება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა ნ. და თ. ბ-ძეების განცხადება განჩინების აღსრულების გადადების თაობაზე.

2008 წლის 29 აგვისტოს ნ. და თ. ბ-ძეებმა კერძო საჩივრით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვეს ამავე სასამართლოს 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინების გაუქმება და 2008 წლის 8 ივლისის განჩინების აღსრულების გადავადება 2008 წლის 25 ნოემბრამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინებით ნ. და თ. ბ-ძეების კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 ივლისის განჩინების აღსრულება გადაიდო 2008 წლის 25 ნოემბრამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2008 წლის 11 სექტემბერს წარდგენილი განცხადებით გ. ნ-შვილმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინების განმარტება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განჩინებით გ. ნ-შვილის განცხადება განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

პალატამ მიიჩნია, რომ განსამარტი განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, ჩამოყალიბებულია ნათლად და გარკვევით, არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ განმცხადებელმა სარწმუნოდ ვერ დაადასტურა განჩინების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვნება და ვერ დაასაბუთა, რა უშლის ხელს ზემოაღნიშნული განჩინების იმ შინაარსით და იმ ფარგლებში აღსრულებას, როგორც ეს განჩინებითაა დადგენილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ნ-შვილმა

კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა მისთვის იმ საკითხის განმარტება, თუ რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვა 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინებით გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებას 2008 წლის 25 ნოემბრამდე, კერძოდ, გადავადდა თუ არა გ. ნ-შვილისთვის მოპასუხეთა მხრიდან თანხის გადაცემის ვალდებულება და, აგრეთვე, მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში მესაკუთრედ, მეორე მხარის მიერ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ თარიღების შეცვლით სააპელაციო სასამართლო ცალმხრივად ჩაერია მხარეთა შეთანხმებით მიღებულ განჩინების შინაარსში მაშინ, როცა ეს განჩინება და არც მისი შინაარსი არ ყოფილა გასაჩივრებული არც კანონით დადგენილ ვადაში და არც მის შემდეგ, უფრო მეტიც, იგი კანონიერ ძალაში იყო შესული.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 სექტემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და უზენაესმა სასამართლომ განუმარტოს კერძო საჩივარში დასმული კითხვებს და განმარტოს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინების შინაარსი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, საქმის მასალებს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინებით გადავადდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის განჩინება, რომლითაც დამტკიცდა მორიგება მოდავე მხარეებს შორის. აღნიშნული განჩინებით აღსრულება გადაიდო 2008 წლის 25 ნოემბრამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის მორიგების პირობები შეიცვალა იმდგვარად, რომ მორიგების აქტში მითითებულ პირობათა შესრულების ათვლა 1-ლი სექტემბრის ნაცვლად დაიწყო 25 ნოემბრიდან.

განმცხადებელი კერძო საჩივრით ითხოვს 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინების განმარტებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების განმარტება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ განსამარტი განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მხოლოდ და მხოლოდ გადავადებულა აღსრულების დრო. მისი შინაარსი სრულიად მკაფიო და გასაგებია, იგი არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს, ამიტომ შეუძლებელია დაკმაყოფილდეს განმცხადებლის მოთხოვნა. რაც შეეხება განცხადებაში მითითებულ კითხვებს, იგი სცილდება მოცემული განჩინების განმარტების საკითხს და ამიტომ შეუძლებელია მასზე იმსჯელოს სასამართლომ

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გ. ნ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

4. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

განჩინება

ა-271-ა-8-08

9 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

მოსამართლე: თ. თოდრაი

დავის საგანი: განჩინების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა თ. ლ-შვილმა მოპასუხეების - შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორისა და ხაშურის ვაგონების სარემონტო-საექსპლოატაციო სამმართველოს უფროს მ. ტ-მის მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

სასარჩელო განცხადებაში თ. ლ-შვილი მიუთითებს, რომ იგი მუშაობდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის ვაგონების სარემონტო-საექსპლოატაციო სამმართველოში დამხმარე საამქროს მოძრავი შემადგენლობის რემონტის ზეინკლად 2006 წლის 11 თებერვლიდან, მისი დანიშვნის საფუძველი იყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს დადგენილება და გენერალური დირექტორის 2006 წლის 28 თებერვლის ბრძანება.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის ვაგონების სარემონტო-საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსის 2006 წლის 31 აგვისტოს ბრძანებით თ. ლ-შვილი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან, რაც მოსარჩელეს მიაჩნია უკანონოდ.

მოსარჩელემ მოითხოვა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის ვაგონების სარემონტო-საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსის - მ. ტ-მის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ #217 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 2 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო. მოსარჩელე თ. ლ-შვილის სარჩელს შპს „საქართველოს რკინიგზისა“ და ხაშურის ვაგონების სარემონტო-საექსპლოატაციო სამმართველოს მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ უარი ეთქვა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო. თ. ლ-შვილს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 100 ლარის გადახდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა თ. ლ-შვილმა საჩივრით, რომლითაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილება და კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 2 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება თ. ლ-შვილისათვის სახელმწიფო ბაჟის - 100 ლარის დაკისრების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 ოქტომბრის განჩინება და 2006 წლის 2 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა თ. ლ-შვილმა სააპელაციო საჩივრით, რომლითაც მოითხოვა მათი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო პალატის 2007 წლის 17 იანვრის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი თ. ლ-შვილი, რომელსაც ეცნობა სხდომის დღის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოწინააღმდეგე მხარის შპს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენელმა ნ. მ-შვილმა იშუამდგომლა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა თ. ლ-შვილმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა თ. ლ-შვილმა. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიტანა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით თ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინება.

თ. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული განჩინების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საკასაციო პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით განმცხადებელს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 100 ლარის ჩარიცხვის ქვითრის წარდგენა.

2008 წლის 17 მარტს თ. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა საკასაციო პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ მას არასწორად დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

საკასაციო პალატის 2008 წლის 21 მარტის განჩინებით თ. ლ-შვილის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და განმცხადებელს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული საპროცესო ვადა და დაევალა მას განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარდგენა. მითითებული განჩინებით მას განემარტა, რომ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში განცხადება არ მიიღებოდა და განუხილველი დარჩებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით თ. ლ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. ლ-შვილმა. მან მიუთითა, რომ მოსამართლემ მისი განცხადება განიხილა ერთპიროვნულად, რისი უფლებაც მას კანონით არა აქვს, კერძოდ, უზენაეს სასამართლოში სამი მოსამართლე კოლეგიურად იხილავს საქმეს. გარდა ამისა, მოსამართლემ იგი არ გაათავისუფლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, როცა ის მიეკუთვნება სოციალურად დაუცველ პირთა კატეგორიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. ლ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით თ. ლ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. ლ-შვილმა და მოითხოვა ანიშნული განჩინების გაუქმება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში თ. ლ-შვილმა კერძო საჩივარი შეიტანა უზენაესი სასამართლოს განჩინებაზე, რომელიც არ საჩივრდება. უზენაესი სასამართლო არის საბოლოო ინსტანციის სასამართლო, სადაც საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს და განჩინებებს, იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოება. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება და იგი კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, მისი გასაჩივრება დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, თ. ლ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ლ-შვილის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

სააღსრულებო ფურცლის გაცემა

განჩინება

#ას-941-1247-07

26 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა: აღსრულების წესის შეცვლა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით ლ. ც-ძის სარჩელი ლ. თ-ელის მიმართ დაზიანებული საყრდენი კედლის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების დავალდებულებისა და უკანონო სველი წერტილების მოწყობის აკრძალვის თაობაზე დაკმაყოფილდა, ლ. თ-ელს აკრძალა თბილისში, ... ქ. #58/10-ში მდებარე სახლის სარდაფში უკანონო წერტილების, სანიტარული კვანძისა და სამზარეულოს მოწყობა, ხოლო ლ. თ-ელის შეგებებული სარჩელი და მესამე პირის - ნ. ბ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. თ-ელმა და ნ. ბ-ძემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლ. თ-ელისა და ნ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. ც-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ლ. თ-ელის შეგებებული სარჩელი და ნ. ბ-ძის სარჩელი, თ. ც-ძეს დაევალა თბილისში, ... ქ. #58/10-ში მდებარე სახლის პირველი სართულის ღია აივანზე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, კერძოდ, ისე, რომ მას დარჩენოდა 6 კვ.მ ოთახი.

2007 წლის 6 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ლ. თ-ელისა და ნ. ბ-ძის წარმომადგენელმა დ. მ-შილმა და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი აღსრულების წესის შეცვლა შემდეგი საფუძველით: განმცხადებლის განმარტებით, თ. ც-ძის მიერ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეურსულელობის გამო, გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების მიზნით ლ. თ-ელმა და ნ. ბ-ძემ მიმართეს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, რომელმაც უარი განუცხადა გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე იმ მოტივით, რომ სადავო ფართი ამჟამად უკავია მის ყოფილ მეუღლეს - ლ. ც-ძეს, ხოლო თავად თ. ც-ძე იმყოფება საზღვარგარეთ, ლ. ც-ძეს კი ვერ დაავალდებულებდა სააღსრულებო ფურცლის სისრულეში მოყვანას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებელმა მოითხოვეს, «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 86-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 254-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით ლ. თ-ელისა და ნ. ბ-ძის წარმომადგენელ დ. მ-შილის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადებელთა მიერ მითითებული განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი ეხება უშუალოდ მოვალის მიერ აღსრულებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობას, ხოლო მოცემულ შემთხვევაში კი სააღსრულებო მოქმედებები მიმართული იქნება იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც მოვალედ არ არის დასახელებული სააღსრულებო ფურცელში.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ლ. თ-ელმა და ნ. ბ-ძემ, მოითხოვეს მისი გაუქმება და მათი განცხადების დაკმაყოფილება თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი აღსრულების წესის შეცვლის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ლ. თ-ელისა და ნ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღსრულება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მაშინ, თუ პირები, რომელთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ უნდა მოხდეს აღსრულება, კონკრეტულად არიან დასახელებული სააღსრულებო ფურცელში.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2006 წლის 31 ივლისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ დასახელებულია თ. ც-ძე, ხოლო სადავო ფართის მესაკუთრეს, რომელზეც უნდა განხორციელდეს სააღსრულებო მოქმედებები, წარმოადგენს ლ. ც-ძე, რომელიც მოვალედ არ არის დასახელებული სააღსრულებო ფურცელში და, შესაბამისად, მის წინააღმდეგ სააღსრულებო მოქმედება ვერ განხორციელდება.

«სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია, ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებში არ მოიპოვება უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დგინდება თ. ც-ძის უფლებამონაცვლე პირი, შესაბამისად, მოვალის უფლებამონაცვლის დადგენამდე, რომლის წინააღმდეგაც გაიცემა სააღსრულებო ფურცელი, იძულებითი აღსრულების განხორციელება სადავო ფართზე შეუძლებელია.

აღნიშნულის გამო, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორების მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. თ-ელისა და ნ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინება;

კერძო საჩივრის ავტორებს დაუბრუნდეთ მათ მიერ 300 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 250 ლარი საქართველოს სახელმწიფო ხაზინის (კოდი:#220101222), საბიუჯეტო შემოსავლების #300773150 სახაზინო კოდით ძველი თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900 ანგარიშიდან.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

სააღსრულებო ფურცლის გაცემა

განჩინება

#ას-126-404-08

16 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა: სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა.

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 17 სექტემბერს ი. ჭ-იამ სარჩელით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ელექტროქსელში მაღალი ძაბვის მიწოდებით, გამოწვეული ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის - 82 348 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით ი. ჭ-იას უფლებამონაცვლე ი. ჭ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - სს «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის სახით 29 501 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს ორივე მხარემ. ი. ჭ-იამ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა მისი გაუქმება თანხის დაკისრების ნაწილში და სს «საქართველოს

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისათვის» მის მიერ მოთხოვნილი თანხის, კერძოდ, 82 348 ლარის სრულად დაკისრება.

სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ» თავის მხრივ მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება თანხის დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით ი. ჭ-იას სარჩელი დარჩა განუხილველად ბაჟის გადაუხდელობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის პირველი თებერვლის გადაწყვეტილებით სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ი. ჭ-იას უფლებამონაცვლე ი. ჭ-იას სარჩელი და სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას» მის სასარგებლოდ დაეკისრა 24 584 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, რომელზეც ი. ჭ-იას განცხადების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2007 წლის 7 აგვისტოს გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი.

2007 წლის 14 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელმა - ე. ღ-მემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის პირველი თებერვლის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა სს «ენერჯია XXI-ის» წინააღმდეგ, ვინაიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის «საწარმოთა მართვის სააგენტოს» 2007 წლის #1-3/736 ბრძანების პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია» შეერწყა სხვა ენერგოკომპანიებს და მათ ბაზაზე შეიქმნა მათი სამართალმემკვიდრე კომპანია სს «ენერჯია XXI».

აღნიშნულიდან გამომდინარე, ე. ღ-მემ მოითხოვა 2007 წლის 7 აგვისტოს სააღსრულებო ფურცლის რეკვიზიტების შეცვლა, კერძოდ, სააღსრულებო ფურცელში მითითებული სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» შეცვლა მისი სამართალმემკვიდრე სს «ენერჯია XXI-ით».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელ ე. ღ-მის განცხადება დაკმაყოფილდა და შეტანილ იქნა ცვლილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში, კერძოდ, სააღსრულებო ფურცელში მოვალედ სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» ნაცვლად მიეთითა სს «ენერჯია XXI».

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს «ენერჯია XXI-მა» მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი განჩინებით 2007 წლის 7 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენამდე და სააღსრულებო ფურცლის გაცემა 2007 წლის 28 ნოემბრის სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერების მოთხოვნით დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ აღნიშნული განჩინება საპროცესო დარღვევებით გამოიტანა, არასწორად განმარტა და გამოიყენა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 24-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, სააღსრულებო ფურცელში ცვლილებები სამართლებრივი შემოწმებისა და გამოკვლევის გარეშე შეიტანა. სააღსრულებო ფურცელი ი. ჭ-იას სახელზე უკვე გაცემული იყო 2007 წლის 7 აგვისტოს, ხოლო აღნიშნული მუხლი უშვებს უფლებამონაცვლეობაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას, როცა გადაწყვეტილებაში მითითებულ მოვალე საწარმოზე, სასამართლოს მიერ ჯერ არ არის გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ სს «ენერჯია XXI-ის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა წინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის პირველი თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ი. ჭ-იას უფლებამონაცვლე ი. ჭ-იას სარჩელი და სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას» მის სასარგებლოდ დაეკისრა 24 584 ლარის გადახდა, შევიდა კანონიერ ძალაში. 2007 წლის 7 აგვისტოს გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, მაგრამ გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ განცხადების შემოტანის დროისთვის ი. ჭ-იას სახელზე სააღსრულებო ფურცელი უკვე გაცემული იყო და შესაძლოა მხარემ აღნიშნულით ისარგებლა კიდევ, რასაც არ იზიარებს საკასაციო სასამართლო, ვინაიდან, დადგენილია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის «საწარმოთა მართვის სააგენტოს» 2007 წლის #1-3/736 ბრძანების პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია» შეერწყა სხვა ენერგოკომპანიებს და მათ ბაზაზე შეიქმნა მათი სამართალმემკვიდრე კომპანია სს «ენერგია XXI», ხოლო ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის #12734/006 ბრძანებით განხორციელდა სს «ენერგია XXI-ის» სახელმწიფო რეგისტრაცია, შესაბამისად, აღარ არსებობდა სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია» და სააღსრულებო ფურცლით სარგებლობა ვერ იქნებოდა შესაძლებელი. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მას კი რაიმე დოკუმენტი აღნიშნულის დასადასტურებლად არ წარმოუდგენია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლ ე. ღ-მის განცხადება სს «ენერგიაXX-ის» წინააღმდეგ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ განჩინება საპროცესო დარღვევებით იქნა გამოტანილი, რაც განჩინების გაუქმების საფუძველია. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებული საპროცესო დარღვევები ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება არ გამოტანილა.

აღნიშნულის გამო, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

- სს «ენერგიაXXI-ის» დირექტორ ე. ღ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინება;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააღსრულებო ფურცლის გაცემა

განჩინება

#ას-474-715-08

21 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს «თიბისი ბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «სიჭის», შპს «აქატის», დ. ს-ვას, ტ. ქ-იასა და ნ. თ-ძის მიმართ კრედიტის დაბრუნებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ.

ფოტის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს «თიბისი ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - შპს «სიჭის» დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის - 34699,41 აშშ დოლარისა და პროცენტის - 2880,53 აშშ დოლარის გადახდა. დავალიანების დასაფარად დადგინდა იპოთეკით დატვირთული შემდეგი ქონების რეალიზაცია: ქ. ზუგდიდში, ... ქ. #228-ში მდებარე, ტ. ქ-იას საცხოვრებელი ბინა, ქ. ზუგდიდში, ... ქ. #17-ში მდებარე დ. ს-ვას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე ნაგებობები, შპს «სიჭის» საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდში, ... ქ.#17-ში მდებარე თბილის სამტრევი ავრეგატი.

მოცემული საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 19 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შპს «თიბისი ბანკის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს - 6032 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრებისა და მოქალაქე ნ. თ-ძის საცხოვრებელი სახლის საჯარო აუქციონზე რეალიზაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში სს «თიბისი ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა - შპს «სიჭის» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს - 6032 აშშ დოლარის გადახდა და დადგინდა ნ. თ-ძის საცხოვრებელი სახლის საჯარო აუქციონზე რეალიზება.

სს «თიბისი ბანკმა» განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განჩინებით სს «თიბისი ბანკის» განცხადება დაკმაყოფილდა და დადგინდა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გამახვილა თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2007 წლის 7 სექტემბრის წერილზე სს «თიბისი ბანკის» მიმართ, რომლითაც ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული #2/ზ-187-04-05 სააღსრულებო ფურცელი, სს «თიბისი ბანკის» კრედიტორული დავალიანების გამო, ნ. თ-ძის მიმართ რეგისტრირებული არ არის და საქმეზე სააღსრულებო წარმოება არ მიმდინარეობს. პალატამ ასევე გამოარკვია, რომ სამეგრელო-ზემოხვანეთის სააღსრულებო ბიუროში არ შესულა არც ძირითადი სესხის ნაწილში სააღსრულებო ფურცელი. სასამართლომ იხელმძღვანელა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 23-ე მუხლით და ჩათვალა, რომ სს «თიბისი ბანკის» მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს «სიჭიმ», შპს «აქატმა» და ტ. ქ-იამ შეიტანეს კერძო საჩივარი და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სადავო სააღსრულებო ფურცელში მოვალე ტ. ქ-იას მისამართი არასწორადაა მითითებული და დაუზუსტებელია, ვინაიდან ტ. ქ-ია ... ქ.#228-ში არ ცხოვრობს. ამასთან, გასაჩივრებული განჩინება უსამართლოა, რადგან გადახდევინება მიექცა დ. ს-ვასა და ტ. ქ-იას მთელ ქონებაზე, რა დროსაც არ იქნა გათვალისწინებული «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 45-ე მუხლის მეორე ნაწილი.

მოცემულ საქმეზე ირკვევა, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 19 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შპს «სიჭის» სს «თიბისი ბანკის» სასარგებლოდ დაეკისრა 6032 აშშ დოლარის გადახდა და დადგინდა ნ. თ-ძის საცხოვრებელი სახლის საჯარო აუქციონზე რეალიზება, რაზეც ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2007 წლის 7 სექტემბერს გაცემული #01/07-03-391 ცნობით დასტურდება, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს

მიერ გაცემული #2-187-04-05 სააღსრულებო ფურცელი სს «თიბისი ბანკის» საკრედიტო დავალიანებაზე ნ. თ-მის მიმართ რეგისტრირებული არ არის და მასზე სააღსრულებო წარმოება არ მიმდინარეობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «სიჭის», შპს «აქატისა» და ტ. ქ-იას კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 20-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე. სააღსრულებო ფურცელი გაცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას. ამავე კანონის 23-ე მუხლით კი სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში სასამართლოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია გასცეს დუბლიკატი. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ხდება შესაბამის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემისა და სააღსრულებო ბიუროში წარდგენის გზით, რის საფუძველზეც იხსნება სააღსრულებო წარმოება. ამასთან, კანონმდებელი ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში მისი დუბლიკატის გაცემის შესაძლებლობას იმავე სასამართლოს მიერ, რომელმაც თავდაპირველი სააღსრულებო ფურცელი გასცა.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2007 წლის 7 სექტემბრის #01/07-03-391 ცნობით დასტურდება, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 19 მაისის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი სააღსრულებო ბიუროში არ დარეგისტრირებულა და მასზე სააღსრულებო წარმოება არ დაწყებულა.

ამდენად, ზემოაღნიშნული კანონის დანაწესის შესაბამისად, სს «თიბისი ბანკის» მოთხოვა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე დასაბუთებულია და სააპელაციო სასამართლომ მართებულად გაიზიარა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, რადგან სააღსრულებო ფურცელში ტ. ქ-იას მისამართი არასწორადაა მითითებული, ამასთან, აღსრულება მიექცა დ. ს-ვასა და ტ. ქ-იას მთელ ქონებაზე, რაც «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 45-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით დაუშვებელია. სადავო სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებით შპს «სიჭისათვის» დაკისრებული თანხის დასაფარად გადახდევინება მიექცა ნ. თ-მის საცხოვრებელ სახლზე და არა დ. ს-ვასა და ტ. ქ-იას ქონებაზე. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება დაუსაბუთებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს «სიჭის», შპს «აქატისა» და ტ. ქ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელი.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააღსრულებო ფურცლის გაცემა

განჩინება

#ას-624-848-08 1 აგვისტო 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა სს «ბანკი ქართუმ» მოპასუხეების: ლ. მ-ხისა და შპს «ლ. მ-ხის» მიმართ დავალიანების გადახდევინების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით სს „ბანკი ქართუს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება გაასაჩივრა სს „ბანკი ქართუმ“ სააპელაციო საჩივრით, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. ამასთან, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა 430 852 აშშ დოლარამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 10 იანვრის საოქმო განჩინებით ლ. მ-ხის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება შპს „ქართული ჩოგბურთი“. ამავე სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და მოითხოვეს მისი დამტკიცება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 იანვრის განჩინებით დამტკიცდა მხარეებს შორის მორიგება. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე შეწყდა საქმის წარმოება. განჩინება არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

2008 წლის 3 ივნისს ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ განცხადებით მომართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაზე“ სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განჩინებით ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადება დაკმაყოფილდა - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 იანვრის განჩინებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი ამ განჩინებაში დასახელებული კრედიტორის - სს «ბანკი ქართუ»-ს უფლებამონაცვლეზე - სს «ვითიბი ბანკი ჯორჯია»-ზე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს «ქართული ჩოგბურთის» წარმომადგენელმა დ. ლ-ავამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, 2008 წლის 18 ივნისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ისე დააკმაყოფილა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ, რომ მხოლოდ უფლებამონაცვლის შეცვლით არ შემოიფარგლა, არამედ სამოტივაციო ნაწილით გაზარდა უფლებამონაცვლისთვის მოთხოვნის საგანი. კერძოდ:

2007 წლის 10 ივნისის მორიგების აქტის მიხედვით, საკრედიტო დავალიანების და მასზე დარიცხული პროცენტების უზრუნველყოფას წარმოადგენდა მოვალის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება» (მორიგების მე-7 მუხლი), ხოლო 2008 წლის 18 ივნისის განჩინების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო „უძრავი ქონების“ ტერმინით არ შემოიფარგლება და შეცვალა იგი „მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით», რაც ფაქტობრივად ამახინჯებს მორიგების შინაარსს.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით შენობა-ნაგებობებით და თანაც მშენებარე შენობა-ნაგებობებით მათ იპოთეკით დავტვირთეს მხოლოდ მე-3 რიგის იპოთეკის დროს - 2007 წლის 17 აპრილს, ანუ მორიგების დადების შემდეგ. ამდენად, გაუგებარია როგორ შეიძლება მისი მოხვედრა იმ მორიგების აქტში, რომელიც მანამდე შესრულებული.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცვალოს და დაფიქსირდეს ისე, როგორც ამას კანონი და მორიგება მოითხოვს. სასამართლოს არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გაემოყენებინა (სსსკ-ის 92-ე მუხლი) და არასწორად განმარტა კანონი, რაც არის განჩინების ნაწილის გაუქმების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილის გაუქმებას და ახალი განჩინების ნაწილის მიღებას, სადაც ამოღებული იქნება წინადადება - «და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები».

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ 2008 წლის 18 ივნისის განჩინების სამოტივაციო ნაწილში ტერმინი «უძრავი ქონება» არასწორად შეცვალა ტერმინით «მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა ნაგებობები». სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლი განსაზღვრავს უძრავი ნივთის ცნებას. აღნიშნული ნორმის თანახმად უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასზე არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე, შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. ამავე კანონის 150-ე მუხლის თანახმად, შენობა-ნაგებობანი წარმოადგენს მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს, რომელიც ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში კი კანონი ითვალისწინებს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის არა როგორც ცალ-ცალკე უფლების ობიექტის, არამედ როგორც ერთიანი ნივთის რეალიზაციის შესაძლებლობა. (სამოქალაქო კოდექსის 300-ე, 301-ე მუხლები). ამდენად, სასამართლო მოისხენიებს მხოლოდ უძრავ ნივთს თუ უძრავ ნივთს მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად არ იცვლება უძრავი ნივთის სამართლებრივი დატვირთვა, მით უფრო განჩინების შინაარსი. მითუმეტეს, რომ აღსასრულებლად სავალდებულოა არა სამოტივაციო ნაწილი, არამედ - განჩინების სარეზოლუციო ნაწილი.

ამასთან, სადავო განჩინებით სს «ბანკი ქართუს» უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სს «ვითიბი ბანკი ჯორჯია» და ამ უკანასკნელზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული განჩინების საფუძველზე სს «ვითიბი ბანკი ჯორჯიას» მიმართ გავრცელდა 2007 წლის 10 იანვრის განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობები და შეუძლებელია გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში რაიმე სახის მითითებამ შეცვალოს სასამართლოს მიერ დამტკიცებული ეს პირობები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს «ქართული ჩოგბურთის» წარმომადგენლის დ. ლ-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა

განჩინება

#ას-189-454-08 19 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს «სალომეს» სარჩელი სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» მიმართ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 13 689 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და 2005 წლის 20 მაისს ამოიწერა შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი.

2007 წლის 27 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელმა ე. ლ-ძემ და მოითხოვა 2005 წლის 20 მაისს გაცემული #2ბ-2105-04 სააღსრულებო ფურცლის რეკვიზიტების შეცვლა, კერძოდ, მითითებულ სააღსრულებო ფურცელში მოვალის - სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» ნაცვლად მისი სამართალმემკვიდრის - სს «ენერგია XXI-ის» მითითება. განცხადებას დაერთო საჯარო სამართლის იურიდიული პირის «საწარმოთა მართვის სააგენტოს» 2007 წლის 10 ოქტომბრის #1-3/736 ბრძანება და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 2 ნოემბრის #05.02/22436 წერილი, რომლებიდანაც ირკვევა, რომ სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია» შეერწყა სხვა ენერგოკომპანიებს, რის საფუძველზეც შეიქმნა სს «ენერგია XXI».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებით შეტანილ იქნა ცვლილება #2ბ2105-04 სამოქალაქო საქმეზე - შპს «სალომეს» სარჩელის გამო სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში და მოვალედ, სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» ნაცვლად, მიეთითა სს «ენერგია XXI-ზე» შემდეგ გარემოებათა გამო: განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - «საწარმოთა მართვის სააგენტოს» 2007 წლის #1-3/736 ბრძანების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია» შეერწყა სხვა ენერგოკომპანიებს, რის შედეგად შეიქმნა მათი სამართალმემკვიდრე - სს «ენერგია XXI». პალატამ ასევე მიუთითა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის #12734/006 ბრძანების შესაბამისად, განხორციელდა სს «ენერგია XXI-ის» სახელმწიფო რეგისტრაცია. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლით და წარმოდგენილი განცხადება საფუძვლიანად ჩათვალია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სს «ენერჯია XXI-მა» შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასწორად განმარტა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 24-ე მუხლი, რომელიც უშვებს მხარეთა უფლებამონაცვლობისას სააღსრულებო ფურცლის გაცემას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოვალის მიმართ სააღსრულებო ფურცელი ჯერ გაცემული არ არის, ხოლო უკვე გაცემული სააღსრულებო ფურცლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტორი სარგებლობს ან უკვე ისარგებლა დაუბრკოლებლად, აღსრულების ყველა ეტაპზე. მოცემულ შემთხვევაში სადავო სააღსრულებო ფურცელი შპს «სალომეს» სახელზე უკვე გაცემული იყო. სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი, როდესაც განიხილა სადავო სააღსრულებო ფურცლის რეკვიზიტებში ცვლილების შეტანის შესახებ სააღსრულებო ბიუროს განცხადება, ვინაიდან განმცხადებელი, «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 21-ე მუხლის თანახმად, არაუფლებამოსილ პირს წარმოადგენდა. ამდენად, სასამართლოს უნდა დაედგინა სათანადო მოსარჩელის ვინაობა და თუ არასათანადო მხარე უარს იტყოდა სათანადო მოსარჩელით შეცვლაზე, საქმის წარმოება უნდა შეეწყვიტა. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი შედგენილ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2, 267¹ და 92-ე მუხლის მეოთხე ნაწილის დარღვევით, რადგან მასში არასწორად მითითებულია, რომ განჩინება არ საჩივრდება, რის გამოც სს «ენერჯია XXI-ს» საკუთარი ინტერესების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა შეეზღუდა. თბილისის სააღსრულებო ბიურო წარმოადგენს რა ადმინისტრაციულ ორგანოს, მის მიერ შეტანილი განცხადება სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ნაცვლად განსჯადობით უნდა განეხილა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სააპელაციო სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებანი სრულად არ გამოიკვლია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაადგინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის» მიმართ გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ვადად განისაზღვრა 2007 წლის 10 ოქტომბერი. ამავე წლის 15 ოქტომბერს კი სს «ენერჯია XXI» დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრში. სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას» დაენიშნა გაკოტრების მმართველი და კრედიტორთა პირველი კრება დაინიშნა 2008 წლის 4 აპრილს. «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მეოთხე პუნქტისა და საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე დროებით შეჩერდა მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, ხოლო ამავე კანონის მე-13 მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე მოცემული დავა უნდა ეწარმოებინა გაკოტრების საქმის წარმოების გამხსნელ სასამართლოს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას» შპს «სალომეს» სასარგებლოდ დაეკისრა 13 689 ლარის გადახდა, რაზეც 2005 წლის 20 მაისს ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის «საწარმოთა მართვის სააგენტოს» 2007 წლის 10 ოქტომბრის #1-3/736 ბრძანებისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადახადო ინსპექციის 2007 წლის 2 ნოემბრის #05.02/22436 წერილის თანახმად, სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანია» შეერწყა სხვა ენერჯოკომპანიებს, რის საფუძველზეც შეიქმნა და სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა სს «ენერჯია XXI».

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელმა და მოითხოვა ზემოხსენებულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ, სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის» ნაცვლად, სს «ენერჯია XXI-ის» მითითება, რაც სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 იანვრის განჩინებით დაკმაყოფილდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «ენერჯია XXI-ის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორად განმარტა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 24-ე მუხლი, რომლის პირველი წინადადების თანახმად სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია, სასამართლომ სააღსრულებო ფურცელი გასცეს არა უშუალოდ იმ მხარის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება, არამედ მისი უფლებამონაცვლის მიმართაც. კანონის აღნიშნული დანაწესი გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც მოვალის უფლებამონაცვლე დგინდება სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების ჯეროვან და ეფექტურ აღსრულებას. ამასთან,

აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნორმა სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის ამოწერის შემდეგ მოვალის მისი უფლებამონაცვლით შეცვლის შესაძლებლობას არ კრძალავს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი ამოწერა 2005 წლის 20 მაისს, რა დროსაც განსახილველ დავაზე მოვალეს წარმოადგენდა სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია». სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფაქტი კერძო საჩივრის ავტორს არ დაუდასტურებია. საქმის მასალებით უტყუარად ირკვევა, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემდეგ სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგო-კომპანიის» უფლებამონაცვლედ დადგინდა სს «ენერგია XXI». ამდენად, სააპელაციო სასამართლომ 2005 წლის 20 მაისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში სავსებით მართებულად შეიტანა ცვლილება და მოვალედ სს «ენერგია XXI-ზე» საფუძვლიანად მიუთითა.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელი არასათანადო მხარეს წარმოადგენდა და მისი განცხადება განსჯადობით უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ვინაიდან სააღსრულებო ფურცელში სადავო ცვლილების შეტანის თაობაზე აღმასრულებლის განცხადებით დამოუკიდებელი საქმის წარმოება არ დაწყებულა, არამედ აღნიშნული განცხადება მიზნად ისახავდა შპს «სალომეს» სარჩელის გამო სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» მიმართ განხილულ სამოქალაქო საქმეზე სააღსრულებო წარმოების სწორად, კერძოდ, სათანადო მოვალის მიმართ წარმართვას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, რადგან მის სარეზოლუციო ნაწილში არასწორად მიეთითა, რომ განჩინება არ საჩივრდება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებულ საპროცესო დარღვევას მხარის ინტერესების ხელყოფა (მისი კერძო საჩივარი დაუბრკოლებლივ მიღებულ იქნა წარმოებაში) და საქმეზე არსებითად არასწორი განჩინების მიღება არ მოჰყოლია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ოქტომბერის განჩინებით სს «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» მიმართ გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება, ვინაიდან აღნიშნული სადავო სააღსრულებო ფურცელში მოვალის შეცვლაზე გავლენას ვერ მოახდენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს «ენერგია XXI-ის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების გადადების აღსრულება

განჩინება

ას-979-1280-07 20 თებერვალი 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: აღსრულების გადადება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 12 აპრილს, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ვ. ს-ძემ და მოითხოვა მოპასუხე ნ. და დ. ს-ძე და გ. ს-ძე-დ-ძესგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება 54000 ლარის ოდენობით.

მოსარჩელის განმარტებით, 1952 წლიდან კანონიერად სარგებლობდა ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ... მდებარე მიწის ნაკვეთით და საცხოვრებელი სახლით. 1995 წელს მისი საკარმიდამო ნაკვეთის

მოსაზღვრედ მცხოვრებმა მოპასუხებმა ძალის გამოყენებით ჩაუკეტეს საკარმიდამო ნაკვეთში მისასვლელი გზა, არ მისცეს საშუალება ესარგებლა საკარმიდამო ნაკვეთში მოწეული მოსავლით და ათი წელი უკანონოდ სარგებლობენ მისი პირადი ნაკვეთითა და მოსავლით. ასევე მოპასუხებმა ბოროტი განზრახვით დაუნგრეს ამ მიწის ნაკვეთზე არსებული საცხოვრებელი სახლი, რკინის ორთახიანი ჯიხური, გაიტაცეს 1300 ცალი საამშენებლო მასალა-ბლოკი, მანდარინის 100 ცალი ახალი შესანახი ყუთი და სხვა წვრილმანი სასოფლო სამეურნეო იარაღები, დაჭრეს მრავალწლოვანი ნარგავები, რითაც მიაყენეს 4000 ლარის მატერიალური და 30000 ლარის მორალური ზიანი.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხეები ნ. ს-ძე და გ. ს-ძე-ღ-ძე არ გამოცხადდნენ, ხოლო გამოცხადებულმა დ. ს-ძემ არ ცნო სარჩელი უსაფუძვლობის გამო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 აგვისტოს დასწრებულ-დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ვ. ს-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ს-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

2006 წლის 28 აპრილს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოწინააღმდეგე მხარეები. აპელანტმა მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

სააპელაციო პალატის 2006 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება - დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ვ. ს-ძის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ვ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 აგვისტოს დასწრებული-დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. ს-ძის სარჩელი მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა - დ., ნ. ს-ძეებს და გ. ს-ძე-ღ-ძეს დაეკისრათ ვ. ს-ძის სასარგებლოდ მატერიალური ზიანისათვის 24000 ლარის გადახდა.

დასახელებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2007 წლის 21 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. ს-ძე-ღ-ძის წარმომადგენელმა გ. ს-ძემ და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულების სამი თვის ვადით გადავადება.

2007 წლის 14 ნოემბრის განჩინებით, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დასახელებული განცხადება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ განუკურნებელი სენით დაავადებული გ. ს-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო გაუარესებული და მოპასუხეთა და მათი ოჯახის წევრების მთელი შემოსავალი მიმართული იყო გ. ს-ძე-ღ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებისათვის, ვინაიდან საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით, შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ონკოლოგიური ცენტრის“ დირექტორის მიერ 2007 წლის 27 ივლისის გაცემული #67 ცნობის შესაბამისად გ. ს-ძეს ჯანმრთელობის მდგომარეობა ცნობის გაცემის დროისათვის იყო დამაკმაყოფილებელი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. ს-ძესთან ერთად სოლიდარულად მოვალე მხარეებს წარმოადგენდნენ გ. ს-ძის ოჯახის წევრები - დ. და ნ. ს-ძეები. გ. ს-ძის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა მოვალეთა მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მხოლოდ გ. ს-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობა, პალატის აზრით, არ წარმოადგენდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების გადადებისათვის საკმარის მტკიცებულებას.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ს-ძე-ღ-ძის წარმომადგენელმა გ. ს-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინება მიღებული იყო კანონის არასწორი დეფინირების შედეგად. მისი აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა დასახელებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, კერძო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ვ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 აგვისტოს დასწრებული-დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. ს-ძის სარჩელი მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა - დ. ს-ძეს, ნ. ს-ძეს და გ. ს-ძე-ღ-ძეს დაეკისრათ ვ. ს-ძის სასარგებლოდ მატერიალური ზიანისათვის 24000 ლარის გადახდა.

დასახელებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

გ. ს-ძე-დ-ძის წარმომადგენელმა გ. ს-ძემ მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების გადადება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე, შეცვლოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

მხარის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომ აღსრულების მომენტისათვის ქმნიდეს რაიმე დაბრკოლებას. როგორც მხარის მიერ წარმოდგენილ, შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ონკოლოგიური ცენტრის“ დირექტორის მიერ 2007 წლის 27 ივლისს გაცემულ #67 ცნობიდან ირკვევა, გ. ს-ძეს ჯანმრთელობის მდგომარეობა ცნობის გაცემის დროისათვის დამაკმაყოფილებელია

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ გ. ს-ძესთან ერთად სოლიდარულად მოვალე მხარეებს წარმოადგენდნენ ოჯახის წევრები - დ. და ნ. ს-ძეები, რომლებსაც არ წარმოუდგენიათ მათი მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც გადაწყვეტილების აღსრულების გადადების საფუძველი იქნებოდა.

საგულისხმოა ისიც, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდისათვის უკვე გასულია სამი თვე, სასამართლო კი მხოლოდ ამ ვადითაა უფლებამოსილი, გადადოს აღსრულება

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად უთხრა უარი აღსრულების გადადების დაკმაყოფილებაზე, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ს-ძე-დ-ძის წარმომადგენელის გ. ს-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელი დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინება;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადადება

განჩინება

ას-330-585-08 11 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია**

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა: გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 22 ივნისს ო. ა-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ნ. გ-ურის მიმართ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და ნ. გ-ურს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული მატერიალური ზარალის - 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება გადახდის დროისათვის არსებული კურსით.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მოპასუხეზე ჩაბარება, მისი საცხოვრებელი ადგილის დაუდგენლობის გამო, სსსკ-ის 78-ე მუხლის საფუძველზე, განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოზე - თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობაზე გადაცემით 2007 წლის 6 ივნისს.

აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, შევიდა კანონიერ ძალაში და 2007 წლის 14 აგვისტოს, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2008 წლის 15 თებერვალს ნ. გ-ურმა საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინებით საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გაშვების გამო, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. გ-ურმა იმ საფუძველზე, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული სარჩელი უსაფუძვლოა, ვინაიდან ავტოსაგზაო შემთხვევა ჩაიდინა არა ნ. გ-ურმა, არამედ - ნ. ბ-მემ. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო პალატას და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ასევე, ნ. გ-ურს უარი ეთქვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. გ-ურმა. კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ, ვინაიდან ავტო-საგზაო შემთხვევა თავად არ მოუხდენია, შესაბამისად, მან არც სასამართლოს შესახებ და არც გადაწყვეტილების შესახებ არაფერი იცოდა, აღნიშნულის თაობაზე მან შემთხვევით შეიტყო და მაშინვე მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩაჰბარდა 2008 წლის 14 თებერვალს და, შესაბამისად, გაასაჩივრა კანონით დადგენილ ვადაში.

ზემოაღნიშნულის გამო, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, მის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტა და საქმის განახლება ნ. ბ-ძის მიმართ, ვინაიდან საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, დადგენილია, რომ ავტო-საგზაო შემთხვევა მოახდინა ნ. ბ-მემ, ასევე, მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აპრილის განჩინებით ნ. გ-ურის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინებაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინების უცვლელად დატოვების ნაწილში, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებაზე უარის თქმის ნაწილში მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ნ. გ-ურის კერძო საჩივარი გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებაზე უარის თქმის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანა, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით გადადოს ან განაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე, შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

«სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 33-ე მუხლი ითვალისწინებს სააღსრულებო მოქმედების შეჩერებას, რაც აღსრულების გადადების ნაირსახეობაა და ნიშნავს აღსრულების სხვა დროისათვის გადადებას, რაც სასამართლოს განჩინებით უნდა განხორციელდეს. აღსრულების გადადება (შეჩერება), განაწილვადება ან აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა დასაშვებია, თუ არსებობს ამისთვის გონივრული საფუძველი.

«სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 36-ე მუხლით დადგენილია ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, სასამართლო შეაჩერებს აღსრულებას. შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ პირობათა არსებობისას.

განსახილველ შემთხვევაში, ნ. გ-ურმა ვერც რაიმე კანონით გათვალისწინებული კონკრეტული არგუმენტის მითითება შეძლო, რის გამოც გამართლებული იქნებოდა გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება-გადადება და, ვერც დაასაბუთა, რა გადაუდებელი აუცილებლობით იყო გამოწვეული ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზანშეწონილობა.

აღნიშნულის გამო, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. გ-ურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

განჩინება

#ას-536-769-08 1 აგვისტო, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 13 მარტს სარჩელით მიმართა გ. კ-ძემ შპს «ფოთის საზღვაო ნავსადგურის» მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 100 000 აშშ დოლარის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით 1999 წლის 21 აპრილიდან მუშაობდა ქ. ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის გასამხედროებელი დაცვის მე-2 კლასის გუშაგად. 1999 წლის 23 ნოემბერს 16 საათსა და 45 წუთზე, სამსახურობრივი მოვალეობის შესრულებისას, ნავსადგურის ტერიტორიაზე მდგარი რკინიგზის ვაგონის ქვეშ შენიშნა სასუქით სავსე ტომარა და გუშაგ გ. კ-ის უთხრა, რომ საჭირო იყო მისი გამოტანა და დაცვა, რადგან ეს მათ უშუალო მოვალეობაში შედიოდა. შევიდა ვაგონის ქვეშ, მაგრამ ტომარის გამოტანამდე, ვაგონი დაიძრა, გოგორწყვილმა გადაუარა მარჯვენა ფეხის ბარძაყზე და მოკვეთა ფეხი.

მოსარჩელის განმარტებით, ფოთის საზღვაო ნავსადგურის ბრალეული მოქმედების შედეგად დაკარგა ფეხი, რომელიც აღარ ექვემდებარებოდა რესტიტუციას, ხოლო ტრამვის შედეგად მიიღო მორალური ზიანი, რაც გამოიხატა დეპრესიულ ნევროზში.

შპს «ფოთის საზღვაო ნავსადგურმა» სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მითითება იმ გარემოებაზე, რომ მისი, როგორც დაცვის გუშაგის, უშუალო მოვალეობაში შედიოდა რკინიგზის ვაგონის ქვეშ მოქცეული სასუქით სავსე ტომარის გამოტანა, რადგან აღნიშნული სახის ქმედების განხორციელება არ განეკუთვნებოდა გუშაგის მოვალეობის სფეროს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხე საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ქ. ფოთის ნავსადგურს მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური კომპენსაციის სახით დაეკისრა 30000 აშშ დოლარის გადახდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ფოთის საზღვაო ნავსადგურმა და მოითხოვა მისი გაუქმება. გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით მოსარჩელემაც და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ფოთის საზღვაო ნავსადგურის და გ. კ-ძის სააპელაციო საჩივრები და უცვლელი დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ფოთის საზღვაო ნავსადგურმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2007 წლის 14 დეკემბრის განჩინებით შპს «ფოთის საზღვაო ნავსადგურის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მარტის განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 6

ავგისტოს გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება - შპს «ფოთის საზღვაო ნავსადგურს» გ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 40000 ლარის გადახდა.

განსახილველ საქმეში ფოსტის მიერ სააპელაციო სასამართლოსთვის გაგზავნილი დასტურით ირკვეოდა, რომ დასახელებული გადაწყვეტილება შპს «ფოთის საზღვაო ნავსადგურს» ჩაჰბარდა 2008 წლის 28 მარტს. ამ გარემოებისა და იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოსთვის ვადაში ჩაბარებული არ ყოფილა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2008 წლის 4 ივნისს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის წარმომადგენელმა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 12 თებერვალს გაცემული სააღსრულებო ფურცლის შეჩერება. განმცხადებლის განმარტებით დასახელებული გადაწყვეტილება მათ მიერ გასაჩივრებულ იქნა კანონით დადგენილ ვადაში, რის გამოც გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის განჩინებით კორპორაცია «ფოთის საზღვაო ნავსადგურის» განცხადება დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი უნდა შეჩერებულიყო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. კ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, ფოსტის მიერ გაცემული ზედდებულიდან არ ირკვეოდა, თუ ვინ იყვნენ გამგზავნი და კურიერი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ ყოველგვარი დასაბუთებისა და მტკიცებულებების მითითების გარეშე შეჩერდა სააღსრულებო ფურცლის მოქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო მოცემულ საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ გ. კ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ და შესაბამისად მიექცევა აღსასრულებად

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს უზენაესს სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით კორპორაცია «ფოთის საზღვაო ნავსადგურის» საკასაციო საჩივარი, დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან მოცემულ საქმეზე სააპელაციო პალატის მიერ 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება შეჩერებული იქნა საკასაციო სასამართლოში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შესაბამისად საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით აღმოიფხვრა ის სამართლებრივი საფუძველი, რამაც განაპირობა გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. კ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის განჩინება და გაგრძელდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულება.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

განჩინება

#ას-869-1083-08 11 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: მიწის ნაკვეთზე ყადაღის მოხსნა

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა, რომლითაც მოითხოვა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ქონებაზე ყადაღის დადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის განჩინებით სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადება დაკმაყოფილდა - ყადაღა დაედო შპს „ქართული ჩოგბურთის“ კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #18/20.

განჩინება შპს „ქართული ჩოგბურთის“ წარმომადგენელმა დ. ლ-ვამ გააჩივრა საჩივრით, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინებით შპს „ქართული ჩოგბურთის“ წარმომადგენლის დ. ლ-ვას საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ... ქ. #18/20-ში მდებარე #17/064 15074.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთს მოეხსნა ყადაღა, ხოლო #18/20-ში მდებარე #15/076 11445.00 კვ.მ ნაკვეთზე ყადაღისაგან განთავისუფლების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ უზრუნველყოფის საშუალების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ კი მოსარჩელეს არ წარმოადგენდა. ამასთან, საჩივრის ავტორის აზრით „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ყადაღის დადება, რამეთუ მორიგების მხარეს არ წარმოადგენდა.

საჩივრის ავტორის აზრით, სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინება, რომლითაც დადგინდა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა უფლებამონაცვლის სასარგებლოდ, კანონიერ ძალაში არ შესულა, შესაბამისად, განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ვერ ჩაითვლებოდა მოთხოვნის უფლების მფლობელად.

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სადავო განჩინებაში დაფიქსირებულია, რომ მოთხოვნის დათმობის შესახებ „ქართუ ბანკიდან“ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაზე“ გადმოვიდა განჩინებით დადგენილი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. კერძოდ, ქ. თბილისში, ... ქ. #18/20 აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სკ ცენტრის მიმდებარედ მდებარე 1249 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები. ამავე დროს განმცხადებელმა მოითხოვა არა მორიგების უზრუნველყოფის საშუალების (15249 კვ.მ. მიწის ნაკვეთის), არამედ „ახლად შეძენილი“ 11445 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დაყადაღება. სასამართლომ დააყადაღა ახალი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მორიგებასთან შეხება არ აქვს და ამასთან, არ განსაზღვრა, რომელი მიწის ნაკვეთი იქნა დაყადაღებული, კერძოდ, ყადაღა დაედო შპს „ქართული ჩოგბურთის“ კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარე თბილისში, ... ქ. #18/20, ანუ სასამართლომ დააყადაღა ორივე მიწის ნაკვეთი, ვინაიდან ორივე მდებარეობს ერთ მისამართზე. განმცხადებელს არ მოუთხოვია ძველი მიწის ნაკვეთის დაყადაღება. სასამართლო კი გასცდა მოთხოვნის ფარგლებს.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 იანვრის განჩინებით სს „ბანკი ქართუსა“ და შპს „ქართულ ჩოგბურთს“ შორის დამტკიცდა მორიგება. მორიგების პირობების შესაბამისად, საკრედიტო დვალანების და მასზე დარიცხული პროცენტების უზრუნველყოფას წარმოადგენდა 2002 წლის 6 აპრილს და 2003 წლის 22 მაისს დამოწმებული იპოთეკის ხელშეკრულებები, რომლითაც იპოთეკის საგანს წარმოადგენს მოვალის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე თბილისში, ... ქ. #18/20-ში, აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სკ ცენტრის მიმდებარედ (სარეგისტრაციო ზონა თბილისი, კოდი 1, სექტორი დიდუბე, კოდი 13, კვარტალი 1, ნაკვეთის #18/64, ფართობი - 15249 კვ.მ).

ასევე დადგენილია, რომ 2008 წლის 16 აპრილს სს „ბანკი ქართუსა“ და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ შორის დაიდო მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, კრედიტორი (სს „ბანკი ქართუ“) უთმობს შპს „ქართული ჩოგბურთის“ მიმართ არსებულ მოთხოვნის უფლებას სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“;

პალატამ აღნიშნა, რომ 2008 წლის 8 ივლისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განჩინება უფლებამონაცვლის სასარგებლოდ სააღსრულებო

ფურცლის გაცემის შესახებ არ იყო კანონიერ ძალაში შესული და, შესაბამისად, კრედიტორი მოკლებული იყო შესაძლებლობას, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ«კანონის შესაბამისად მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების იძულებით აღსასრულებლად მიემართა სასამართლო აღმასრულებლისათვის.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ სასამართლო გაცდა მოთხოვნის ფარგლებს, კერძოდ, ყადაღა დაედო ქონებას, რომელიც არ იყო მოთხოვნილი განცხადებით.

შპს «ქართული ჩოგბურთის» საჩივარი დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაეგზავნა უზენაეს სასამართლოს განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ თითქოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინებით არ დადგენილა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას«, როგორც უფლებამონაცვლის, სტატუსი. პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული განჩინებით სააღსრულებო ფურცელი გაიცა სს ვითიბი ბანკ ჯორჯიაზე«, როგორც სს „ბანკ ქართუს« უფლებამონაცვლეზე, რადგან სასამართლომ მითითებულ პირთა შორის უფლებამონაცვლეობა დადასტურებულად მიიჩნია.

პალატა თვლის, რომ მიუხედავად განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანისა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია« უფლებამონაცვლე იყო, სასამართლოსათვის მიემართა განცხადებით, როგორც მხარეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1 ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას« უფლებამონაცვლედ ცნობა და მასზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა არ შეჩერებულა ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანით. ამდენად, მითითებული პირი უფლებამონაცვლე იყო, სასამართლოსთვის მიემართა განცხადებით გადაწყვეტილების უზრუნველყოფის თაობაზე და, შესაბამისად სასამართლო უფლებამოსილი იყო ემსჯელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების აღსრულების საკითხზე. მოცემულ შემთხვევაში კი უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ იქნა სასამართლოს მიერ განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის მიმართ, რომლის უფლებამოსილებაც გააჩნდა სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა საჩივარი და აღნიშნული საჩივრის თაობაზე გამოტანილი განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე, 197¹-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „ქართული ჩოგბურთის« წარმომადგენლის დ. ლ-ვას საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის განჩინებალ განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.